ვიზაჟისტის სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მომზადებულია „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითრების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ვიზაჟის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის პროფესიის ათვისებაში ხელშეწყობას.

სახელმძღვანელოს მიზანია, დაინტერესებულ პირებს გააცნოს პროფესიული საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები და მოიცავს ყველაზე სრულ, თანამედროვე ინფორმაციას ინსტრუმენტებსა და კოსმეტიკურ საშუალებებზე, რომლებიც აუცილებელია მაკიაჟის გასაკეთებლად.

სახელმძღვანელოში აქტიურად არის გამოყენებული ფოტომასალა, რათა თვალნათლივ დაინახოს სტუდენტმა მაკიაჟის ჯადოქრობა.

წიგნში მოყვანილი რეკომენდაციები დაფუძნებულია უცხოელი პარტნიორების ცოდნასა და გამოცდილებზე. წიგნში აღწერილია სხვადასხვა ტიპის კანის მქონე ადამიანებზე და სხვადასხვა რასის წარმომადგენლებზე მაკიაჟის კეთების წესები.

წიგნის ავტორი: ნატალია თოლორაია

თანაავტორი: ნათია მორჩილაძე

რეცენზენტები: ელენა ვარდანიან, გიორგი ხიდიროვ

© 2015, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სარჩევი

	წინასიტყვაობა	
თავი 1	სამუშაო ადგილის ორგანიზება და უსაფრთხოება, სანიტარია და ჰიგიენა	6
თავი 2	ტერმინები	14
თავი 3	ინფორმაცია კოსმეტიკური ნაწარმის შესახებ	20
თავი 4	ინსტრუმენტები	44
თავი 5	წარბების კორექცია	52
თავი 6	წამწამების კორექცია	61
თავი 7	კანის ტიპი, ფერი და კორექცია	74
თავი 8	მაკიაჟი	91
	პრაქტიკული დავალება	161
	გამოყენებული ლიტერატურა	164

წინასიტყვაობა

ვიზაჟისტი - ეს არის სპეციალისტი, რომელიც ქმნის (ხატავს) იმიჯს მაკიაჟის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით.

ეს არის მრავალფეროვანი და საინტერესო პროფესია, რომელიც საშუალებას იძლევა არა მხოლოდ შექმნა სილამაზე, არამედ დაამყარო კარგი ურთიერთობა და გააბედნიერო ადამიანი.

მაკიაჟი - არის სახის კანის ზედაპირზე დეკორატიული კოსმეტიკიკის დატანის ხელოვნება, რომლის მიხედვითაც იქმნება ლამაზი გამოსახულება და ინიღბება ხარვეზები.

ეს ხელოვნების გამოჩნდა ჯერ კიდევ უძველეს დროში. პირველადი წერილობითი სახით მაკიაჟი ნახსენებია ფილოსოფოსი ოვიდიუსი მიერ მის ქმნილებაში "მეცნიერება სიყვარულისა", სადაც მან მიანიშნა, რომ ხარვეზები ქალბატონის სახეზე უნდა ინიღბებოდეს.

დროის ცვლილებასთან ერთად მაკიაჟის ხელოვნება იზრდებოდა, თუმცა წყაროები შედარებით ნაკლებად მიუთითებდნენ ამის შესახებ. თუმცა სხვადასხვა ეპოქის შესახებ მცირეოდენი ცნობები მაინც შემორჩა მაკიაჟის სდვადასხვა ტენდენციების შესახებ. მაგალითად მე-16 საუკუნეში აქტიურად გამოიყენებოდა კანის მათეთრებელი ფერუმარილი და ე.წ. " რუჟი" ღაწვების გამოსაკვეთად.

მე-20 საუკუნეში მოხდა სილამაზის სფეროს ტენდენციების განსაკუთრებული დახვეწა და გაჯანსაღება. თანდათან უფრო მეტი ყურადღება მიექცა კოსმეტიკური ნაწარმის

შემადგენლობას, ინგრედიენტებს და მათ სიჯანსაღეს. მოდაში შემოვიდა ბუნებრივ მასალაზე დამზადებული პროდუქცია.

კინო ინდუსტრიამ რევოლუცია მოახდინა მაკიაჟის ხელოვნებაში, გაჩნდნენ პირველი გრიმის ოსტატები და ნელ ნელა კიდევ უფრო დაიხვეწა როგორც პროდუქცია, ასევე ინსტრუმენტები და ხელსაწყოები.

გრიმის ოსტატები არიან დღევანდელი ვიზაჟისტების წინა თაობა, დროთა მსვლელობაში გრიმის ოსტატებმა იმდენად კარგად შეითვისეს ხატვისა და გრიმის კეთების ხელოვნება რომ ნელ ნელა გარდაიქმნენ ვიზაჟისტებად და ვიზაჟის მასწავლებლებად. შესაბამისად დღესდღეისობით ამ პროფესიამ რომ სალონებში და სხვადასხვა ტელე ან ფოტოსტუდიებში გადაინაცვლა სწორედ ამ გრიმიორების დამსახურებაა.

პროფესია "ვიზაჟისტი" მოიცავს მიმართულებების ფართო სპექტრს: სალონის ვიზაჟისტი, ვიზაჟისტ - იმიჯ მეიქერი, ვიზაჟისტ - კოსმეტოლოგი, ვიზაჟისტ - სტილისტი.

პროფესია "ვიზაჟისტი" მაქსიმალურად კრეატიული და შემოქმედებითია. ეს პროფესია საკმაოდ ახალგაზრდაა და ინოვაციური, რაც უზრუნველყოფს მუდმივ განვითარებას.

მაკიაჟის მხატვარმა ანუ ვიზაჟისტმა უნდა შექმნას არა მხოლოდ გარკვეული იმიჯი, არამედ უნდა შეძლოს დამალოს სახის ნაკვთებისა და კანის ხარვეზები. კარგად უნდა იცნობდეს ფერებსა და ტექსტურას, და ამასთანავე უნდა იყოს კარგი ფსიქოლოგი.

მაკიაჟის მხატვარი ანუ ვიზაჟისტი ვალდებულია განსაკუთრებით ყურადღებით მორგოს კლიენტის სურვილს და მის გემოვნებას. ამ 2 ასპექტის იგნორირება არის ხოლმე ვიზაჯისტის მთავარი შეცდომა.

პიროვნული თვისებები:

მაკიაჟის მხატვარი უნდა იყოს ორიგინალური და სიახლეებზე ორიენტირებული. უნდა ჰქონდეს დახვეწილი მანერები და უნდარი განკარგოს თავისი თანამგზავრი (კლიენტი) და უმთავრესი - უნდა იყოს ძალიან კომუნიკაბელური.

თავი 1

სამუშაო ადგილის ორგანიზება და უსაფრთხოება, სანიტარია და ჰიგიენა

ამ თავში განვიხილავთ სანიტარიისა და ჰიგიენის ზოგად ნორმებს, რაც აუცილებელია სალონებისა და ესთეტიკური მიმართულების დაწესებულებებისათვის.

რჩევა: *ინსტრუმენტების დამუშავების, სალონის ჰიგიენისა და სანიტარული ნორმების შესახებ შეგიძლიათ იხ.* ***საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებაში „ტექნიკური რეგლამენტი – საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ***

სანიტარია - (ლათ. sanitarius – ჯანმრთელობის ხელშემწყობი) პრაქტიულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია მეცნიერული ჰიგიენის მიერ შემუშავებული ნორმატივებისა და მოთხოვნილებების განსახორციელებლად. სანიტარია ამავდროულად სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობაა.

ჰიგიენა - (ბერძნული სიტყვაა და „ჯანმრთელობის მომტანს“ ნიშნავს) — თანამედროვე გაგებით ჰიგიენა პროფილაქტიკური მედიცინის ნაწილია, რომელიც სწავლობს გარემოპირობების გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ეს არის კომლექსური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ორგანიზმზე. ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობაზე, სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გარემოს ფაქტორების გავლენას.

დეზინფექცია – დაავადების გამომწვევი ბაქტერიების მოცილების პროცესი დაბინძურებული ინსტრუმენტებიდან, ტანსაცმლიდან, ახლომყოფი საგნებიდან – მათზე მადეზინფიცირებელი საშუალებების ფიზიკური ან ქიმიური ზემოქმედებით

დეზინფექციას უნდა დაექვემდებაროს ყველაფერი რასაც არ აქვს შეხება ჭრილობასთან, სისხლთან ან საინექციო პრეპარატებთან. ის საგნები, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ მანიპულაციების დროს ექვემდებარება სტერილიზაციის წინა დეზინფექციას.

სტერილიზაცია – ყველა სახის მიკროორგანიზმის განადგურების პროცესი, მათ შორის სპორების სითბოს, გამოსხივების, ქიმიური ნივთიერებებით ზემოქმედების ან ფილტრაციით. სტერილიზაციას ექვემდებარება ყველა საგანი რომელსაც შეხება აქვს ჭრილობასთან, სისხლთან ან საინექციო პრეპარატებთან, ასევე ცალკეული სამედიცინო ინსტრუმენტები, რომელთაც შეხება აქვთ ლორწოვან გარსთან და შეუძლიათ გამოიწვიონ მისი დაზიანება. ათასწლეულები სტერილიზაციის მიზნით იხმარებოდა ვერცხლი, საკვების შესანახად, ან ხდებოდა მასში განბანვა, დასნებოვნების თავიდან ასაცილებლად.

დაწესებულებებში, რომელშიც წარმოებს ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურები ადამიანის კანის საფარველზე, ინფექციების პრევენციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ღონისძიებათა კომპლექსის გატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

1. ხელების ჰიგიენა
2. ხელთათმანების გამოყენება
3. სამუშაო ადგილის რეგულარული გასუფთავება და სისუფთავის დაცვა.
4. სამუშაო ინსტრუმენტების სტერილიზაცია
5. სამუშაო ადგილის დეზინფექცია
6. ნარჩენების უსაფრთხოდ შეგროვება და გატანა.
7. სამუშაოდ შესაბამისი გარემოს მოწყობა.

ხელების დაბანა ინფექციური დაავადებებისგან თავდაცვის ყველაზე მარტივი და მეტად ეფექტური საშუალებაა.

ხელის დაბანის საზოგადოდ აღიარებული ტექნიკა რამდენიმე ნაბიჯისაგან შედგება. ჯერ უნდა დავისველოთ ხელები და დავიტანოთ საპონი, ისე რომ საპნით დაიფაროს ხელების მთლიანი ზედაპირი ყველა მხრიდან, მათ შორის თითებს შორის სივრცეები და ფრჩხილების ირგვლივ მიდამოები. ასევე კარგი იქნება მკლავის ხილული ნაწილების დაბანაც. ხელები დაახლოებით 20 წამის განმავლობაში უნდა ვისაპნოთ და ავაქაფოთ. ამის შემდეგ უნდა ჩამოვიბანოთ ხელები თბილი გამდინარე წყლით. ხელების გასამშრალებლად უმჯობესია ქაღალდის ერთჯერადი ხელსახოცის გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ მიკრობებით თავიდან დაბინძურება.

სტერილური ხელთათმანის ჩაცმამდე სავალდებულოა დაიბანოთ ხელები.

ხელთათმანი უნდა შეირჩეს ხარისხიანი, ასეთი ტიპის ხელთათმანი დამუშავებულია სილიკონის საცხით, რომ გაადვილდეს მისი მორგება. შენარჩუნებულია კანის სინოტივის ბალანსი, ნაკლებად ხდება მისი გაღიზიანება და რაც მთავარია, პიროვნება რომელიც იყენებს მათ თავს გრძნობს კომფორტულად და იზრდება მისი შრომისუნარიანობა.

სამუშაო ადგილის რეგულარული დასუფთავება სილამაზის სფეროში მომუშავე პირისთვის ერთ ერთი უმთავრესი მოთხოვნაა. აუცილებელია სამუშაო ადგილი აჭღურვილი იყოს ცივი და ცხელი წყლით.
უნდა მოხდეს სამუშაო გარემოს სველი და მშრალი დასუფთავება წყლითა და სპეციალური საშუალებებით. თავსაბანისა და სავარძლის გაწმენდა ყოველი გამოყენების შემდეგ. უნდა ხდებოდეს სამუშაო ადგილის რეგულარული ვენტილაცია.

სამუშაო ინსტრუმენტები უნდა გასუფთავდეს ყოველი გამოყენების შემდეგ და უნდა მოხდეს მათი სტერილიზება და მშრალ სუფთა გარემოში შენახვა.

ინსტრუმენტების დამუშავება

ვიზაჟისტის ძირითადი ინსტრუმენტებია ფუნჯები, ღრუბელი, ბუმბულა, შპატელი, პინცეტი და წამწამების ასაპრეხი.

ღრუბელი და ბუმბულა აუცილებელია გაირეცხოს ყოველი გამოყენების შემდეგ.

ფუნჯების გასაწმენდად არსებობს ორი გზა:

1. გაირეცხოს წყლითა და შამპუნით (გაშრობას სჭირდება საკმაოდ დიდი ხანი)

2. გაიწმინდოს სპეციალური ფუნჯების გასასუფთავებელი ხსნარებით (მომენტალურად შრება).

ლითონის ინსტრუმენტების გარეცხვაც აუცილებელია წყლითა და სხვადასხვა სარეცხი საშუალებით და აუცილებელია მათი სტერილიზაციაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თეთრეულს, ისინი უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ მშრალ და სუფთა ადგილას.

არ უნდა მოხდეს ძირს დავარდნილი ინსტრუმენტის გამოყენების გაგრძელება, ან უნდა გასუფთავდეს საგულდაგულოდ, ან უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება სათადარიგო ინსტრუმენტით.

დაწესებულებაში გამოყენებული კოსმეტიკა უნდა ინახებოდეს განცალკევებით, ორიგინალურ შეფუთვაში, უსაფრთხოების წესების დაცვით. აღჭურვილობის, ავეჯისა და ინვენტარის საფარი ადვილად უნდა ექვემდებარებოდეს გასუფთავება-დეზინფექციას. სამუშაო ადგილები აღჭურვილ უნდა იქნეს ცივი და ცხელი წყლით უზრუნველყოფილი ხელსაბანი ნიჟარ(ებ)ით, ხელის დასაბანი თხევადი საპნითა და ერთჯერადი ხელსახოცებით (ან ინდივიდუალური ხელსახოცების საკმარისი რაოდენობით), ასევე სათანადო სარეცხი საშუალებებით. ადამიანის კანის საფარველთან შეხებაში მყოფი ზედაპირების დასუფთავება და დეზინფექცია უნდა წარმოებდეს ყოველი მომხმარებლის მომსახურების შემდეგ. იმ ზედაპირების დასუფთავება, რომლებსაც არ ეხებიან ხელით, უნდა წარმოებდეს უფრო იშვიათად, მაგრამ რეგულარულად, არანაკლებ ერთხელ დღეში.

- ✓ კედლების, იატაკისა და ფარდების დასუფთავება წარმოებს საჭიროებისამებრ, აგრეთვე ესთეტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- ✓ დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარი (ჯაგრისი, ტილო და სხვ.) უნდა იყოს მარკირებული გამოყენების ტიპის შესაბამისად.
- ✓ მტვრისა და მიკროორგანიზმების გავრცელების შემცირების მიზნით, კედლები, იატაკი და ზედაპირები უნდა დასუფთავდეს სველი წესით.
- ✓ საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გასუფთავდეს, ჩაუტარდეს დეზინფექცია (საჭიროების მიხედვით) და გაშრეს.
- ✓ დალაგებისა და დეზინფექციის დროს პერსონალმა უნდა გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (მაგ.: ხელთათმანები, ნიღაბი).

აუცილებლად უნდა მოხდეს ინსტრუმენტების კარგად გასუფთავება სტერილიზაციამდე, დაუშვებელია სტერილიზაციის ჩატარება ინსტრუმენტებზე საგულდაგულოდ დამუშავების გარეშე.

სტერილიზაციის დაწყებამდე უნდა მოხდეს ხელების კარგად დაბანა და ხელების ჰიგიენის შემდეგ ხელთათმანების ჩაცმა. ხელები თუ არ იქნება სუფთა, მოხდება გასუფთავებული ინსტრუმენტის ხელახალი დაბინძურება, რაც დაუშვებელია.

გასუფთავებული ინსტრუმენტები უნდა მოთავსდეს შესაბამის შესანახ კოლოფში ან შალითაში.



შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რა არის ჰიგიენა?

2. რა არის დეზინფექცია?

3. დაწესებულებაში, რომელშიც წარმოებს ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურები ადამიანის კანის საფარველზე, ინფექციების პრევენციის ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ღონისძიებათა კომპლექსის გატარება - ჩამოთვალეთ.

4. აღწერეთ ხელების ჰიგიენა.

5. ჩამოთვალეთ ფუნჯების გაწმენდის გზები.

6. როგორ უნდა ინახებოდეს თეთრეული?

7. როგორ უნდა იყოს აღჭურვილი სამუშაო ადგილი?

8. რა პროცედურები უნდა ჩატარდეს სტერილიზაციის დაწყებამდე?

9. როგორ უნდა შეინახოს გასუფთავებული ინსტრუმენტები?

თავი 2

ტერმინები

მაკიაჟის გაკეთების ხელოვნება იწყება ძირითადი ტერმინების ცოდნიდან. იხილეთ მაკიაჟის ხელოვნებაში ზოგიერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ცნებების განმარტება. გაეცანით მათ, ეცადეთ ჩაწვდეთ მათ არსს, და მალე ისაუბრებთ როგორც პროფესიონალი ვიზაჟისტი.

ტუჩის პრიალა საცხი - ამ კოსმეტიკურ ნაწარმს შეუძლია სწრაფად მიანიჭოს სახის კანს აუცილებელი ელფერი. ბუნებრივი შთაბეჭდილების შესაქმნელად შესაძლებელია პრიალა საცხით საგულდაგულო დამუშავება და ტუჩის კონტურის შექმნა. შეიძლება ტუჩზე მხოლოდ პრიალა საცხის ან ტუჩების დამცავი ბალზამის წასმა. ის ფერს აძლევს, მაგრამ ტუჩებზე დიდხანს

არ ჩერდება, როგორც ტუჩის საცხი (”პომადა”).

ათინათი - ეს არის თვალის ჩრდილების დახასიათება. ის ისმება კონტურის გამოსაყოფად. ათინათი ყველაზე ნათელი წერტილია მაკიაჟში.

ყველაფერი, რაზეც ის ისმება, წინ წამოიწევს. ამგვარად, ის გამოიყენება კონკრეტული არისთვის ყურადღების მისაპყრობად, ეხმარება სახის ნაკვთების კორექტირებას. ეს პირველი ნაბიჯია თვალის გარშემო სამფეროვანი ფენის წასმის ტექნიკაში.

სიპრიალე - ეს არის ისეთი კოსმეტიკური ნაწარმის სიპრიალის დონის მახასიათებელი, როგორიცაა პრიალა საცხი ტუჩისთვის. ის აძლიერებს ტუჩსაცხის (”პომადის”) ფერს, მაგრამ ტუჩზე დიდხანს არ ჩერდება.

თვალის შესაღები ფანქარი - ეს კოსმეტიკური ნაწარმი იხმარება თვალის ბუნებრივი კონტურის ხაზგასასმელად ან მის შესაცვლელად, თუმცა ეს ყოველთვის აუცილებელი არაა.

კონსილერი (შემნიღბავი) - ეს კოსმეტიკური ნაწარმი მალავს ყველაფერს, რასაც ვერ მალავს ფუძე. დახეთქილი კაპილარები, ჩამუქებული რგოლები თვალებს ქვევით, პიგმენტური ლაქები და მათ ქვევით გაუფერულებული ადგილები შეუჩნეველი ხდება.

კონტური - ეს არის ხაზი, რომელიც წარმოაჩენს ტუჩების, თვალების, სახის ოვალის ბუნებრივ ფორმას, და ასევე წარმოადგენს საშუალებას მათთვის ახალი ფორმის მისაცემად. ყველაფერს, რასაც შემოვავლებთ კონტურს, უკან ვწევთ, რათა ობიექტი ნაკლებად შესამჩნევი გახდეს. კონტურის ელფერი (ჩვეულებრივ უფრო მუქი) სახის ნაკვთებს აძლევს უფრო მეტ სიღრმეს სახეზე უფრო ნათელ ფერებთან და ქუთუთოებზე ჩრდილებთან შედარებით, მათთან კონტრასტის შექმნის გზით. კონტურის

შემოვლება თვალის გარშემო სამფეროვანი ფენის შექმნის ტექნიკაში ბოლო ნაბიჯია.

სიმქრქალე - ეს არის ტუჩის საცხების, თვალის ჩრდილების, საფუძვლის, პუდრების და რუჟის მახასიათებელი, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ ბრწყინვალება, სიპრიალე და გლუვი, გადატკეცილი ზედაპირის შთაბეჭდილებას ქმნიან. მქრქალი, არაპრიალა ტუჩის საცხი, როგორც წესი, უფრო მშრალია, მაგრამ უფრო დიდხანს სძლებს ტუჩებზე. მქრქალი ფუძე შესანიშნავად მიდის პრიალა ცხიმიან კანზე და საუკეთესო საშუალებაა სახის ფერის დეფექტების შესანიღბად. აგრეთვე არსებობენ ისეთი მქრქალი, არაპრიალა ნაწარმები, როგორებიცაა პუდრა და კრემები, რომლებიც ებრძვიან ცხიმის სიპრიალეს სახეზე დღის განმავლობაში.

მეტალისებრი (”**მეტალიკი**”) - ეს არის ისეთი ტუჩის საცხების, თვალის ჩრდილების, თვალის ფანქრების მახასიათებელი, რომლებთაც მეტალისებრი ბზინვა გააჩნიათ. ის ფანტასტიურად ჯდება შავ და მუქ კანზე, მაგრამ ღია და უფრო მოწიფულ კანზე არაბუნებრივ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გაუმჭვირვალობა - არის კოსმეტიკური ნაწარმის მახასიათებელი, რომელიც უზრუნველყოფს კანის სქლად დაფარვას, როცა არანაირი ნაკლი არ ჩანს.

ფუძე - ეს კოსმეტიკური ნაწარმი ასწორებს სახის ფერს და მალავს კანის ნაკლს. წასასმელი ფუძის ელფერი (”ტონი”) უშუალოდ დამოკიდებულია კანის მდგომარეობაზე. თუ კანი ყოველგვარი დახმარების გარეშე გამოიყურება ლამაზად და მბრწყინავად, შესაძლებელია არ დაადოთ ფუძე და სახეზე წაუსვათ მხოლოდ პუდრის მსუბუქი ფენა. მაგრამ, თუ ფუძე აუცილებელია, შეგიძლიათ ნახოთ მისი ტექსტურის სხვადასხვა ვარიანტები: მქრქალი, ატლასისებური, დამატენიანებელი. თუ შეხება გვაქვს ცხიმიან და ზადიან კანთან, უპირატესობა ენეჭება მქრქალ, არაპრიალა ფუძეს. თუ კანი ნორმალურია ან მშრალი, შეგიძლიათ აირჩიოთ სხვა ნებისმიერი ფუძე.

სადაფისებური (”პერლამუტრი”) - კოსმეტიკური საშუალებების ეს მახასიათებელი ასახავს მათ მაქსიმალურ ელვარებას და ბზინვარებას, ზოგჯერ ახასიათებს ნაირფეროვნება. ძირითადად გამოიყენება, როცა საქმე ეხება თვალის ჩრდილებს და ტუჩის პრიალა საცხებს (”ბლესკებს”).

ფორიანობა - არის კანის სინოტივის შენახვის უნარი. დამატენიანებელ კრემებს გააჩნიათ ეს თვისება. ისინი ”აწონასწორებენ” კანს და ეხმარებიან მერე ფუძის წასმაში, რომელზეც შემდგომ გლუვად იდება მაკიაჟი.

პუდრი - ეს კოსმეტიკური ნაწარმი გამოიყენება ფუძის გასამაგრებლად. პუდრა სახის კანს აძლევს გლუვ იერს და უკარგავს სიპრიალეს.

რუჟი («румяна») - გამოიყენება სახის კანის "თბილი სიკაშკაშის" გასაძლერებლად. რუჟი ასხივოსნებს ყველაზე მკრთალ კანსაც კი.

სტიპლინგი - ეს არის კონსილერების (შენიღბვის) და ფუძის შერევის ტექნიკა. სტიპლინგი განსაკუთრებით ეფექტურია შენიღბვის საზღვარზე. სრულდება თითების ან ღრუბლის დარტყმის მაგვარი მოქმედებით. სტიპლინგი შესანიშნავი საშუალებაა აკურატულად დავადოთ ერთი პროდუქტი მეორეს. დაიტანეთ ცოტა პროდუქტი სახეზე, მაგალითად ფუძე, თითების ან ღრუბელის დარტყმის მაგვარი მოძრაობით გაანაწილეთ სახეზე ისე, რომ ადრე წასმული პროდუქტი არ გადღაბნოთ, მაგალითად, კონსილერი.

ტექსტურა - საბოლოო იერი, რომელიც სახეს აძლევს რაღაც პროდუქტის გამოყენების იერს, თუ როგორ ჩანს ის კანზე. მაგალითად, რუჟს შეიძლება ჰქონდეს კრემის ან ფხვნილის ტექსტურა. ფუძეს შეიძლება ჰქონდეს დამატენიანებელი, კრემის, გამჭვირვალე, მქრქალი ან ატლასისებური ტექსტურა. ტუჩის საცხი შეიძლება იყოს პრიალა, მქრქალი ან გამჭვირვალე. ყოველთვის უმჯობესია ტექსტურების შეხამება - პუდრი პუდრთან, კრემი კრემთან.

თვალის ჩრდილი - თვალზე ისმება მსუბუქად - რათა გაზარდოს და გამოკვეთოს თვალის ფორმა,
და მისცეს მათ მოცულობა.

ტუში წამწამებისთვის - წამწამებს ხდის უფრო სქელს, გრძელს, ხშირს.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რას ნიშნავს კანის ფორიანობა?

2. როგორია სადაფისებრი კოსმეტიკური პროდუქცია?

3. აღწერეთ სტიპლინგის პროცესი.

4. რისთვის გამოიყენება "რუჟი"?

5. რისთვის გამოიყენება კოსმეტიკური ნაწარმი - ფუძე?

6. აღწერეთ კონსილერის დანიშნულება?

თავი 3

ინფორმაცია კოსმეტიკური პროდუქტების შესახებ

როდესაც ბაზარზე უამრავი კოსმეტიკური ნაწარმია, ძნელი გასარჩევია, რომელი მათგანია საუკეთესო. აუცილებელია განხილული იქნას მაკიაჟის პროდუქტების განსხვავებული სახეობები, მათ ვარიანტები და ხარისხი, ასევე მათი გამოყენების ხერხები.

ფუძე

ეს არის მაკიაჟის ყველაზე მთავარი ნაწილი. ფუძის წყალობით კანი გამოიყურება ბუნებრივად და უზადოდ, გასხივოსნებულია ჯანმრთელი იერით. ფუძე ფარავს დეფექტებს, ასწორებს კანის არათანაბარ ელფერს. თუ სწორად დაიტანთ ფუძეს, ის ბევრად მეტს მოგცემთ, ვიდრე სხვა კოსმეტიკური ნაწარმი.

ფუძის შერჩევისას უნდა გახსოვდეთ ორი რამ:

პირველი - ის უნდა ესადაგებოდეს კანის ბუნებრივ ფერს.

მეორე - მნიშვნელოვანია, რომ ფუძის ფორმულა შეესაბამებოდეს კანის ტიპს.

მაგალითად, ცხიმიანი კანის შემთხვევაში ხდება ისე, რომ კანის ცხიმი შეერევა პროდუქტს და კანი ჩანს ლაქიანი და არათანაბარი.

შიგთავსის თვალსაზრისით სწორად შერჩეული ფუძე, რომელიც თქვენ კანს მოუხდება, დაგეხმარებათ დიდხანს გქონდეთ პროდუქტი სახეზე.

თანამედროვე ტექნოლოგიის წყალობით არსებობს უამრავი ფუძე, რომლებიც სპეციალისტების მიერ შემუშავებულია სამეცნიერო ბაზაზე, და რომლებიც

პრაქტიკულად არ ჩანს კანზე. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი ტექსტურა და ფორმულა, თითოეული მათგანი უზრუნველყოფს შენიღბვის თავის სახეობას. ფუძის წასმის ნამდვილი მიზანია, კანი გამოიყურებოდეს ისე, თითქოს არაფერია წასმული და კანს ჰქონდეს ჯანმრთელი და ლამაზი იერი.

ფუძე არის როგორც წესი - რვა სახის:

კომპაქტური ფუძე - ეს არის აკურატულად „სტიკის" სახით შეფუთული კრემ-ფუძე კონსილერთან ერთად. ყველაზე კარგად უხდება ნორმალურ და მშრალ კანს; კარგი ვარიანტია იმათთვისაც, ვისაც სჭირდება მეტად შენიღბვა. ამ საშუალებით შეიძლება დეფექტების იდეალური და მაქსიმალური შენიღბვა, ასევე მოწითალო და არათანაბარი კანის დამალვა.

თხევადი ფუძე - ის ყველაზე ხშირად გამოიყენება და უხდება თითქმის ყველა სახის კანს. გამოდის განსხვავებული ფორმულით - არ შეიცავს ცხიმს, შეიწოვს ცხიმს და დამატენიანებელი. ის აგრეთვე უზრუნველყოფს შენიღბვის სხვადასხვა გრადაციას - გამჭვირვალედან საშუალომდე, მარკის და ფორმულის შესაბამისად. თხევადი ფუძე იყიდება შუშებში და ტუბებში. კანზე წასმული ის უზრუნველყოფს მეტ შენიღბვას, ვიდრე ტონის დამატენიანებელი, მაგრამ ნაკლებს, ვიდრე კრემის ფუძე.

კრემ-ფუძე - ეს არის ერთგვარი კრემის მაგვარი პროდუქტი, სპეციალურად შექმნილი სხვადასხვა სახეობის კანისთვის - მშრალიდან ნორმალურამდე. ის კანს აძლევს ბუნებრივ იერს და ერთდროულად უზრუნველყოფს უმაღლესი დონის დაცვას. საუკეთესო დამალვის უნარის წყალობით ამ ფუძის გამოყენება შესანიღბავადაც შეიძლება, თუ არ გვაქვს შეხება ძალიან ჩაშავებულ წრეებთ თვალებქვეშ.

მუსი - ეს არის ათქვეფილი კრემ-ფუძე. ის ჩვეულებრივ იყიდება ქილებში, და როგორც წესი, უფრო მსუბუქია და გამჭვირვალე.
ეს ფუძე ათანაბრებს კანის ელფერს ისე, რომ არ ამძიმებს მას. ის არ რჩება კანზე, არამედ თითქოს კანში შედის. მუსი უზრუნველყოფს შესანიშნავ შენიღბვას, რომელიც ბუნებრივად გამოიყურება. უხდება მოწიფულ, ასაკოვან კანს, რადგან არ გროვდება ნაოჭებში, როგორც ეს ხდება კრემის უფრო მძიმე ფორმულების დროს.

ტონის (ანუ ელფერის მიმცემი) ფუძე - დამატენიანებელია, რომელსაც დამატებული აქვს მცირეოდენი ფერი. ყველაზე გამჭვირვალეა სახის ფუძეებს შორის. შესანიშნავი საშუალებაა იმ შემთხვევისათვის, როცა გვინდა შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს

სახეზე საერთოდ არაფერია წასმული. ათანაბრებს კანის ტონს, ელფერს და ერთდროულად უზრუნველყოფს მინიმალურ შენიღბვას. ყველაზე აქტიურად. ამ პროდუქტს გამოიყენებენ ზაფხულის სეზონზე.

კრემ-პუდრი - ეს არის უბრალო, სწრაფი მოქმედების ფუძე. გააჩნია კრემის ტექსტურა, რომელიც სახეზე პუდრივით ჯდება, ამიტომ დამატებით პუდრის წასმა აღარაა საჭირო. კრემისგან განსხვავებით ეს ფორმულა უფრო უხდება ცხიმიან კანს, იმიტომ რომ პუდრი ზედმეტ სიპრიალეს აშორებს კანს.

კომპაქტური პუდრი - ეს არის ორმაგი მოქმედების ფუძე. უზრუნველყოფს სწრაფ და მოხერხებულ შენიღბვას გამჭვირვალედან საშუალომდე. ეს არის ძალიან დაპრესილი პუდრი, რომლის მოხმარება შესაძლებელია როგორც სველი, ისე მშრალი სახით. მშრალად დატანილი ეს ფუძე წარმოადგენს დაპრესილ პუდრს, რომელიც უზრუნველყოფს ბევრად ძლიერ შენიღბვას.

ის ყველაზე კარგად უხდება ახალგაზრდა გოგონებს, რადგან შეიცავს ცოტა ცხიმს, არ ფარავს ფორებს და, ამგვარად, ნაკლებ სავარაუდოა გაუთვალისწინებელი გამონაყარის გაჩენა.

ასევე კარგი საშუალებაა კანის სწრაფი „შელამაზებისთვის“, როდესაც მთელი დღე ფეხზე დგომა უწევს ადამიანს. თუ მას ფუნჯით წაისმევს, უზრუნველყოფს გამჭვირვალე შენიღბვას. ღრუბლით წასმული კი, დაცვის ბევრად მკვრივ ფენას წარმოქმნის. სველი ღრუბლით წასმული უფრო აძლიერებს შენიღბვას, მოქმედებს როგორც თხევადი ფუძე და კრემ-ფუძე.

მინერალიზებული პუდრი - ეს არის უბრალო ფხვიერი პუდრი, რომელიც კანზე კარგად ჯდება და უზრუნველყოფს საშუალოდან სრულ შენიღბვას. იმის გარდა, რომ კანს ნიღბავს, ის შეიცავს ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს

უწყობენ კანის მოვლას. კანზე უკეთ მოქმედებს, ვიდრე ორმაგი მოქმედების კომპაქტური პუდრი და ისმება უბრალოდ ფუნჯით ან ღრუბლით.

კონსილერი (შემნიღბავი)

გამოდის განსხვავებული შიგთავსის და ტექსტურის. კონსილერების სხვადასხვანაირი ტექსტურები გამოიყენება სხვადასხვაგვარი პრობლემური არეებისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ტექსტურა ნამდვილად შეესაბამება პრობლემურ არეს. მაგალითად, კონსილერი, რომელიც გამოიყენება თვალის ქვევით ჩამუქებული წრეების დასამალად, ყოველთვის უნდა იყოს სველი და კრემისმაგვარი, იმ დროს, როცა კონსილერი, რომელიც გამოიყენება დახეთქილი სისხლძარღვების ან გამონაყარის დასამალავად, უნდა იყოს ბევრად მშრალი ტექსტურის, რათა უკეთ მოეჭიდოს კანს და მეტხანს გასძლოს.

კონსილერი-„სტიკი“ - უზრუნველყოფს სრულ შენიღბვას, მაგრამ ყოველთვის იოლად არ ირევა. პირველ რიგში ის გამოიყენება ყველაზე შესამჩნევი ნაკლის და გაუფერულებული კანის დასამალად. ის ასევე გამოიყენება თვალების ქვევით სილურჯის შესამცირებლად. ამ ტექსტურის მოხმარებისას, დარწმუნდით, რომ კონსისტენცია საკმარისად კრემის მაგვარი იყოს, რათა კარგად შეერიოს და ნაოჭები არ გამოაჩინოს. რადგან თვალების ქვევით კანი ყველაზე ფაქიზია, ძნელად შერევადი

შემნიღბავი „სტიკის“ გამოყენებამ შეიძლება სინამდვილეში გააუარესოს მდგომრეობა და ყურადღება მიიქციოს თვალებქვეშა წრეებმა.

კონსილერი ქილაში - უზრუნველყოფს ისეთივე დაცვას, როგორსაც „სტიკი“, მაგრამ მისი ფორმულა შეიცავს მეტ დამატენიანებელ ინგრედიანტებს. ამასთან ის არ არის ისეთი სქელი და უკეთ დაფარავს თვალებქვეშა წრეებს. სწორედ ამ კონსილერს ხმარობენ ყველაზე ხშირად პროფესიონალები, რადგან ის ყველაზე კარგად უზრუნველყოფს ნაკლის დამალვას. ის ჩვეულებრივ გამოდის კრემის მაგვარი კონსისტენციის სახით, მაგრამ არსებობს აგრეთვე უფრო მშრალი, გაუცხიმოვანებული ფორმულები, რომლებიც გამოიყენება სახეზე გაუფერულებული ლაქების დასაფარავად.

კონსილერი ტუბში - გააჩნია უფრო კრემის ტექსტურა და ბევრად მსუბუქია, ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ის ნაოჭებში დაგროვდეს, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ასაკოვანი კანისთვის. ის შესანიშნავად ნიღბავს ნაკლს და თავისუფლად შეერევა დამატენიანებელს ან ფუძეს უფრო გამჭვირვალე პროდუქტის მისაღებად. ეს კონსილერი ასევე შესანიშნავად უხდება თვალებქვეშა წრეებს, რადგან ყველაზე იოლად შეერევა.

კონსილერი-ფანქარი - ეფექტური საშუალებაა პატარა დეფექტების დასამალად, მაგალითად, გაფართოებული სისხლძარღვების, ლაქების და სხვა მცირე ნაკლის. შესანიღბად საჭიროა მხოლოდ ფანქარი გავატაროთ კანზე. თუ შერჩეულია ზუსტი ელფერი, საკმარისია აკურატულად დასვათ წერტილი. შემნიღბველი ფანქარი ასევე კარგად ფარავს ტუჩის გარშემო ნაოჭებს, თუ მისი მოშორება გინდათ.

კომპაქტური კონსილერი - ეს გაუცხიმოვნებული ნაწარმი ყველაზე კარგადგამოიყენება გამონაყარისა და ლაქების დასაფარად. დიდხანს სძლებს და გააჩნია მშრალი ტექსტურა, რომელიც არ აღიზიანებს გამონაყარს კანზე. რადგან ეს კონსილერი დიდხანს სძლებს, ის ასევე ეფექტურია ასაკობრივიდა სხვა ჰიპერპიგმენტაციური ლაქების დასაფარავად.

შუქამრეკლი საშუალებები - ეხმარებიან ნაკლის დაფარვაში, მაგრამ სინამდვილეში არაფერს არ ნიღბავენ. უბრალოდ მათ გააჩნიათ შუქის ამრეკლი თვისებები, რომელთა წყალობით სინათლის სხივები გარდატყდებიან, რაც ამცირებს

არეების ჩამუქებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ქვევიდან ანათებენ ჩაღრმავებულ ადგილებს, მაგალითად, მუქ წრეებს, რომლებიც „ჩამოკიდებული ტომრებით“ და ნაოჭებითაა გამოწვეული.

საკმარისი ეს საშუალება ჩამუქებულ ადგილებზე, ფრთხილად დაიტანოთ და ისინი ნაკლებად შესამჩნევი გახდება უცხო თვალისთვის. შუქამრეკლ საშუალებებს ხშირად ურევენ შემნიღბავ საშუალებებში, რომლებსაც ნამდვილად არ წარმოადგენენ.

პუდრი

უზრუნველყოფს მაკიაჟის ხანგრძლივობას, ხელს უწყობს კანის ბუნებრივი მარილების შთანთქმას და ეხმარება კანს ლაპლაპის კონტროლირებაში მთელი დღის განმავლობაში. მისი წყალობით კანი გამოიყურება უფრო გლუვად და ბუნებრივად. სუფთა დატენიანებულ კანზე ფუნჯით პუდრის წასმითაც კი, სახე კოსმეტიკის გარეშეც გამოცოცხლდება.

სახის პუდრი მზადდება ძირითადად სამი კომპონენტისგან - ბრინჯის, სიმინდის სახამებლისგან და ტალკისგან.

ის არის ორი სახის - ფხვიერი და დაპრესილი.

მაკიაჟის შესანარჩუნებლად იყენებენ ფხვიერ პუდრს. ის უკეთ ჯდება სახეზე და დიდხანს სძლებს. ფხვიერი პუდრი შეიცავს ცხიმების მეტ აბსორბენტებს, ვიდრე კომპაქტური, ამიტომ ის უკეთ უხდება ცხიმიან კანს.

მოგზაურობის დროს კომპაქტური პუდრი ბევრად მოსახერხებელია. პუდრი შთანთქავს კანის ზედმეტ ცხიმებს, მისი წასმა დღეში რამდენიმეჯერ შეიძლება. რაც უფრო წმინდა ნაფქვავია, მით უფრო მაღალი ხარისხისაა. წმინდად დაფქვილი პუდრი ხელით გასინჯვისას ხავერდივითაა, ხოლო მსხვილად დაფქვილი - ქვიშასავით.

საშუალებები წარბებისთვის

წარბის კორექციას, დამუშავებას, შეღებვას თუ სხვა პროცედურებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაკიაჟის კეთების პროცესში. არააკურატულად გაკეთებული წარბი, მაშინვე თვალშისაცემია და შესანიშნავად შესრულებულ მაკიაჟსაც უკარგავს პეწს.

მნიშვნელოვანია იცოდეთ წარბის მოვლის საშუალებები:

ფანქარი - ყველაზე გავრცელებული საშუალებაა წარბების დასახატად. ფანქარი ამას ყველაზე ზუსტად აკეთებს. შეიცავს მეტ ცვილის კონსისტენციას, ვიდრე მაკიაჟის სხვა ფანქრები, რაც მის საღებავს საშუალებას აძლევს უკეთ მოეჭიდოს ბეწვებს და დიდხანს გასძლოს. წარბების ფანქრის გამოყენებისას, ყურადღება მიაქციეთ, რომ ის მუდამ მახვილად იყოს გათლილი იყოს, რადგან, რაც უფრო წაწვეტებულია წვერი, მით უკეთ ხატავს.

პუდრი - შედარებით მქრქალი საშუალებაა მღებავი პიგმენტის დიდი შემცველობით. ჩვეულებრივ ისმევა ფუნჯით და გამოიყენება კრემის და წარბების ფანქრის გასანმტკიცებლად, რომ უკეთ გასძლონ.

კრემი - წარბებს ანიჭებს ყველაზე მეტ გამომხატველობას და ყველაზე ნაკლებ ბუნებრივობას. მქრქალი კრემი ფუნჯით დაიდება და პუდრით მაგრდება - ასე ის მეტხანს ჩერდება. აძლევს წარბებს ყველაზე გაუმჭვირვალე საფარს, რაც ზოგჯერ აუცილებელი ხდება.

წარბების გელი - არის თმის გელი, მაგრამ გამოიყენება წარბებისთვისაც. შესანიშნავად უხდება სქელ წარბებს, რადგან ბეწვებს აჩერებს ერთ ადგილას. წარბების გელი გამოდის შეფერადებული და გამჭვირვალე.

რჩევა: წარბების ფანქრის არჩევისას დააკვირდით, რომ ის არ იყოს ძლიერ ცვილიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგიჭირდებათ მისი თანაბრად წასმა.

წამწამების ტუში არსებობს სამი ტიპის:

- ✓ **წამწამების გამასქელებელი** - სათითაოდ ფარავს თითოეულ წამწამს ძირიდან ბოლომდე ნაწილაკებით, რომლებიც ზრდიან წამწამების მოცულობას, და იქმნება შთაბეჭდილება, რომ წამწამები მთლიანობაში უფრო სქელია და ხშირი.

- ✓ **წამწამების დამაგრძელებელი** - შეიცავს პლასტიკურ პოლიმერებს, რომლებიც წამწამის ბოლოებს ეჭიდებიან, და იქმნება შთაბეჭდილება, რომ წამწამი უფრო გრძელია.

- ✓ **წამწამების დამაცალკავებელი** - ფარავს ცალკეულ ბეწვს, გამოყოფს ერთმანეთისგან, ასე რომ იქმნება შთაბეჭდილება მეტი მკაფიობის, და წამწამები ყველაზე ბუნებრივად გამოიყურება.

ტუში ხშირ შემთხვევაში არის წყალგამძლე.

??

ტუშის გამოყენებისას ასევე მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ ხომ არ აწუხებს კლიენტს ალერგია მის მიმართ. გარდა ამისა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტუში ძნელად მოსასორებელია და შესაძლოა წამწამები დააზიანოთ კიდეც.

ბევრმა არ იცის, რომ წამწამების ჯაგრისი ისეთივე მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგისთვის, როგორც ტუშის შიგთავსი.

არსებობს ოთხი ძირითადი ფორმის ჯაგრისი:

- ნახევარმთვარის (ნამგლისებური) ფორმის ჯაგრისი ეხმარება წამწამების აპრეხვაში ტუშის წასმის დროს.
- მსხვილი ჯაგარა ჯაგრისი ამსხვილებს წამწამებს, თითოეულ ბეწვს ფარავს ტუშით.
- ხრახნისებური ჯაგრისი, რომელსაც ან აქვს ძალიან მოკლე ბუსუსები, ან ისინი საერთოდ არ გააჩნია. ის მკაფიოდ გამოკვეთავს წამწამებს, თითოეულ ბეწვს ძირიდან ღებავს.
- ორმაგი ჯაგრისი პატარა ბუსუსებით თითოეული ბეწვის ბოლოში, რომელიც შუაში მსხვილდება, შესანიშნავად უხდება თხელ, მეჩხერ წამწამებს და შეღებვასთან ერთად მათ მოცულობას მატებს.

უკეთესია, ყოველთვის ტუშის ორი თხელი ფენა დაიტანოთ, ვიდრე ერთი სქელი და დაკოშტებული. ხშირი, მოცულობით წამწამები უფრო მიმზიდველს ხდიან თვალებს, ვიდრე თხელი „ობობას ფეხებივით“ მეჩხერი წამწამები.

თვალის „ლაინერი“

თვალის ლაინერი ერთერთი ყველაზე მარტივი და სწრაფი მაკიაჟის პროდუქტია. მართალია, თვალის ლაინერი ერთი შეხედვით უბრალოდ ისმის, თუმცა მისი სწორიგამ ოყენება განსაზღვრავს სქელ წამწამებს, თვალების ფორმას და საერთოდ სახისსრულ ტრანსფორმაციას. ლაინერის სწორედ დახატვა ჩრდილების დადებაშიც დაგეხმარებათ.

ლაინერი არსებობს ოთხი ძირითადი შიგთავსით:

თხევადი ლაინერი - შეღებილი სითხე, რომელიც უნდა ისმება წაწვეტებული პატარა ფუნჯით. თხევადი ლაინერი ყველაზე დიდხანს ძლებს და ყველაზე შესამჩნევია. არსებობს აგრეთვე ე.წ. ფლომასტერის და წვეტიანი აპლიკატორების ტიპის, რომლებიც

პატარა ღრუბლით ბოლოვდება. თხევადი ლაინერი კარგი საშუალებაა მათთვის, ვინც ხმარობს ხელოვნურ წამწამებს, მისი ბოლოების დასაფარავად. თხევადი ლაინერი წაისმება მხოლოდ ზედა წამწამების გასწვრივ, და არავითარ შემთხვევაში ქვედა წამწამების გასწვრივ, რადგან ასე, თვალის უხეშ და არაბუნებრივ ფორმას მივიღებთ.

მშრალი ლაინერი - დაპრესილი „სტიკის“ ფორმის პუდრის მაგვარი ნაწარმი წაისმება სველი პატარა ფუნჯით. იგივე შედეგი მიიღება, რაც თხევადი ლაინერის წასმისას, ოღონდ მშრალი ლაინერით ბევრად იოლია მუშაობა.

ცხიმიანი ლაინერი - ჩვეულებრივ გამოდის კრემის სახით ქილაში და წაისმება სველი პატარა ფუნჯით. ეფექტი იგივეა, რაც თხევადი სურმის გამოყენებისას. ის ფაქტი, რომ ის ბევრად სწრაფად შრება, აიოლებს მოხმარებას, და ამასთან ერთად ის არ იდღაბნება სახეზე.

ლაინერი-ფანქარი - წინათ ასეთი ტიპის ფაქნქრებს ათბობდნენ სანთებელათი ან ასანთით. ახლა ფანქრების უმრავლესობა სილიკონს შეიცავს, რაც აიოლებს მის დატანასა და საღებავის თანაბრად წასმ-შერევას. უპირატესობა ენიჭება მეტი სილიკონის შემცველ ფანქარს, რომ ის მსუბუქად დასრიალებდეს, მაგრამ არა იმდენად,

რომ იდღაბნებოდეს ან საღებავი ჩამოდიოდეს. მისი შძენა-გამოყენებისას აუცილებლად უნდა შეამოწმეთ, ფანქრის წყალგამძლეობა და ასევე დატანილი ხაზი მდგრადობა, რომ ის ადგეილზე რჩებოდეს და არ ჩამოდიოდეს.

თვალის ჩრდილები

თვალის ჩრდილები ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან გამოიყენებოდა. ეგვიპტურ სამარხებში აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის მასალა, რომლებსაც გამოიყენებდნენ ეგვიპტელი ქალბატონები თვალის ქუთუთოს დასაფარად და თვალზე ან თვალის ქვეშ ხაზების გასავლებად. აქვე იყო აღმოჩენილი სტიბიუმი (მოვერცხლისფრო-თეთრი ფერის მოლურჯო ელფერის მეტალოიდი), იგივე სურმა, რომელიც უკვე ძველი რომის დროს ძალიან აქტიურად იყენებდნენ ქალბატონები თვალების შესაღებად.

დღედღეისობით თვალის ჩრდილების მწარმოებელი კომპანიები უდიდეს არჩევანს გვთავაზობენ თვალის დეკორატიული მაკიაჟისთვის: მათ შორის სხვადასხვა ტექსტურის და განსხვავებული ეფექტის მიმცემი ჩრდილებს.
ჩრდილების ფუნქცია მაკიაჟის კეთების პროცესში უდიდესია, ჩრდილების შეხამებისა და დატანის სწორმა და შემოქმედებითმა მიდგომამ, შესაძლოა გასაოცარი ეფექტები მოგვცეს. მას შეუძლია სახის გარდაქმნა და სრულიად განსხვავებული იერსახის მიცემა.
თვალის ჩრდილების ფუნქციაში შედის თვალის გაზრდა, დაპატარავება, ფორმის შეცვლა და თვალის ფერზე ხაზის გასმა.
განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული თვალის ჩრდილები ტექსტურის მიხედვით:

მშრალი ჩრდილები - არსებობენ ფხვიერი და კომპაქტური, როგორც პუდრი. ორივე ფორმა არსებობს მქრქალი (არა პრიალა) და მბრწყინავი (მოციმციმე), ფერებში გარდამავალი და მოჭიქული. ეს ყველაზე პოპულარული სახეობის ჩრდილებია, ისინი იოლი მოსახმარია, იმიტომ რომ იოლი ასარევია. მაკიაჟის ხაზების უმრავლესობაში ამ ტექსტურას ყველაზე ფართო არჩევანი გააჩნია.

ცხიმიანი ჩრდილები - გააჩნიათ კრემის კონსისტენცია. არსებობენ მქრქალი («матовый») და მოციმციმე. შესანიშნავად გამოდგება, როცა საჭიროა ფერის წასმა მთელ ქუთუთოზე. ფრთხილად იყავით, რადგან ცხიმიანი ჩრდილები ხშირად აჩენენ თვალის ნაოჭებს. შესაძლებელია ასევე მშრალი და ცხიმიანი ჩრდილების შერევა, რათა გააძლიეროთ ფერის ინტენსივობა.

თხევადი ჩრდილები - ძირითადად გვხვდება მეტალისებრი ბზინვის ეფექტით. მათი ხმარება საკმაოდ ძნელია. მათი შერევა რთულია, ამიტომ აუცილებელია ზუსტად დაიდოს საჭირო ადგილას და ამისთვის გამოიყენება პატარა ფუნჯი. თხევადი ჩრდილი გამოიყენება ან თვალზე ლაინერივით, ან ისმება წამწამის ხაზთან ახლოს მათი ფერის ინტენსივობის გასაძლიერებლად.

ჩრდილ-ფანქარი - ძალიან მოსახერხებელია თვალების „ჩასახატად“, რადგან მახვილი წვერი გვეხმარება ძალიან ზუსტად წავისვათ. როცა თვალების „ჩახატვას“ მორჩებით, შეგიძლიათ უბრალოდ თითით, აპლიკატორის ღრუბლიანი წვერით ან პატარა ფუნჯით თანაბრად გაანაწილოთ ფანქრის ხაზი, რომ სასურველი ეფექტი მიიღოთ.



ზოგიერთი მშრალი ჩრდილი უფრო დაპრესილია და გააჩნია უფრო ფხვიერი ტექსტურა, იმ დროს, როცა სხვებს კრემის მაგვარი ტექსტურა გააჩნიათ.

რჩევა: უფრო ინტენსიური ფერის მისაღებად სცადეთ ერთდროულად მშრალი და ცხიმიანი ჩრდილების გამოყენება. გახსოვდეთ, რომ ცხიმიანის ზევიდან წასმული მშრალი ჩრდილი ხელს უშლის მათ შერევას, დაიწყეთ ყოველთვის ცხიმიანიდან.

ჩრდილების ეფექტის მახასიათებლები

გლუვი - უმეტესად გამოიყენება, როცა უნდათ ბუნებრივი, „შეუღებავი“ იერის შექმნა. ბუნებრივი შთაბეჭდილების წყალობით ეს საუკეთესო ჩრდილებია შუალედური ელფერის მისაცემად.

მბზინავი - შეუძლია შექმნას დიდებული გამჭვირვალე ფენა.

მბზინავი ჩრდილები ბრწყინავენ და ელვარებენ. როგორც წესი, არ ხდება თვალის ნაოჭებში მისი დაგროვება, ამიტომ შეუცვლელია ასაკოვანი კანისთვის.

ღია მოციმციმე ჩრდილები ჩინებულად გამოდგება ქუთუთოების ჩავარდნილი მიდამოების გამოსავლენად.

მუქი მოციმციმე ჩრდილები შესანიშნავად გამოდგება გარეგნობისთვის დრამატიზმისა და სიმკვეთრის მისაცემად.

მოჭიქული («глазуревые») **ჩრდილები** - უზრუნველყოფენ გაუმჭვირვალე საფარს და შეიცავენ თეთრ და ვერცხლისფერ „ნაპერწკლებს“. ისინი ჩვეულებრივ წარმოადგენენ პასტელის ელფერის საინტერესო ღია ჩრდილებს, რომლებიც უფრო უხდება ახალგაზრდა კანს. მოჭიქული ჩრდილები ნაოჭებში რჩება და ამიტომ არ უხდება ასაკოვან კანს.

ატლასისებური - შუალედური გლუვ და მბზინავს შორის. მათში მეტია სიპრიალე, მაგრამ ისე არ ბრწყინავენ, როგორც მბზინავი ჩრდილები. ატლასისებური ჩრდილები უხდება ნებისმიერი ტიპის კანს, მათ შორის ასაკოვანსაც.

იხილეთ ნახატზე, თვალის ფერის მიხევდით ჩრდილების პალიტრა.

რუჟი (”რუმიანა”)

რუჟი სამაოდ დიდ როლს თამაშობს მაკიაჟში. მაგალითად: სწორად შერჩეულ რუჟს თავისუფლად შეუძლია ასაკის მოკლება, ხოლო არასწორად შერჩეულს პირიქით. რუჟის წასმა ყველაზე ლოგიკურია მაკიაჟის დასრულებისას, რუჟი ახდენს სახის გამოკვეთას, მისი სწორად წასმის შედეგად სახე აღარ ჩანს ბრტყელი.

რუჟი როგორც წესი, ოთხი ძირითადი ტექსტურის არსებობს:

მშრალი რუჟი - ეს არის პუდრისებრი კოსმეტიკური საშუალება, რომელსაც გაჩნია ფერის პიგმენტი. ის უნდა წაისვათ პატარა ფუნჯით და უხდება ყველა სახეობის კანს. არსებობს სხვადასხვა ელფერის მქონე მშრალი რუჟი.

ცხიმიანი რუჟი - შეიცავს ფერის პიგმენტს კრემის ფუძეზე. გააჩნია ხასხასა, ბზინავი ტექსტურა, რაც კანს აძლევს ნათელ, ბუნებრივ იერს.
შესანიშნავად უხდება მშრალ კანს, რადგან იოლად ჯდება ზედაპირზე.

უკეთესი ეფექტი აქვს პუდრის ქვეშ, რადგან ისინი კარგად ირევა ერთმანეთში. საურველი არ არის ცხიმიან კანზე მისი დატანა.
ასევე არ გირჩევთ ასეთი „რუმიანის“ გამოყენებას ფორიან სახის კანზე, რადგან ის წარმოაჩენს ამ დეფექტს.
ჩინებულად უხდება მათ, ვისაც არ სჭირდება ან არ უნდა ფუძის წასმა.

გელისებური რუჟი - დამზადებულია სილიკონზე, შეიცავს ფერის პიგმენტებს. ძალიან კარგად ჯდება სუფთა კანზე და ლამაზად ასხივოსნებს მას.
ასეთი რუჟი დიდხანს სძლებს, გამოიყურება ძალიან ბუნებრივად და იოლი მოსახმარია. დაიტანეთ ის თითის წვერებით ან ღრუბლით, ხოლო მერე ნაზად შეაზილეთ კანში.

თხევადი რუჟი - ეს არის სითხე, რომელსაც ფერის პიგმენტი გააჩნია და კანს შეფერილობას აძლევს. გამოდგება ნებისმიერი სახეობის კანისთვის. შეღებვის ეფექტის გამო აუცილებელია მათი ჩქარი არევა. თხევადი რუჟი ძირითადად წყალგამძლეა და მთელი დღე სძლებს. ისინი უნდა წაისვას ან ღრუბლით ან თითის წვერებით და მერე მოხდეს შეზელა კანში.

ბრონზატები

ბრონზატები - ბრინჯაოს ეფექტის მქონე საშუალებაა და გამოიყენება კანისთვის თბილი, ჯანმრთელი ბრწყინვალების მისაცემად, რომელიც ბრინჯაოს ბზინვას გვაგონებს. ჩვეულებრივ გამოდის პუდრის ან კრემის სახით.

მშრალი პუდრი-„ბრონზატი“ - ყველაზე პოპულარულია, რადგან მარტივად ირევა და კონტროლდება. გამოდის ორი სახის შეფუთვაში - ან როგორც კომპაქტური

პუდრი ტუბებში, ან როგორც დაპრესილი პატარა ბურთულები. ამ ტიპის ბრონზატების სახის სტრატეგიულ ადგილებში ფუნჯით წასმით სახე მყისიერად ცოცხლდება.

ცხიმიანი კრემ-„ბრონზატი“ - გამოიყენება კანისთვის ბრინჯაოს ეფექტის მისაცემად. გამოდის „სტიკის“ ფორმით ან ქილებში. კრემ-„ბრონზატი“-ს წასმა ხდება თითებით ან ღრუბელით. შესანიშნავად უხდება მშრალ კანს, თუ არ გსურთ ფუძის წასმა, მაგრამ კანს გინდათ მიანიჭოთ მეტი ბზინვარება.

ტუჩსაცხი („პომადა“)

პომადა ქალის სახეზე ყველაზე მნიშვნელოვანი კონტურია.

პომადა, რომელიც დღეს მაკიაჟის განუყოფელი ნაწილია, ძველ ეგვიპტეში შეუქმნიათ - იქ თურმე ჯერ კიდევ 5 ათასი წლის წინათ ისვამდნენ ტუჩებზე ცვილისა და რკინის ჟანგის ნარევს. ანტიკური ეპოქის ლამაზმანები ტუჩებს ცხიმიანი ფერადი თიხით იღებავდნენ, ძველ რუსეთში კი ბაგეების შესაღებავად ჭარხალს, მარწყვსა და ჟოლოს იყენებდნენ.

პომადის სრულყოფაში დიდი როლი შეასრულა კარდინალმა რიშელიემ, რომელსაც სიგიჟემდე უყვარდა ვაშლის სურნელი.
კარდინალს მუდამ ედგა მაგიდაზე ვაშლით სავსე ლარნაკი, ერთხელ კი თავის მკურნალს უბრძანა, ცხვირის წვერსა და ზედა ტუჩზე წასასმელად მისთვის საგანგებოდ მოემზადებინა ვაშლისსურნელიანი საცხი. სწორედ ამ მკურნალმა შემოიღო ტერმინი "პომადა" (პომმე ფრანგულად ვაშლს ნიშნავს). რა თქმა უნდა, კარდინალისთვის მომზადებული პომადა უფერული იყო, მაგრამ მასში საღებავის დამატება ძნელი არ გახლდათ...
სხვათა შორის, ფერადი პომადით ძველად არა მხოლოდ ქალები, არამედ მამაკაცებიც სარგებლობდნენ. მაგალითად, ლუდოვიკო XVI-ის კარზე ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. ტუჩების კონტურის გამოკვეთა სავალდებულოდაც კი ითვლებოდა, რათა პირი წვერ-ულვაშში კარგად გამოჩენილიყო.

პომადის შერჩევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ასაკი, თმის, კანისა და კბილების ფერი.

პომადის შერჩევისას მნიშვნელოვანია კანის ფერის გათვალისწინება, მუქი ფერის კანს უხდება შოკოლადისფერი, ღვინისფერი, წითელი და ქლიავისფერი (იასამნისფერი, მოწითალო ფერი); ღია ფერის კანს _ კრემისფერი, ღია მარჯნისფერი, ღია ვარდისფერი. საერთოდ, თბილი ფერის (ხორბლისფერი, ატმისფერი და სპილოს ძვლისფერი) მქონე კანს, ასევე თბილი ფერის პომადა უნდა შეუხამოთ, ხოლო ცივი ფერის მქონე კანს _ ცივი ტონალობის პომადები.

განვიხილოთ პომადები ტიპების მიხედვით:

მქრქალი ტუჩსაცხი - უზრუნველყოფს დახვეწილ, ინტენსიურ ფერს, რომელსაც არ გააჩნია არანაირი სიპრიალე. თავისი შიგთავსის წყალობით მქრქალი ტუჩსაცხი დიდხანს სძლებს ტუჩებზე, მაგრამ შეიძლება გამოშრეს და ჩნდება შესახედაობა თითქოს ტუჩები

გამოშრა. ასეთი ტუჩსაცხი მისაღებია, თუ ირჩევთ მუქ, ინტენსიურ ფერებს, რადგან ის არ იდღაბნება.

ცხიმიანი ტუჩსაცხი - შეიცავს მეტ დამატენიანებელ, დამარბილებელ ნივთიერებას, ვიდრე მქრქალი ტუჩსაცხი და ტუჩს ანიჭებს „სველ“ (მაგრამ არა მბრწყინავ) ფერს. კოსმეტიკური მიმართულებების უმრავლესობა გვთავაზობს ამ შიგთავსის მქონე ტუჩსაცხების ყველაზე ფართო არჩევანს, რადგან ის ყველაზე უნივერსალური და პოპულარულია. კარგად და დიდხანს სძლებს, არ იწვევს გაუწყლოვნების, სიმშრალის შეგრძნებას, როგორც ამას მქრქალი ტუჩსაცხი აკეთებს.

სადაფისმაგვარი (პერლამუტრი) - უზრუნველყოფს მკრთალ ფერს და ქმნის მეტალისებრი ბზინვის შეგრძნებას. სადაფისმაგვარი ტუჩსაცხი ჩვეულებრივ უზრუნველყოფს გაუმჭვირვალე საფარს

გამჭვირვალე - ეს არის მბრწყინავი ტუჩსაცხი, რომელიც ტუჩების ბუნებრივ ფერს ასხივოსნებს. ეს ტუჩსაცხი მეტხანს სძლებს, ვიდრე სადაფისებური, მაგრამ არც ისე დიდხანს, როგორც ტუჩსაცხი-კრემი. ჩინებულად მუშაობს, როცა საჭიროა რაღაცის სწრაფად შესწორება.

ტუჩის პრიალა საცხი („ბლესკი“) - ეს არის ყველაზე მბრწყინავი და სველი ტუჩსაცხი. ქმნის ფერის გამჭვირვალე ფენას, რომელიც ხშირად უნდა წაისვას. იმის მიუხედავად, რომ ტუჩის პრიალა საცხი დიდხანს არ ჩერდება, სიპრიალე ტუჩებს აცოცხლებს და უხდება ყველა ასაკის ქალბატონებს.

ტუჩის კონტური - ეს არის ფანქარი, რომელიც გამოიყენება ტუჩების მეტად გამოსაკვეთად. აკეთებს ტუჩების ფორმის კორექტირებასდა ასევე ხელს უშლის ტუჩზე წასმული ფერის ნაოჭებში შეღწევას. კონტურით შემოიხაზება ტუჩები და მერე წაისმება ტუჩსაცხი. კონტური ეხმარება ტუჩსაცხს უფრო დიდხანს შენარჩუნდეს ტუჩზე.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. როგორ ვიქცევით ფუძის შერჩევისას?

2. ჩამოთვალეთ და აღწერეთ კონსილერის ტიპები.

3. რა საშუალებებს ვიყენებთ წარბზე მაკიაჟისთვის?

4. ჩრდილების რა ტიპებს იცნობთ ეფექტების მიხედვით?

5. როგორი ტექსტურა აქვს ცხიმიან რუჟს?

6. რა არის ბრონზატი?

7. ტუჩსაცხის რომელი ტიპი შეიცავს დამატენიანებელ ნივთიერებას?

8. აღწერეთ ტუჩის კონტურის ფუნქცია.

თავი 4

ინსტრუმენტები

ამ თავში აღწერილია ვიზაჟის სპეციალისტისთვის განკუთვნილი ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც დაგეხმარებათ სასურველი მაკიაჟისა და ეფექტის მიღწევაში.

ღრუბელი

ღრუბლის არჩევისას გახსოვდეთ, რომ ის უნდა იყოს დამზადებული მაღალხარისხიანი ლატექსისგან (პოროლონისგან) და მსუბუქად უნდა დასრიალებდეს კანზე. შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი ფორმა - თქვენი გემოვნების მიხედვით: მრგვალი, ოვალური, სამკუთხედი ან სოლისებური. აირჩიეთ ის, რომელიც თქვენთვის უფრო მოსახერხებელია. გამოიყენეთ ღრუბელი ფუძის და შესანიღბი საშუალების წასასმელად, ასევე შესარევად.

პუდრის წასასმელი ბუმბულა

საუკეთესო ბუმბულა, როგორც წესი, ფაფუკია და ხავერდოვანი ტექსტურა აქვს. ბუმბულა გამოიყენებენ კომპაქტური და ფხვიერი პუდრის წასასმელად.

წამწამების ასაპრეხი

ეს ინსტრუმენტი გამოიყენება წამწამების ასაპრეხად, რაც ფართოდ გახელილი თვალების ეფექტს ქმნის. ეს ნებისმიერი ასაკის ქალებისთვის სილამაზის აუცილებელი ინსტრუმენტია.

წარბების ფუნჯი - გააჩნია ტუშის წასასმელი ჯაგრისის ფორმა. ეს ფუნჯი გამოდგება ამოქნის მერე ცალკეული ბეწვების დასავარცხნად. გამოიყენეთ ის, რათა კარგად დაიყენოთ წარბები და შეინარჩუნოთ იდეალური ფორმა მთელი დღის განმავლობაში.

წარბებზე პუდრისა და კრემის წასასმელად იდეალურია დაცერებული ფუნჯი, მისი მაგარი ბეწვები ასევე კარგად ათანაბრებენ წარბებზე ფანქრით წასმულ ხაზებს.

ლაინერის ფუნჯი - ეს თხელი წამახვილებული პატარა ფუნჯი შესანიშნავად გამოდგება როგორც მშრალი, ისე სველი და ცხიმიანი ლაინერის ზუსტად წასასმელად.

ფუნჯი ჩრდილისთვის სურ.01

პატარა ფუნჯი გათვალისწინებულია თქვენი საყვარელი ჩრდილის ელფერის ზუსტად წასასმელად წამწამის ქვედა ხაზის გასწვრივ. ასევე შეგიძლიათ მისი გამოყენება ზედა ქუთუთოზე ფერის ძალიან ზუსტი ხაზის წასასმელა

სურ.01

ფუნჯი ჩრდილისთვის სურ.02

გამოკვეთილად დაცერებული ფუნჯი, შესანიშნავად გამოდგება ქუთუთოზე გარდამავალი ელფერის წასასმელად ან სხვადასხვა ფერის ჩრდილების ერთმანეთში ასარევად.

სურ.02

ფუნჯი ჩრდილისთვის სურ.03

ეს დიდი ფუნჯი შესანიშნავად გამოდგება გარდამავალი ელფერის ქუთუთოზე წასასმელად და ფერების ერთმანეთში ასარევად. მისი ქონა აუცილებელია, თუ ერთზე მეტ ფერს ისმევთ ქუთუთოზე.

სურ.03

ფუნჯი ჩრდილისთვის სურ.04

რკალივით მოხრილი პატარა ფუნჯი დაგეხმარებათ ზუსტად წაისვათ ყველაზე ინტენსიური ფერი წამწამების ხაზის გასწვრივ და ქუთუთოს ნაკეცების გარე კუთხეებში.

სურ.04

ფუნჯი რუჟისთვის სურ.05

მოცულობითი რბილი ფუნჯი საუკეთესოა მშრალი რუჟის ან ბრონზატის წასასმელად. ფუნჯი ბოლოში ვიწროვდება, რაც დაგეხმარებათ წასმის დროს ფერების ერთმანეთში არევაში.

სურ.05

ფუნჯი ფუძის წასასმელად სურ.06

მსხვილი გლუვი ფუნჯი განკუთვნილია ცხიმიანი ან თხევადი ფუძის თანაბრად წასასმელად. შესანიშნავად გამოდგება დღის ბოლოს კანის იერსახის შესაცვლელად, გვეხმარებათ უკვე წასმულ ფუძეს თანაბარად და კოხტად გაუკეთოთ კორექტირება.

სურ.06

პუდრის წასასმელი ფუნჯი სურ.07

ეს დიდი ფუმფულა ფუნჯი შესანიშნავად გამოდგება ფხვიერი პუდრის წასასმელად, რათა სახის კანს გავუკეთოთ თანაბარი, ნარნარა, გამჭვირვალე კორექცია. ასევე გამოდგება რუჟის წასასმელად.

სურ.07

შენიღბვის (კონსილერის) ფუნჯი სურ.08

კონუსური ფორმის ფუნჯი გამოიყენება ზუსტი შენიღბვისთვის. ფარავს ლაქებს ან სხვა კოსმეტიკურ ნაკლს სახეზე. არ ურევს ფერებს.

სურ.08

თვალების შესაღები ფუნჯი სურ.09

ეს ფუნჯი დაგეხმარებათ შემოავლოთ ან გამოკვეთოთ თვალები ჩრდილის დახმარებით ან დაიტანოთ პუდრი ლაინერის ზემოდან, რათა მიეცეს უფრო ბუნებრივი იერი.

სურ.09

პინცეტი

გამოიყენება წარბების კორექციისათვის.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რისგან უნდა იყოს დამზადებული ღრუბელი

2. რამდენი ტიპს ფუნჯი არსებობს თვალის გამოკვეთისთვის.

3. რამდენი ტიპს ფუნჯი არსებობს სახის კანზე მაკიაჟის დატანისთვის?

4. რა ეფექტს იძლევა წამწამების ასაპრეხი ხელსაწყო?

5. რა ტიპის ფუნჯი გამოიყენება წარბზე კრემისა და პუდრის წასასმელად?

6. რა ფორმისაა კონსილერის ფუნჯი?

7. რისთვის გამოიყენება დიდი, ფუმფულა ფუნჯი?

8. რა ფორმისაა წარბების დასავარცხნი ფუნჯი?

თავი 5

წარბების კორექცია

ამ თავში გაეცნობით წარბის მოვლას, წარბის მიდამოების ზედმეტი ღერებისაგან გაწმენდას, წარბის ფორმის სასურველი ფორმის მონახაზის შესრულებასა და წარბისათვის შერჩეული ფორმის მიცემას.

წარბის ფიზიოლოგიური ფუნქცია არის თვალების დაცვა (მიკრობებისგან, მტვერისგან, ოფლისა და სხვა.) წარბის ფუნქციაში სედის ასევე თვალის ჭრილის დამატებითი გაფორმება.

წარბი თვალს შუბლიდან ჩამოსული ოფლისა და სხვა გაჭუჭყიანებისგან იცავს. თავზე არსებულ თმასთან შედარებით, წარბის თმა უფრო სქელია და ნელა იზრდება ქალებს უფრო თხელი აქვთ ვიდრე მამაკაცებს.

მათ ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს კანის ზოგიერთი შიანაგანი დაავადება. მაგალითად, ფარისებური ფირკვლის ნორმალური ფუნქციის დაკარგვისას წარბები წვრილი, იშვიათი ხდება, ზოგჯერ ცვივა.

ხშირად თვალებისა და სახის გამომეტყველება დამოკიდებულია წარბების ფორმაზე, მათ ფერსა და სიგრძეზე. წარბები არ უნდა იყოს არაბუნებრივად შავი, ძლიერი გრძელი ან მოკლე. წარბების ფორმა ხაზსს უნდა უსვამდეს ინდივიდუალობას და თვალების ფორმას ჰარმონიულად ეხამებოდეს.

წარბის გეომეტრიას თავისი წესები აქვს:

იდეალური წარბი იწყება ვერტიკალური ხაზიდან, რომელიც გადის თვალის შიდა კუთხეში და მთავრდება დახრილი ხაზით თვალის გარე კუთხესთან. წარბის ზედა ტიხარი შეტეხილი უნდა იყოს თვალის გუგის დონეზე, როდესაც თვალები წინ სწორად იყურება.

წარბი იყოფა 3 ნაწილად: წარბის თავი, წარბის ტანი და წარბის კუდი.
წარბის ტიპებია: განიერი, ვიწრო, მოკლე, გრძელი და გადაბმული.
წარბის ფორმებია: გარდამავალი, მრგვალი, სწორი, შეტეხილი.

წარბის მდგომარეობაა: ჰორიზონტალური, ამომავალი, ჩამოწეული.

წარბზე კეთდება ტრიმინგი და შეღებვა.

კოხტა, მოვლილი წარბები სილამაზის აუცილებელი პირობაა.

განვიხილოთ წარბის ტრიმინგი:
წარბის ტრიმინგს უმეტეს შემთხვევებში მამაკაცები მიმართავენ, თუმცა წარბის ფორმისა და თმის ღერების სიგრძის მიედვით ქალბატონებიც მიმართავენ ამ ხერხს.

წარბის ტრიმინგისას წარბზე არსებული თმა უნდა აივარცხნოს ზემოთ, წვრილი სავარცხლის ან წარბის ფუნჯის გამოყენებით. თმა რომელიც წარბის არსებულ ფორმას სცილდება და არის ზედმეტი უნდა მოიჭრას საპარიკმახერო ან პატარა მაკრატლით.

პატარა, წვრილი სავარცხლის გამოყენებიტ ხდება წარბის ცამოვარცხნა ქვედა მიმართულებით და ანალოგიურად აქაც იჭრება თმის ღერების ზედმეტი სიგრძე. შემდეგ ივარცხნება დარჩენილი თმა 45°-იანი დახრით და ვაკვირდებით სავარცხელს. თუ არის დარჩენილი სავარცხლიდან ამოწვერილი თმა, მასაც ვჭრით.

წარბის შეღებვა

არ შეიძლება წარბების ერთ მთლიან ხაზად შეღებვა.
ამით სახე არაბუნებრივ იერს იძენს. წარბის დასაწყისი შედარებით ღია ფერის საღებავით იღებება, შუა ნაწილი უფრო მუქით, დაბოლოება კი - წვრილი, მსუბუქი შტრიხით.
შესაღებად გამოიყენება ფანქარი, ტუში ან წარბების სპეციალური საღებავი, რომელიც 3-4 კვირა ძლებს. წარბების შეღებვა თხევადი ტუშითაც შეიძლება. ამ შემთხვევაში ფუნჯი იხმარება.
შეღებვამდე წარბები ლოსიონით ან სხვა კოსმეტიკური საშუალებით უნდა გაიწმინდოთ. ამის შემდეგ, ფუნჯის მეშვეობით, ნელ-ნელა დაიწყეთ საღებავის წასმა წარბის დაბოლოებიდან ცხვირის ფუძისკენ. ღებვის დასრულებისას, საღებავი ჯერ მშრალი, შემდეგ კი საპნიანი ტამპონით უნდა მოცილდეს და კანი თბილი წყლით, ფრთხილად დაბანეთ.

როგორ უნდა განსაზღვროთ წარბების ფერი

წარბის შეღებვამდე გაითვალისწინეთ, რომ წარბები ერთი ტონით მაინც ღია ფერის უნდა იყოს, ვიდრე თმა. მაკიაჟის გაკეთებისას ანგარიშგასაწევია აგრეთვე თვალების ფერიც.

შავგვრემანთათვის რეკომენდებულია ყავისფერი ან მუქი ნაცრისფერი საღებავი. შავად შეღებილი წარბები სახეს მკაცრ და პირქუშ იერს ანიჭებს. ქერა ქალებმა უმჯობესია, ღია წაბლისფერი ან ღია ნაცრისფერი საღებავი გამოიყენონ.



ზოგ ადამიანს ბუნებრივად ლამაზად მოხრილი წარბები აქვს, ზოგს სწორი. ერთადერთი გზა, რომელიც სწორ წარბებს მოხრილად აქცევს - მისი ბოლომდე გაქრობა (თმის მოშორების სხვადასხვა გზით) და ახლის დახატვაა (ტატუაჟი იგივე პერმანენტული მაკიაჟი). მაგრამ ეს არ არის სწორი გზა.

არსებობს უფრო ეფექტური ხერხი თუ როგორ მოვნახოთ წარბებისთვის საუკეთესო ფორმა.

წარბებზე მუშაობის დაწყების წინ შეაგროვეთ ყველა ინსტრუმენტი. თქვენ დაგჭირდებათ პინცეტი, წარბების პატარა ფუნჯი, პატარა მაკრატელი და თვალის თეთრი ფანქარი.

იწყებთ წარბის შეფასებით

ისინი ძალიან ხშირია? ძალიან ხშირი წარბები ან უნდა შემოიჭრას ან უნდა გაღიავდეს.

წარბების შემოსაჭრელად უბრალოდ ავარცხნეთ ისინი ზევით და მიაჭერით ყველა ზედმეტი თმა, რომელიც სცილდება წარბების ზედა ხაზს. შემდეგ ჩამოვარცხნეთ ქვევით და მოჭერით ყველა ურჩი ბეწვი, რომელიც სცილდება წარბების ქვედა ხაზს (კეთდება ტრიმინგი).

წარბის თმა ხშირად სინამდვილეში ბევრად გრძელია, ვიდრე ჩანს, რადგან ბეწვების ბოლოები უფრო ღიაა და როცა გარკვეულ სიგრძეს მიაღწევენ, დახვევას იწყებენ.როცა მათ ჭრით, თქვენ ამცირებთ წარბების სიხშირეს და ჭრით ამ ხვეულებს, და თმა უფრო აკურატულად ჯდება.

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, თუ წარბების შეჭრა გჭირდებათ, ეს გააკეთეთ მანამ, სანამ დაიწყებთ მის ამოქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დაარღვევთ წარბების ხაზს, ამოიღებთ იმ ბეწვებს, რომლებიც უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ უბრალოდ მეტისმეტად გრძელები იყვნენ.

წარბები ძალიან უფერულა ან ჭაღარა ბეწვები ჩანს? შეგიძლიათ ოდნავ შეღებოთ ისინი.

შეღებვა დაგეხმარებათ მათ უკეთ შემოხაზვაში და შეამცირებს წარბების მაკიაჟის მოთხოვნას.

განვიხილოთ წარბის ამოქნა:

საუკეთესო მომენტი წარბის ამოსაქნელად არის შხაპის შემდეგ. პროცესი ბევრად უმტკივნეულო იქნება, რადგან ფორები ამ დროს გაფართოებულია. ეცადეთ ეს გააკეთოთ დღის შუქზე - უკეთ დაინახავთ, რას აკეთებთ.

ერთი წარბიდან რამდენიმე ბეწვის ამოღების შემდეგ გადადით მეორე წარბზე, მერე დაუბრუნდით პირველს და ასე შემდეგ, რომ პროცესი სიმეტრიულად მიდიოდეს.

ბეწვი ყოველთვის ამოიღეთ მისი ზრდის მიმართულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება არასწორად გაიზარდოს.

როცა წარბების ამოსაქნელად მოემზადებით, ერთი ეშმაკობა იხმარეთ - გამოიყენეთ თვალის თეთრი ფანქარი, რათა იმ ფორმის ხაზი (რაღაც ტრაფარეტის მსგავსი) გაავლოთ, როგორიც გინდათ, წარბები რომ გქონდეთ. ეს შესანიშნავი ხერხია წარმოდგენა გქონდეთ საბოლოო შედეგზე, სანამ წარბების ამოქნას დაიწყებდეთ. თან მარტივია, იქნით იმ ბეწვებს, რომლებიც თეთრადაა მოხაზული.

არსებობს კიდევ ერთი გზა - ქაღალდის ფორმები, იხილეთ სურათი

სურ.10

რჩევა: თვალ-ყური ადევნეთ, ზედმეტი არ მოგვიდეთ, რადგან მეჩხერი წარბები განსაკუთრებით ასაკოვან სახეს ძალიან აბერებს.

შეგიძლიათ არასასურველი თმები ცვილით მოიშოროთ, მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ ბეწვები შეიძლება არასწორად გაიზარდოს, რადგან ცვილი მათ ამოიღებს ზრდის მიმართულების საწინააღმდეგოდ.
და კიდევ ერთი გაფრთხილება: წარბებისამოსაქნელად ცვილის მუდმივმა გამოყენებამ შესაძლებელია ბოლოსდაბოლოს კანს გოფრირებული იერი მისცეს.

როგორ განვსაზღვროთ, საიდან დავიწყოთ?
როგორ გავხადოთ წარბები იდეალური ფორმის?

წარბების ხაზზე მონიშნეთ სამი შემობრუნების წერტილი შემდეგი მარტივი სავარჯიშოს დახმარებით:



წერტილი 1. ფანქარი ან ფუნჯის ტარი გიჭირავთ შვეულად, გვერდიდან ადებთ ცხვირზე და აკვირდებით, სად ხვდება წარბს. ამ წერტილიდან წარბი უნდა დაიწყოს.

წერტილი **2.** ადებთ ფანქარს ნესტოზე და გადგაქვთ დიაგონალზე თვალის ფერადი გარსის გარე ნახევრის მხრიდან. დააკვირდით, სად შეხვდება წარბს. ეს წარბის მოხრის ზედა წერტილის საუკეთესო ადგილი იქნება. თუ ამოიქნით წარბს **1** წერტილიდან **2** წერტილის მიმართულებით, თანდათან დაავიწროვეთ ხაზი ზედა წერტილთან. თქვენ მიიღებთ იდეალური ფორმის წარბს.

წერტილი **3.** კვლავ ადებთ ფანქარს ნესტოზე და გადაგაქვთ დიაგონალზე თვალის გარე კუთხის მხრიდან. იქ, სადაც ფანქარი შეხვდება წარბს, იქნება მისი დამთავრების საუკეთესო ადგილი. როცა წარბს ამოქნით **2** წერტილიდან **3** წერტილის მიმართულებით, სულ უფრო დაავიწროვეთ ხაზი, რათა მიიღოთ იდეალური ფორმის წარბი.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. როგორ გავხადოთ წარბები იდეალური ფორმის?

2. აღწერეთ წარბის სწორად ამოქნა.

3. როგორ ხდება წარბების შეჭრა?

4. ჩამოთვალეთ წარბის ფორმები?

5. აღწერეთ წარბის ტრიმინი

6. რა ინსტრუმენტები გამოიყენება წარბის კორექციის დროს?

7. რა საშუალებებით ხდება წარბის შეღებვა?

8. როგორია წარბის ფუნქცია?

თავი 6

წამწამების კორექცია

ამ თავში აღწერილია წამწმების მოვლა, მოვლის საშუალებები და წამწამების გახშირვისა და დაგრძელების სხვადასხვა გზა.

წამწამები სახის მნიშვნელოვანი დეტალია.
ის იცავს თვალებს მტვრისა და სხვადასხვა დაზიანებისგან, ხაზს უსვამს თვალების ფორმას.
ზოგჯერ ლამაზი წამწამები ცვლის გარეგნობას, ხოლო მათი ჩრდილი განსაკუთრებულ სიღრმეს ანიჭებს მზერას. წამწამები და წარბები ადამიანებს სხვადასხვა სიგრძისა და ფერისა აქვთ: ქერებს - უფრო ბაცი და მოკლე, ვიდრე შავგვრემნებს. ბუნებისგან წამწამები თვალების დასაცავად გვაქვს ბოძებული, სწორედ ამიტომ სჭირდებათ მათ განსაკუთრებული მოვლა.

წამწამების ფერი და სიხშირე გენეტიკურად გადმოგვეცემა. ისინი ნელა იზრდება და ასაკთან ერთად ფერს არ იცვლის. წამწამები 100 დღის განმავლობაში "ცოცხლობს". მათი შეცვლა შეუმჩნევლად მიმდინარეობს. თუ წამწამები ცვივა და მათ ადგილას ახალი აღარ ამოდის, აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება იყოს: A ვიტამინოზი, იმუნური დაავადებები, თვალების ტკივილი, ან ასევე უპეების ანთება. ხშირად წამწამების ცვენა დროებითია და კოსმეტიკის მიმართ ალერგიითაა განპირობებული. თუ "ტუშის", კრემის, ლოსიონისა და სხვა კოსმეტიკური საშუალებების შეცვლა წამწამების მტვრევას დაემთხვევა, ესე იგი, ეს კონტაქტური ალერგიის ბრალია. სცადეთ სხვა კოსმეტიკური საშუალებები, მაგრამ თუ ესეც არ გამოიღებს შედეგს, მაშინ ექიმი-კოსმეტოლოგის რჩევაა საჭირო. პროფილაკტიკისთვისკი მრავალჯერ ნაცადი საშუალებები დაგეხმარებათ:
საღამოს წამწამების გაწმენდა აბუსალათინის ზეთში დასველებული ბამბით ან მათი დავარცხნა ამ ზეთში დასველებული ჯაგრისით. შედეგის მალე მისაღწევად მასში დაამატეთ ვიტამინები A, D, E. ასევე ცნობილია, რომ აბუსალათინის ზეთი წამწამებს ზრდის კიდევაც.

ბევრს აწუხებს ქუთუთოს კიდეების სიწითლე. ის შესაძლოა გამოწვეული იყოს ძლიერი ქარით, მტვრით, მზის მკვეთრი სხივებით, ძალიან ძლიერ ან, პირიქით, სუსტ განათებაზე მუშაობით, თითებით, ცხვირსახოცით ქუთუთოების ძლიერ მოწმენდით. ქუთუთოების ხანგრძლივი გაწითლება შესაძლოა წამწამწების გათხელების, გამოფიტვის და სწრაფი ცვენის მიზეზად იქცეს. ქუთუთოების სიწითლის თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია გაზაფხულზე და ზაფხულში სპეციალური დამცავი სათვალის ტარება, ბორის მჟავას, მაგარი ჩაის ან გვირილის ხსნარით თვალების დაბანა. უფრო უკეთესია ამ ხსნარებში დასველებული საფენების გამოყენება. იმის გათვალისწინებით, რომ, საზოგადოდ, ორგანიზმის გამოფიტვამ, სისხლნაკლებობამ, არანორმალურმა კვებამ და სხვა ფაქტორებმა შეიძლება ქუთუთოების გაწითლება გამოიწვიოს, აუცილებელია ექიმის მითითებით ზოგადმატონიზებელი რეჟიმის დაცვა.

დავიწყოთ იმით, რომ წამწამები ყოველთვის უნდა აიპრიხოს - ეს არის აუცილებელი პირობა. რადგან როგორც ამბობენ, წამწამზე ტუშის წასმაც საკმარისია რომ მოწესრიგებულად გამოიყურებოდეო. ტუში დღევანდელობის ყოველდღიური ატრიბუტი გახდა.
წამწამების აპრეხით ხდება თვალების მაქსიმალურად გაღება, თვალი უფრო დიდი გახდება და ბევრად ახალგაზრდულად გამოჩნდება.
ყურადღება მიაქციეთ: ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებთ უნდა იყოს ხარისხიანი

წამწამების აპრეხვის საიდუმლო იმაშია, რომ მთელ სიგრძეზე აპრიხოთ წამწამები რამდენიმეჯერ. ინსტრუმენტი "გაატარეთ" წამწამების მთელ სიგრძეზე, ხან დახურეთ, ხან გააღეთ და გადაადგილეთ ის ზევით რამდენიმეჯერ. ეს ხერხი მოხრის წამწამებს და დაეხმარება აიპრეხვაში.

შეიძლება წამწამების დაგრძელება ან გასქელება - ამაში ტუში დაგეხმარებათ თუკი მოხდება მისი სწორად დადება. სხვადასხვა სახის ტუშები, რომლებიც აგრძელებენ და ასქელებენ წამწამებს, შეიცავენ ნაწილაკებს, რომლებიც ეკვრიან წამწამებს, ასე რომ თქვენ თვითონ შეგიძლიათ შეცვალოთ წამწამების იერსახე.

წამწამების გასასქელებლად:

დაიწყეთ წამწამების ძირიდან და პატარა ჯაგრისა-ფუნჯი დაიჭირეთ თარაზულად, ამოძრავეთ ზოგზაგისებურად მით უფრო გაახშირეთ ეს მოძრაობა, რაც უფრო მეტად ადიხართ ზევით წამწამების ბოლოებისკენ. ეს დაეხმარება ტუშის ნაწილაკებს მიეკროს წამწამების გვერდით მხარეებს, და ისინი გასქელდება.

წამწამების დასაგრძელებლად:

დაიჭირეთ ჯაგრისა-ფუნჯი შვეულად. დაიწყეთ წამწამის ხაზის ძირიდან და გაუსვით ჯაგრისა-ფუნჯი ზევით და გარეთ წამწამების ბოლოებისკენ. ტუშის ნაწილაკები მიეწებება წამწამების ბოლოებს და ვიზუალურად ისინი დაგრძელდება.
წამწამების დასაგრძელებლად (გრძელი ეფექტისთვის) გამოიყენე ოდნავ მოქნილი წახნაგოვანი ტუში. იგი შემუშავებულია სპეციალურად, რათა თითოეული წამწამი შეღებოს და არ დატოვოს შავი ლაქები.

შეამოწმეთ, სწორი მასალის ტუში გაქვთ თუ არა შერჩეული, რომ სასურველი შედეგი მიიღოთ. თუ გინდათ წამწამების ხაზი გამოკვეთოთ, გამოიყენეთ გამოსაკვეთი შიგთავსი. თუ გინდათ წამწამების გასქელება, გამოიყენეთ გამასქელებელი შიგთავსი.

არსებობს წამწამების მოვლის სხვადასხვა საშუალება, რომელიც სასურველია რომ იცოდეს მაკიაჟის პეციალისტმა:

1. **დატენიანება**

არსებობს წამწამების მოვლის სპეციალური საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობს წამწამის დატენიანებას და კვებას, შედეგად წამწამი ხდება უფრო ჯანსაღი და მოცულობითი.

სხვადასხვა შრატი და გელი ატენიანებს და ამაგრებს წამწამებს. მაგრამ იცოდეთ კიდევ ერთი ხერხი ძილის წინ წამწამებზე ცოტაოდენი ტუჩის ბალზამის დადება საოცარ შედეგებს იძლევა. მისი წვეთი უზრუნველყოფს წამწამების დატენიანებას და ზრუნვას მთელი ღამის განმავლობაში.

2. **დეკორატიული კოსმეტიკა**

სწორად უნდა იქნას შერჩეული ტუში. მაქსიმალურად შეეცადეთ რომ ტუში, რომელსაც იყენებთ იყოს უმაღლესი ხარისხის და ნატურალური ინგრედიენტებისგან შექმნილი. რადგან მსგავსი ტიპის ტუშები შეიცავს ვიტამინების კომპლექსს და წამწამების მოვლისა და ადცვისთვის სხვადასხვა ელემენტს.

3. მოსაშორებელი საშუალებები

აუცილებლად უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეთ მაკიაჟის მოსაშორებელ საშუალებებს, საუკეთესო შედეგებს მიიღებთ თუკი თვალის არესთვის გამოიყენებთ, მხოლოდ თვალიდან მაკიაჟის მოსაშორებელ საშუალებებს.

მაკიაჟის მოსაშორებლად უბრალოდ ხელის ერთი მოძრაობით არ გაწმინდოთ თვალები. ამან შეიძლება სერიოზულად დააზიანოს წამწამები. არ აქვს მნიშვნელობა წმენდთ სახეს თუ ბანთ თვალებს - გახსოვდეთ, რომ თვალის ირგვლივ კანი მოითხოვს განსაკუთრებულ, სათუთ მოვლას და ყურადღებას.

ხელოვნური წამწამები

დღესდღეისობით სულ უფრო მეტი ადამიანი იყენებს ხელოვნურ წამწამებს. ისინი იწარმოება სრული წამწამის, ცალკეული წამწამის და ცალკეული კულულის სახით.

ხელოვნური წამწამი მზადდება სპეციალური სინთეტიკური მასალისგან, რათა მაქსიმალურად კომფორტული იყოს მათო მოხმარება. ამ მასალის გამო ეს წამწამები არის ელასტიური, არ დეფორმირდება და ინარჩუნებს დახრილობას (რკალის ფორმა) და ფერს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

ხელოვნური წამწამების სისქე მერყეობს 0,10 დან 0,25 მიმიმეტრამდე, ხოლო სიგრზე 6-დან 15მმ-მდე.

დახრილობის ანუ იგივე რკალის ფორმის მიხედვით, ხელოვნური წამწამები იყოფა რამდენიმე კატეგორიად, რომლებიც აღინიშნება ლათინური მთავრული ასოებით:

J - ყველაზე სუსტი რკალი, თითქმის ბუნებრივი წამწამის ფორმის.

B - მსუბუქად დახვეული რკალი, ჯდება ბუნებრივად და არის ლამაზად მოხრილი

C - საშუალო ზომის ხვეულა, ერთ ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა, იძლევა ფართოდ გახელილი თვალების ეფექტს.

D (CC) - ძლიერ დახრილი რკალი, არაბუნებრივი, „გლამურული შესახედაობა“



ხელოვნური წამწამების კლასიფიკაცია ეფექტის მიხედვით:

1. *ნატურალური ეფექტი* – წამწამების დამაგრება ხდება თვალის გარე კუთხიდან შიდა კუთხის მიმართულებით და ყველა წამწამი არის ერთი სიგრძის. ყველაზე ხშირად გამოიყენება № 8, 10, 11.

2. *თოჯინის ეფექტი* – მიიღება საკმაოდ გრძელი წამწამების დამაგრებით თვალის გარე კუთხიდან შიდა კუთხის მიმართულებით. თოჯინის ეფექტის მისაღებად ყველაზე ხშირად გამოიყენება ხელოვნური წამწამები № 12, 14, 15.

3. *მელიის ეფექტი* – მიიღება სხვადასხვა სიგრძის წამწამების შერევით. თვალის გარე კუთხეში მაგრდება შედარებით გრძელი ხელოვნური წამწამები და მათი სიგრძე მცირდება შიდა კუთხის მიმართულებით.

4. *ციყვისებრი ეფექტი* - მიიღება ხელოვნური წამწამების დამაგრებით მხოლოდ თვალის გარე კუთხეებში, ეს წამწამები უნდა იყოს საკმაოდ გრძელი.

5. *სხივები* – მიიღება ორი გაბნსხვავებული ზომის წამწამების თანმიმდევრულად დამაგრებით.

6. *მილენიუმი* – ეს არის წამწამების დაგრძელება დეკორატიული წამწამებით, რომლებიც არის სხვადასხვა ფერის, სიგრძის, გრადაციით, ასევე სხვადასხვა დანამატებით: მბზინავი დანამატები და ბუმბულები.

წამწამების დაგრძელების ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდი არის **ინდივიდუალური** წამწამების 1-2 კვირიანი დაგრძელება.

პროცედურა საკმაოდ ხელმისაწვდომია, ხანგრძლივობა 15 დან 30 წუთამდე მერყეობს, არ ახლავს არანაირი დისკომფორტი, შედეგი მართლაც გასაოცარია, დაგრძელებასთან ერთად შესამჩნევად ახშირებს წამწამებს.

თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ წამწამებს ძალიან ბევრი ჭუჭყი ედება და ძალიან უხეშად გამოიყურება და თანდათანობით ცვენას იწყებს, ამოცვენილი ადგილები ძალიან შესამჩნევი და ულამაზოა, წებოს საკმაოდ დიდი ფენის ქვეშ ზიანდება თქვენი საკუთარი წამწამები, ხშირად ბოლოს დარჩენილ რამდენიმე ღერს ძალით იძრობენ ხოლმე და ხელოვნურთან ერთად საკუთარ წამწამებსაც აყოლებენ..

ინდივიდუალური დაგრზელებისთვის გამოიყენება ლატექსის წებო რომელიც ანტიალერგიულია, ელასტიურია, მარტივი და უმტკივნეულოა მოსახსნელად და საერთოდ არ აზიანებს ბუნებრიც წამწამებს.

ხელოვნური წამწამები არ იტუშება.

წამწამების დაგრძელების კიდევ ერთი მეთოდი არის პერმანენტული დაგრძელება, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო პოპულარული ხდება საქართველოში.

წამწამების პერმანენტული დაგრძელება არის თითო ბუნებრივ წამწამზე ხელოვნური წამწამის მიკვრა. 3-4 კვირაში ერთხელ კეთდება კორექცია (იმატებთ დაცვენილ წამწამებს) და გაქვთ საკმაოდ ხანგრძლივად სანამ არ დგება მობეზრების მომენტი.

პერმანენტული დაგრძელების ერთ ერთი უმთავრესი პლუსი არის ის, რომ ძალიან ბუნებრივია, ძალიან სუფთა ნამუშევარია, თითქმის შეუმჩნეველია ხელოვნური და ბუნებრიივ წამწამების გადაბმის ადგილები და შესაბამისად ჭუჭყის ეფექტი არც დღეების და არც კვირების შემდეგ არ აქვს.

.

ამ მომსახურების მინუსი არის ის რომ, არასასიამოვნო პროცედურაა რომელიც გრძელდება 2-3 საათი მთელი ეს დრო თვალ დახუჭული უნდა იწვეთ ზურგზე, წებო საკმაოდ ალერგიულია და შესაძლოა აორთქლებისას თვალებიც კი აგეწვათ (რა თქმა უნდა ეს სულ რამოდენიმე წამი გრძელდება), წამწამების გახშირების ეფექტი ბევრად ნაკლები აქვს ვიდრე სხვა ხელოვნურ წამწამებს, თუ სადმე წამწამები გაკლიათ ინდივიდუალური წამწამები ამას

მხოლოდ ხაზს გაუსვამს, რადგან სიცარიელის შევსება ამ მეთოდით არ გამოდის, ხშირად ჭირდება ვარცხნა ტუშის ფუნჯით რომ ლამაზად და ბუნებრივად დადგეს, თუ გსურთ ხელოვნური წამწამები დიდ ხანს შეგინარჩუნდეთ უნდა მოერიდოთ ორთქლის აბაზანებს და რა თქმა უნდა წამწამების ტუშს.

არ არის სასურველი პერმანენტული დაგრძელების გაკეთება მხოლოდ ერთჯერადი ეფექტისთვის სჭირდებათ.

მობეზრების შემთხვევაში არასასურველია მათი მოხსნა სპეციალური სითხით, იმიტომ რომ ამ წამწამების მოსახსნელი სპეციალური სითხე ძალიან აზიანებს ბუნებრივ წამწამებს.

მესამე ვარიანტია **მთლიანი ხელოვნური წამწამები (ზოლები).**

ამ შემთხვევაში გვაქვს ამოუწურავი ვარიანტები როგორც ზომებსა და ფორმებში ასევე მასალაში, ფერებში და თუ სწორად მოუვლით, ანუ მოხსნის შემდეგ ნაზად მოაშორებთ წებოს და ხან და ხან სპირტიანი ფუნჯითაც დავარცხნით შეგიძლიათ ერთი წამწამი ძალიან ბევრჯერ გამოიყენოთ, უმტკივნეულოდ მოიხსნით ნებისმიერ დროს როცა მოგბეზრდებათ, შეგიძლიათ სპეციალისტის გარეშე სახლში გაიკეთოთ.
რა თქმა უნდა წამწამების მიკვრას მიჩვევა ჭირდება, არასწორად მიკვრის ან არასწორი წამწამის არჩევის შემთხვევაში შესაძლებელია თვალის ფორმა პირიქით დამახინჯდეს.

უნდა შეირჩეს მაქსიმალურად ბუნებრივი ხელოვნური წამწამები, გამოიყენება ლატექსის წებო, თუ წამწამები გრძელია დაამოკლეთ მაკრატლით (მოაჭერით ის მხარე რომელიც თვალის შიდა კუთხეზე უნდა მიაკრათ).

წამწამები მიკვრა ხდება მაკიაჟის დასრულების შემდეგ, მიკვრამდე კარგად აპრიხეთ წამწამები ასაპრეხით, შიდა კუთხე მაქსიმალურად მიადეთ წამწამებზე და გარე კუთხე პირიქით ააცილეთ ბუნებრივ წამწამებს თუ გინდათ რომ არ მიიღოთ დახრილი თვალის ეფექტი, ასევე კარგი ვარიანტია ეგრეთ წოდებული "შპარგალკა" გარე კუთხე დააკარით ლაინერს რომ მიიღოდ "აწეული" თვალის ეფექტი, წამწამები უკვე რომ დამაგრდება შემდეგ კარგად ატუშეთ ისე რომ ხელოვნური წამწამები მიეკრას თქვენ ბუნებრივ წამწამებს.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რა საშუალებები გამოიყენება წამწამების ასაპრეხად?

2. რამდენი ტიპის ტუშს იცნობთ?

3. რამდენი ტიპის ხელოვნური წამწამი არსებობს?

4. რა არის წამწამების დანიშნულება?

5. რამდენი ხანი „ცოცხლობს“ წამწამი?

6. რა ეფექტს ვიღებთ წამწამის აპრეხვით?

7. ჩამოთვალეთ ხელოვნური წამწამები დახრილობის მიხედვით.

8. ჩამოთვალეთ ხელოვნური წამწამები ეფექტების მიხედვით.

9. როგორ ხდება წამწამების პერმანენტული დაგრძელება?

10. როგორ ხდება წამწამების ინდივიდუალური დაგრძელება?

11. რა უპირატესობა აქვს მთლიან ხელოვნურ წამწამებს?

12. როდის ხდება ხელოვნური წამწამების მიკვრა?

თავი 7

კანის ტიპი, ფერი და კორექცია

მაკიაჟის გაკეთებისას, პირველი საფეხური არის კანის ტიპისა და ფერის განსაზღვრა. პირველ რიგში უნდა დავადგინოთ რა ტიპის სახის კანთან გვაქვს შეხება.

არსებობს 4 ტიპის კანი ესენია: ცხიმიანი, მშრალი, შერეული ანუ მომბინირებული და ნორმალური. თითოეული მათგანი განსხვავებულია და მოდით განვიხილოთ ისინი

1. **მშრალი კანი** ყველასგან გამორჩეული, თხელი და ნაზია. მშრალი კანი უმეტესად თეთრი ფერის ადამიანებს აქვთ და ძალიან ლამაზია, რადგან არ ჩანს ფორები, ფერისმჭამელები და არ პრიალებს ხშირად, თუ მას სათანადოდ არ მიხედავენ იქერცლება, არის დაჭიმული და გაღიზიანებული. ასეთი ტიპის კანი ძლიერად რეაგირებს გარემომცველი ტემპერატურის ცვლილებებზე, ვერ იტანს საპონს, კრემებს და ზოგიერთ დამარბილებელ საშუალებებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კანის სიმშრალე შეიძლება იყოს ორგანიზმში ცხიმის ნაკლებობის ბრალი, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელია არასწორმა კვებამ ან ორგანიზმში არსებულმა დარღვევებმა გამოიწვიოს.ის სწრაფად ბერდება. ნაოჭები ადრეულ ასაკში ჩნდება. ასეთი კანი მგრძნობიარეა.
   ქალების უმეტესობას მშრალი კანი აქვს. ახალგაზრდა ქალის კანი მქრქალია, მკვრივი და კარგად არის გადაჭიმული კანქვეშა ცხიმოვან შრეზე, გლუვია ანდა ოდნავ დანაოჭებული, ფორები დახურულია და შეუმჩნეველი. მაგრამ ასეთ კანთან შეხებისას იგრძნობა ერთგვარი სიმშრალე, ტენის ნაკლებობა. განსაკუთრებით მშრალია კანი ლოყებსა და ყვრიმალებზე, მაშინ როცა შუბლზე, ცხვირსა და ნიკაპზე ხშირად ბზინავს კიდეც. ასეთი კანი ლამაზია, მაგრამ სათუთი; ის ძნელად იტანს წყალსა და ცხიმიან საპონს და მათი ზემოქმედებით იოლად კარგავს მომხიბვლელობას, უფრო მეტად შრება და იქერცლება. მხოლოდ წყლით დაბანის შემთხვევაშიც კი ის ხშირად წითელი ლაქებით იფარება და ხურს, მოგვიანებით ეშვება და სულ უფრო მეტად ნაოჭდება. თუ მშრალ კანს დროულად მივხედეთ, შეიძლება, ჭკნობისაგან დავიცვათ და სილამაზე დიდხანს შევუნარჩუნოთ. მშრალი კანი უნდა გავიწმინდოთ მხოლოდ გრილი ან ოთახის ტემპერატურის ანადუღარი წყლით. ცივი წყალი სისხლძარღვებს ავიწროებს, რის შედეგადაც კანი ეშვება და ნაოჭდება, ცხელი წყალი კი აფართოებს ფორებსა და სისხლძარღვებს, რაც ასევე

ადუნებს კანს და ხელს უწყობს მის დანაოჭებას. მშრალ კანს უხდება ნოტიო, რბილი კლიმატი. მზის აბაზანები არცთუ ისე სასურველია, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ადრიანი დილით. ბანაობის (აბაზანის, შხაპის) წინ სასურველია, სახეზე წავისვათ მშრალი კანისთვის განკუთვნილი კრემი, მცენარეული ზეთი ან ნებისმიერი ცხიმი, რომელიც ხელთ აღმოგვაჩნდება: არაჟანი, უმარილო ნაღების კარაქი.

2. **ცხიმიანი კანი** გარეგანი ფაქტორების მიმართ ცხიმიანი კანი უფრო ამტანია, რადგან არის სქელი, მკვრივი, ხშირად ფერმკრთალია, ზედაპირზე კარგად ჩანს ფორები. ცხიმი, რომელიც ფორებში ჩნდება, ერევა კანის ცხიმს და წარმოიქმნება "შავი წერტილები" - ასეთი ტიპის კანს მონაცრისფრო-მოყვითალო ფერი დაჰკრავს.
   მისთვის დამახასიათებელია მკვეთრი სიპრიალე. მაგრამ ცხიმიან კანს სხვებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს: იგი არაა მგრძნობიარე და ამიტომ დიდხანს გამოიყურება ახალგაზრდულად.და კიდევ ერთი პლიუსი: დროსთან ერთად ცხიმიანი კანი უმჯობესდება და 30 წლის ასაკისათვის ის უკვე შერეული ტიპისაა.

ცხიმიანი კანი დიდ პრობლემას უქმნის ადამიანს, რადგან სწორედ ასეთ კანზე ჩნდება გამონაყარი (ფერიმჭამელები). სხვა ადგილებთან შედარებით სახეზე ცხიმოვანი ჯირკვლები ინტენსიურად მუშაობენ და გამოიმუშავებენ ბევრ ცხიმს.
ამაში "დამნაშავეა" ჰორმონალური სისტემა, კერძოდ კი მამაკაცის ჰორმონი ტესტოსტერონია, სწორედ ის ააქტიურებს ცხიმოვანი ჯირკვლების მუშაობას. ცხიმიანი კანის ფორები "იჭედება" საცობებით და ცხიმი ვერ გამოდის გარეთ, შედეგად ჩნდება ფერიმჭამელები. ცხიმიანი კანი ყოველთვის უფრო ანთებადია, მაგარამ აქვს დადებითი მხარეც - ცხიმიანი კანი უფრო დიდხანს რჩება ახალგაზრდა. კანის ცხიმი ფარავს კანს ბუნებრივი დამცველი აპკით, რომელიც იცავს მას გარე ფაქტორების მავნე ზემოქმედებისაგან. ცხიმიანი კანის მქონე ქალებს ნაოჭები სხვებზე უფრო გვიან უჩნდებათ.

განვიხილოთ შეცდომები ცხიმიანი კანის მოვლისას:

1. კანის გამწმენდი საშუალება ძალიან ძლიერია. ბევრი ქალი ცდილობს კანი ცხიმისგან გაითავისუფლოს ძალიან ძლიერი საშუალებით, მაგრამ უკუშედეგს იღებს. ასეთ შემთხვევაში კანი ცდილობს ცხიმის დეფიციტის შევსებას, გამოიმუშავებს დიდი რაოდენობით ცხიმს და კანი სწრაფადვე იფარება ცხიმის სქელი ფენით. რჩევა: გამოიყენეთ მსუბუქი გამწმენდი საშუალება, მაგრამ ხშირ-ხშირად. თუ დრო გაქვთ, მაშინ დღეში სამჯერ გაიწმინდეთ კანი. ნებისმიერ შემთხვევაში კანის დილა-საღამოს გაწმენდა აუცილებელია. ამისათვის აიღეთ ლოსიონი ან ბიოგელი, რომელიც სპეციალურად ცხიმიანი კანისთვისაა განკუთვნილი. იგი შეიცავს ანტიბაქტერიულ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას, რომელიც ფორების დაცობის და ანთებითი პროცესის შეფერხებას იწვევს. შეცდომა

2. კომედონების მუდმივი გამორწყვა. კომედონი ეს არის ცხიმისა და გარქოვანებული უჯრედებისგან შემდგარი პატარა საცობი, რომელიც კეტავს კანის ცხიმოვანი ჯირკვლების გამოსავალს და ცხიმის გარეთ გამოსვლას აფერხებს. როცა მასზე ანთებითი პროცესი ვითარდება ჩნდება ფერიმჭამელა. ბევრი ცდილობს მის გამორწყვას, შედეგად ანთებითი პროცესის დაჩქარება და მდგომარეობის გაუარესება ხდება. რჩევა: ფერიმჭამელას გამორწყვა შეიძლება, მაგრამ კვირაში მხოლოდ ერთხელ. მთავარია სწორად მომზადება. კანი უნდა გულდასმით გაიწმინდოს და 5 წუთი "დარბილდეს" ორთქლის აბაზანაზე (ორთქლია აბაზანის მოსამზადებლად კარგია ერთი მუჭა გვირილის 2 ლიტრ

წყალში ხარშვა). ამის შემდეგ თითის ირგვლივ დაიხვიეთ კოსმეტიკური სალფეთქი და ძლიერი ზეწოლის გარეშე გამორწტით კომედონი. შემდეგ დეზინფექციის მიზნით ამ ადგილას ისმევა ალკოჰოლის შემცველი "კოსმეტიკური წყალი".

ცხიმიანი კანის თვისებები: ცხიმიანი კანი ბზინავს, განსაკუთრებით შუბლის, ცხვირის და ნიკაპის არეში ახასიათებს დიდი ფორები ხშირი გამონაყარი მოვლა: ცხიმიანი კანის მოვლა და გამონაყარის არიდება ასევე მოითხოვს სწორ კვებას და რეგულარულ სახის მოვლის პროცედურებს. სახე დღეში ორჯერ უნდა დაიბანოს. ამით ფორები სუფთა იქნება (დაუბანლობის შემთხვევაში ფორები ბინძურდება). სახის დაბანის შემდეგ გამოიყენება უალკოჰოლო სახის კანის შემკვრელები ზედმეტი ცხიმი რომ მოაცილოს კანს. ბუნებრივი შემკვრელი არის კიტრი. გახეხილი კიტრის წვენი სახეზე ისმევა ასევე სასარგებლოა oil-free (ზეთის გარეშე) დამატენიანებლები.

3. **შერეული (ანუ კომბინირებული) კანი**

უმეტესობას შერეული ტიპის კანი აქვს – ადამიანს შეიძლება სახის სხვადასხვა უბანზე სხვადასხვა ტიპის კანი ჰქონდეს, ზოგან ცხიმიანი, ზოგან – მშრალი ასეთი სახის კანის მოვლას განსაკუთრებული ცოდნა და ყურადღება სჭირდება.ცხვირზე და ნიკაპზე მუდმივად პრიალებს, ხოლო თვალების გარშემო და ლოყებზე კანი ნაზი და მშრალია, ხანდახან იქერცლება, მასზე ადვილად ჩნდება ნაოჭები კანად. კომბინირებული (შერეული) ტიპის კანი გვხვდება უმეტესად - ახალგაზრდა და შუახნის ქალებში. კანი შუბლზე, ცხვირსა და ნიკაპზე, ჩვეულებრივ, ცხიმიანია, საფეთქლებზე, ლოყებსა და კისერზე, განსაკუთრებით კი თვალების ირგვლივ - მშრალი. შერეული ტიპის კანი სახის სხვადასხვა ნაწილის სხვადასხვანაირ მოვლას მოითხოვს. თუ სწორად მოვუვლით, ასეთი ტიპის კანს ნაოჭები დიდხანს არ გაუჩნდება. კომბინირებული კანის PH სახის სხვადასხვა უბანზე განსხვავებულია და 3-დან (მშრალ უბნებში) 6-მდე (ცხიმიან უბნებზე) მერყეობს. არსებობს კანის ტიპის განსაზღვრის ასეთი მეთოდიც: დაბანიდან 2-3 საათის შემდეგ სახის სხვადასხვა უბანზე მივიდოთ ქაღალდის ხელსახოცი. თუ ხელსახოცზე ცხიმიანი ლაქა გაჩნდა, კანი ამ უბანში ცხიმიანია. კანი ყველაზე უკეთ ასახავს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამიტომ მისი რეგულარული მოვლა რაც შეიძლება ადრე უნდა დავიწყოთ.

4. **ნორმალური კანი**

ასეთი კანი უმეტესად ბავშვებსა და მოზარდებს აქვთ. ნორმალური კანი ხავერდოვანია, არ ჩანს ფორები და ფერისმჭამელები. ნაკლებია თმიანობა. 30 წლამდე არ ჩნდება ნაოჭები. კანი ადვილად იტანს ცუდ კლიმატურ პირობებს.არის გადაჭიმული, ელასტიური და არ ახასიათებს აქერცვლა. აქვს ვარდისფერი ელფერი, ერთი შეხებით პრიალა და მკვრივია. ნორმალური ტიპის კანს აქვს საკმარისი ცხიმი და ტენიანობა.ასეთი სახის კანის ქალბატონები ნამდვილად ბედნიერები არიან, რადგან იგი ძალიან იშვიათია.
ნორმალური კანი თანაბარი შეფერილობისაა, გლუვი, მკვრივი და სუფთა, ზომიერი და მცირეფორებიანი. ცხიმისა და ტენის შემცველობა მასში დაბალანსებულია და კანი იშვიათად ღიზიანდება. ასეთი ტიპის კანს სწორი მოვლისას ნაოჭები ძალიან გვიან უჩნდება, მასზე არ შეინიშნება გაფართოებული სისხლძარღვები, ფერიმჭამელები.

ნორმალური კანი კარგად იტანს წყლითა და საპნით დაბანას, დეკორატიულ კოსმეტიკას და ძალიან იშვიათია. ნორმალური კანის PH 5,5-ს უდრის.

კანის ბიოლოგიური დაბერება იწყება 20 წლის ასაკში, 28-30 წლის ასაკში ჩნდება ჭკნობის პირველი ნიშნები: 50 წლისთვის კი ასაკობრივი ცვლილებები უკვე კარგად შესამჩნევია.ასეთ კანს არ აქვს ცხიმი და ტენი და გამოიყურება როგორც მშრალი, გაყვითლებული პერგამენტი ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც არაწორედ ვუვლით კანს დროა მიხედოთ მას.

იმისათვის, რომ კანის ტიპი განვსაზღვროთ, დაბანიდან 2-3 საათის შემდეგ დავიდოთ ქაღალდის ხელსახოცი, თუ ქაღალდზე ცხიმის ლაქები დარჩა, ესე იგი კანი ცხიმიანია ან ნორმალური. უფრო მეტი სიზუსტისთვის სასურველია მიმართოთ სპეციალისტა ან ჩაიტაროთ კანის დიაგნოსტიკა.

არსებობს სამი ფერის კანი: შავი, თეთრი და ყვითელი, შევისწავლოთ რა განსაზღვრავს მის შეფერილობას.

ადამიანის კანის ფერი დამოკიდებულია ოთხ გენზე, რომლებიც განაგებს ორგანიზმში პიგმენტ მელანინის გამომუშავებას. ეს გენები ოთხ სხვადასხვა ქრომოსომაშია ლოკალიზებული. რაც უფრო მეტ აქტიურ გენს შეიცავს უჯრედი, რომელიც მელანინს ასინთეზებს, მით უფრო მუქია კანი. ყველაზე მუქკანიან ადამიანებს ამ გენების რვა აქტიური ალელი აქვთ, ყველაზე ღია კანის ფერის მქონეებს კი არც ერთი აქტიური ალელი არ გააჩნიათ. ადამიანის კანის ფერს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ისიც, დედამიწის რომელ კუთხეში ცხოვრობდნენ მისი წინაპრები.

კანის პიგმენტები

კანი სამი სახის საღებავს ანუ პიგმენტს შეიცავს: მელანინს, კაროტინს და ჰემოგლობინს.

მელანინი

მელანინი პიგმენტია, რომელსაც შეიცავს კანი, თმა და თვალის ფერადი გარსი. იგი ნახშირწყლისგან, აზოტისა და წყალბადისგან შედგება, თანაფარდობით 1:5:5. ზოგ შემთხვევაში მასში გოგირდიც არის - 2-დან 12%-მდე. მელანინი არ იხსნება წყალში, მჟავასა და ორგანულ გამხსნელებში. გამონაკლისია თმის პიგმენტი. იგი ადვილად იხსნება ტუტეებში და სწორედ ამიტომ არის, რომ საღებავები ადვილად უცვლის ფერს თმას. როდესაც თეთრკანიანი ადამიანი დიდ ხანს ატარებს მზეზე, მის კანში დიდი რაოდენობით მელანინი წარმოიქმნება და იგი მუქდება - ირუჯება. კანში მელანინის დაგროვება ერთგვარი დამცავი რეაქციაა - იგი იცავს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან, რომლის სიჭარბეს შეუძლია კანის კიბო გამოიწვიოს. სწორედ მელანინი შთანთქავს ჭარბ და მავნებელ ულტრაიისფერ სხივებს.

კაროტინი

მეორე პიგმენტი კაროტინია. ეს ყვითელი ნივთიერებაა, რომელიც ყველაზე მეტია სტაფილოსა და კვერცხის გულში. როგორც მელანინს, კაროტინსაც ყველა ადამიანის კანი შეიცავს. ბაცი შეფერილობის გამო იგი ნაკლებად ხვდება თვალს, ვინაიდან მუქი მელანინი ფარავს. არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც მელანინის მცირე შემცველობის ფონზე კაროტინის სიჭარბე აღენიშნებათ. სწორედ ასეთები არიან აღმოსავლეთ აზიის მცხოვრებნი. მათ ყვითელკანიანებს უწოდებენ.

ჰემოგლობინი

მესამე პიგმენტი ჰემოგლობინია. იგი სისხლს წითელ ფერს სძენს. სისხლძარღვებში სისხლთან ერთად გამდინარე ჰემოგლობინი პრაქტიკულად არ ჩანს. მას მთლიანად ფარავს მელანინი და კაროტინი. ჰემოგლობინი ადვილი შესამჩნევია თეთრკანიან ადამიანებში. სწორედ იგი სძენს კანს ვარდისფერს და სახის წამოწითლებაც მისი დამსახურებაა. ამ სამი პიგმენტის თანაფარდობის მიხევდით იყოფიან ადამიანები შავკანიანებად, ყვითელკანიანებად და თეთრკანიანებად. შავკანიანების კანში ჭარბადაა მელანინი, ყვითელკანიანებს ამ პიგმენტის შემცველობა მცირე აქვთ, ხოლო კაროტინისა - მაღალი, თეთრკანიანების კანში კი ცოტაა როგორც მელანინი, ისე კაროტინი.

კანის დეფექტების დაფარვა კოსმეტიკით:

სპეციალური კოსმეტიკური საშუალებებისგამოყენებით, მარტივად დაფარავთ კანზე დეფექტებს.

განვიხილოთ კორექტორით დაფარვის ხერხები:
ხორცისფერი – უნივერსალური ფერი.
ყვითელი – კარგად ფარავს სიშავეებს თვალის ირგვლივ.
მწვანე – კარგად ფარავს კაპილარებს და წითელ გამონაყარს.
 იისფერი – აუფერულებს პიგმენტურ ლაქებსა და ჭორფლს.
ვარდისფერი – აცოცხლებს კანის ნაცრისფერს.

კორექტორის წასმა უმჯობესია სინთეთიკური ფუნჯით.
თვალის ირგვლივ კი ჯობს, თითებით გაანაწილოთ ის.

თითოეული პრობლემისთვის სხვადასხვა სახის კორექტორს იყენებთ. არ არსებობს ყველა შემთხვევისთვის ერთი სახობის კორექტორი. თვალის ირგვლივ სიშავეების დაფარვა შესაძლებელია ხორცისფერი ან ყვითელი ფერის კორექტორით, რომელსაც არათითის ბალიშით ფაქიზად ანაწილებთ. თვალის შეშუპებას დაფარავს ღია ფერის კორექტორი, რომელსაც შეშუპებული ადგილის ზღვართან და ლოყაზე უსვამთ.
კაპილარები და გამონაყრისგან დარჩენილი წითელი ლაქები გაქრება მწვანე ფერის კორექტორის გამოყენებით.
პიგმენტურ ლაქებს, ჭორფლს ფარავს ვარდისფერი ან იისფერი კორექტორი. გადაღლილ და განაცრისფერებულ სახეს გამოაცოცხლებს ვარდისფერი ან ატმისფერი კორექტორი ან ტონალური.
იარებისა და სვირინგებისთვის სქელი კონსისტენციისა და მყარი პიგმენტის მქონე ტონალური არის შესანიშნავი, ან კორექტორით, რომელსაც ძალიან ძლიერი ეფექტი აქვს - სულ ცოტაოდენის წასმის შემთხვავშიც კი. თუ იარა გამობურცულია, მას უფრო მუქი ტონით ფიარავთ, ხოლო თუ პირიქით – ჩავარდნილი, უფრო ღია ფერით, ვიდრე მაკიაჟის ფუძეა. ასე ვიზუალურად გათანაბრდება კანის სტრუქტურა.

მაკიაჟის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია საფუძვლის მომზადება.
ამ დროს სახის კანი უნდა იყოს სუფთა და ნოტიო. ასეთ კანზე მაკიაჟი კარგად ჯდება, რაც პროცესს ამარტივებს, ხოლო შედეგს შეუდარებელს ხდის. მას შემდეგ, რაც კანს მოაწესრიგებთ, შეიძლება დავიტანოთ ტონალური კრემი ან მაკიაჟის ფუძე. კანის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება გამოვიყენოთ სპეციალური მაკიაჟის ბაზა ან ჩვეულებრივი ტონალური კრემი, მაგრამ მათ სხვადასხვა ეფექტი აქვთ: თუ ბაზა ასწორებს კანის სტრუქტურას, ავიწროებს ფორებს, ტონალური კრემი უბრალოდ კანის ფერს ათანაბრებს.
მაკიაჟის ფუძე, ჯობს, დაიტანოთ ბუნებრივი განათების პირობებში. პროცესი ასეთი თანამიმდევრობით სრულდება: გავასუფთავოთ და დავანოტივოთ კანი. ფუნჯით, ღრუბლით ან სუფთა თითებით წავუსვათ მაკიაჟის ფუძე ლოყებზე, შუბლსა და ნიკაპზე. ტონალური საშუალებით მოვხაზოთ სახის კონტური თმის ზრდის ხაზის გასწვრივ. წავუსვათ ტონალური საშუალება კისერზე. ფრთხილად და გულდასმით მოვხაზოთ კონტური ნიკაპის ქვეშ და კისერზე.
თუ ტონალური კრემის წასმის შემდეგ თვალებქვეშ მაინც დარჩა შავი რგოლები, ნუ გადაუსვამთ ტონალური კრემის კიდევ ერთ ფენას - სქლად წასმული კრემი უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს დეფექტებს. უმჯობესია, გამოიყენოთ სპეციალური კორექტორი - ის უკეთ შენიღბავს იმას, რისი დაფარვაც ტონალური საშუალებით ვერ მოახერხეთ.

ტონალური კრემის ფერი უნდა თანხვდებოდეს კანის ფერს ნიკაპზე. ტონალური კრემის ტესტირებაც ბუნებრივი განათების პირობებში ჯობს. ტონალური კრემის წასმა უნდა დავიწყოთ მინიმალური რაოდენობით. თუ საჭირო გახდა, ფენის სისქე შეიძლება გავზარდოთ. ეს უფრო ადვილია, ვიდრე ჭარბი კრემის მოშორება.
ტონი თანაბრად რომ დაჯდეს, შეიძლება შევურიოთ ცოტაოდენი დამატენიანებელი კრემი. ნაკლოვანებათა გამოსწორება თუ მაკიაჟის ბაზის წასმის შემდეგ კანზე დეფექტები ჯერ კიდევ შესამჩნევია, უნდა მივმართოთ შემნიღბველ საშუალებას - კორექტორს. კორექტორს უფრო მკვრივი სტრუქტურა აქვს, ვიდრე ტონალურ კრემს, ამიტომ უფრო ეფექტურად მალავს კანის ნაკლოვანებებს: მუწუკებს, ფერიმჭამელებს, სიწითლეებს და მუქ რგოლებს თვალების ირგვლივ. მისი ფერი უნდა შეესატყვისებოდეს კანისას ან იყოს ერთი ტონით ბაცი. თვალების ირგვლივ მუქი წრეების შესანიღბავად დაიტანეთ კორექტორი მხოლოდ ამ უბანზე და თვალის კუთხეებში, ცხვირთან. ის ამ საზღვრებს არ უნდა გასცდეს. კანის განსაკუთრებით შესამჩნევი დეფექტები შეიძლება დავფაროთ კორექტორის უფრო სქელი ფენით, მერე კი ჭარბი ნაწილი ხელსახოცით ან ღრუბლით მოვიშოროთ.

ფუძე

ფუძის შერჩევისას უნდა გაითვალისწინოთ ორი ფაქტორი:

1. ფუძე უნდა შეეფერებოდეს კანის ფერს.
2. ფუძე უნდა შეუხამოთ კანის ფერს.

აუცილებელია სწორად შეარჩიოთ ფუძე, რომელიც სახის ფერის დონეს შეესაბამება. ფუძის არჩევა ხდება კისერზე კანთან მისი შედარებით ეს არის ე. წ „ტესტი ზოლით“.

ტესტი უნდა ჩატარდეს დღის სინათლეზე:

დაიწყეთ ფუძის სამი განსხვავებული ელფერიდან, შეადარეთ ისინი და დაუპირისპირეთ ერთმანეთს (ელფერების ტესტირების არე განსხვავებული იქნება კანის ფერის შესაბამისად).

თუ შერჩეული ელფერი ყველაზე უკეთ მოუხდა კისრის კანს, ჩათვალეთ, რომ „ტესტი ზოლით“ წარმატებით გაიარეთ.

თუ კანს დაჰკრავს სპილოსძვლისფერი ან ჩალისფერი ელფერი, ჩამოუსვით ზოლი ქვედა ყბიდან კისრისკენ, რათა მიიღოთ ფუძის ზუსტი შესაბამისობა კისრის კანის ფერთან. ასეთი ფერის კანის მქონე ადამიანებს, როგორც წესი, სახეზე მოწითალო ელფერი დაჰკრავთ, მაგრამ არა კისერზე, ამიტომ მნიშვნელოვანია ნამდვილად შესაბამისი ფერი შეარჩიოთ. განსხვავებული ელფერის ფუძის სამი ზოლი ჩამოუსვით ყბაზე და ქვევით კისრისკენ და დაელოდეთ რამდენიმე წუთი. ნახეთ, შეცვლიან თუ არა კანის ცხიმები პიგმენტის ფერის. შეარჩიეთ ის, რომელიც უკეთ შეეფერება კისერს.

ბრინჯაოსფერი და უფრო მუქი კანის შემთხვევაში ტესტი უნდა ჩაატარონ ზოლის ჩამოსმით ლოყიდან ქვევით ყბის მიდამოსკენ, რადგან ასეთი ფერის კანის მქონეთ გააჩნიათ ”ნიღბის” ეფექტი, ანუ უფრო ღია კანი აქვს სახის შუაში და უფრო მუქი კიდეებში. განსხვავებული ფერის ფუძის სამი ზოლი წაუსვით ლოყიდან ყბისკენ და დაიცადეთ რამდენიმე წუთი, დააკვირდით, შეცვლიან თუ არა კანის ცხიმები პიგმენტის ფერს.

ყვითელი ფუძის ესა თუ ის ელფერი პრაქტიკულად ავსებს ნებისმიერი ფერის კანს. ერთადერთი შემთხვევა, როცა ვარდისფერი სჯობია, მაშინაა, როცა კისრის ფერსაც, როგორც სახის ფერს, ვარდისფერი ელფერი დაჰკრავს, რაც ძალიან

იშვიათია. უმრავლესობას, რომელთაც სახეზე ვარდისფერი ელფერი დაჰკრავთ, არ გააჩნიათ იგივე ელფერი კისერზე. ვარდისფერი ფუძე ვარდისფერ სახეზე გამოჩნდება წითლად, ხოლო წითელი სახე არავის სურს. ვარდისფერი ფუძე და პუდრი სინამდვილეში აბერებს კანს და მას არაბუნებრივ იერს აძლევს. ამის მიუხედავად სახისთვის ფერის მისაცემად ბევრი ასაკოვანი ადამიანი ირჩევს ვარდისფერს.

ყვითელი ფუძე მართლაც ებრძვის კანის ისეთ მდგომარეობას, როგორიცაა როზაცეა (ვარდისფერი ფერიმჭამელები) და დამსკდარი კაპილარები. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ან მოწითალო კანის მქონე ადამიანები ხშირად თვლიან, რომ ყვითელი ფუძე ძალიან ყვითლად გამოჩნდება, რადგან მიეჩვივნენ სახეზე წითელი ფერის ყურებას. ნუ აჩქარდებით! კანი შეიწოვს ფუძეს და შეერწყმის მას და მალე შენიშნავთ კანის ბევრად გათანაბრებულ ბუნებრივი ელფერს.

და პირიქით, კანის ყვითელი ელფერის მქონე ბევრი ადამიანი ირჩევს ვარდისფერ ფუძეს. ეს არასწორად მუშაობს. თქვენ მიზანია მიიღოთ და გააძლიეროთ კანის ყვითელი ელფერი, რომ უფრო ახალგაზრდად და ცოცხლად გამოიყურებოდეს.

შემდეგ გვერდზე წარმოდგენილი ცხრილი დაგეხმარებათ განსაზღვროთ კანის ტიპის მიხედვით, რომელი ფუძე უნდა გამოიყენოთ. აღნიშნული ცხრილი ასევე კარგი დამხმარეა კანის ზოგადი მახასიათებლების დასამახსოვრებლად.

კანის სახეობა	დახასიათება	რას საჭიროებს ამ ტიპის კანი?	საუკეთესო ფუძე ტექსტურის მიხედვით
მშრალი	არ ყოფნის დამარბილებელი ნივთიერება; ნაკლებად ელასტიურია; იშვიათად აქვს გამონაყარი; გაწმენდის შემდეგ ჩნდება დაჭიმულობა; ჩვეულებრივად არის პატარა ფორები	დამატენიანებელი ფუძე, რომელიც შეიცავს დამარბილებელ ნივთიერებებს და ანტიოქსიდანტებს	თხევადი დამატენიანებელი ან მუსი
ნორმალური	გამონაყარი იშვიათია ან საერთოდ არ არის; არც ძალიან ცხიმიანი და არც ძალიან მშრალი; საშუალო ფორები; გლუვი და თანაბარი ტექსტურა; ჯანსაღი ფერი	pH დაბალანსებული საშუალებები.	შეფერილი (დამატენიანებელი); თხევადი (ყველა სახის); კრემი; სტიკი; მუსი
ცხიმიანი	მიდრეკილია ფერიმჭამელების გაჩენისკენ; დიდი ფორები; სწრაფად ცხიმიანდება; ხშირად აქვს გამონაყარი; ნაკლებად მიდრეკილია ნაოჭების გაჩენისკენ; ჩვეულებრივ ძალიან ელასტიურია	ცხიმის შემცველი საშუალებები, რომლებიც არ აჩენენ ფერიმჭამელებს, გამდიდრებული ცხიმების მშთანთქავი ნივთიერებებით	თხევადი (არ შეიცავს ცხიმებს); წყლის ფუძეზე; მუსი
მგრძნობიარე	იოლად ღიზიანდება; ლაქებიანი სიმშრალესთან ერთად; უფრო მიდრეკილია კუპერიზისადმი*; მგძნობიარეა ბევრი საშუალების მიმართ; ხშირი სიწითლე	ჰიპერალერგიული საშუალებები; დამატენიანებელი საშუალებები, რომლებიც არ შეიცავენ არომატულ დანამატებს- შემადგენლობა მზისგან დამცავი, სასურველია ქიმიური დანამატების გარეშე	თხევადი (წყლის საფუძველზე); მუსი; შეფერილი (დამატენიანებელი)

კუპეროზი* - კანის სისხლძარღვების დაავადებაა. კანზე ჩნდება სისხლძარღვოვანი ვარსკვლავები, გაფართოებული კაპილარების ბადეები.

სახის და კანის დეფექტების მაქსიმალურ დაფარვას უწყობს ხელს კონსილერი. განსაკუთრებით ეს ხდება თვალი არეში, რომელსავ ყველაზე მეტად სჭირდება კორექტირება და ხშირ შემთხვევაში ამონათება.

კონსილერი ტონალურზე ცოტათი მეტად სქელი მასა არის და მისი მთავარი დანიშნულება დაღლილი სახის გამოცოცხლება, კანისთვის ჯანსაღი იერის მინიჭება, გამონაყარისა და თვალის უპეების ჩამუქების დაფარვაა. თანამედროვე კონსილერების ფორმულა ძალიან მსუბუქია და და გვაქვს ფერთა უდიდესი არჩევანი, რომელთა შერევაც ასევე ეფექტურია.

თუკი ჩვენი მიზანია სახის კანის ამონათება, ან რომელიმე ნაწილის წინ წამოწევა, გამოიყენება 2 ტონით უფრო ღია კონსილერი. კონტურის გამოკვეთისთვის კი 2 ტონით მუქი.

ყვითელი ელფერის კონსილერები ყველაზე სასურველ შედეგის მომტანია. ყვითელი - ფერის საუკეთესო გადაწყვეტაა, რადგან ის დაგეხმარებათ ებრძოლოთ კანის ხარვეზებს, მათ შორის ლილისფერ წრეებს თვალებქვეშ, ასაკობრივ ყავისფერ ლაქებს, ასევე სახის სიწითლეს. რაც უფრო შესამჩნევია ესა თუ ის ნაკლი (მაგალითად, ხალი ან ჩაშავებული წრეები), მით უფრო დაგჭირდებათ ყვითელი კონსილერი.

ბრინჯაოსფერ ან უფრო მუქი ფერის კანზე შესანიშნავად მიდის ოქროსფერ-ნარინჯისფერი კონსილერი. კიდევ უფრო მუქი ელფერის მქონე კანზე უკეთ მიდის მუქი ყავისფერი კონსილერი.

სახისა და კანის დეფექტების გასწორებაში არანაკლები ადგილი უჭირავს პუდრს.
სპილოსძვლისა და ჩალისფერი კანისთვის საუკეთესო არჩევანია, როგორც წესი, ყვითელი ან ნეიტრალური ფერის პუდრები. არ გირჩევთ, იხმაროთ პუდრი ვარდისფერი ელფერით, რადგან ამ დროს კანი გამოიყურება არაბუნებრივად და უფრო მობერებულად. თქვენი მიზანია, ნახოთ ნეიტრალური ელფერის პუდრი, რომელიც ზუსტად შესაბამისი იქნება ფუძესთან. გნებავთ, რომ კანის ფერი უფრო თბილი გახადოთ, ან დამალოთ რაღაც ხარვეზები? აირჩიეთ ყვითელი ელფერის მქონე პუდრი.
ბრინჯაოსფერი და მუქ კანზე გამოიყენება ოქროსფერ-ნარინჯისფერი ელფერის პუდრი, რათა კანი გახდეს უფრო ნათელი, ქორფა და ლამაზად ბრწყინავდეს.
რაც უფრო მუქია კანი, მით უფრო სავარაუდოა, დაგჭირდეთ პუდრი თბილი ყავისფერი ელფერით, რათა კანი ბუნებრივად ანათებდეს. მუქი ბრინჯაოსფერი საჭიროებს ოდნავ მოციმციმე ფხვიერ პუდრს. ეს პუდრი შთანთქავს კანის ცხიმს და კანს ანიჭებს ცოცხალ დატენიანებულ იერს. მკრთალი ეფექტის ფხვიერი პუდრი ბრინჯაოსფერ და მუქ კანს აძლევს მონაცრისფრო იერს.

ნახევრად გამჭვირვალე პუდრი კარგად ჩანს და საკმაოდ გამჭვირვალეა. მას გააჩნია ნაკლებად დამფარავი ეფექტი, ვიდრე სხვა პუდრებს, მაგრამ ის არ არის უფერო და ხშირად ჩანს არაბუნებრივად, განსაკუთრებით მუქ ჩალისფერ და ზეთისხილისფერ კანზე.

უკეთესია ისეთი პუდრის შერჩევა, რომელიც ზუსტად შეეფერება კანის ელფერს ან მას უფრო ნათლად გამოაჩენს. ერთადერთი შემთხვევა, როცა ნახევრად გამჭვირვალე პუდრი საჭიროა, ეს არის ისეთ არეებზე პუდრის მიყრა, სადაც ბევრი კონსილერი იყო წასმული.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. აღწერეთ კანის ტიპები
2. ჩამოთვალეთ ცხიმიანი კანის მოვლისას დაშვებული შეცდომები
3. რა თვისებები ახასიათებს ცხიმიან კანს?
4. რა ასაკიდან ჩნდება ნაოჭები ნორმალურ კანზე?
5. რა ასაკიდან იწყება კანის ბიოლოგიური დავბერება?
6. ჩამოთვალეთ კანის პიგმენტები
7. რა ფერის კორექტორი ფარავს პიგმენტურ ლაქებს?
8. რა ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ ფუძის შერჩევისას?
9. აღწერეთ „ტესტი ზოლით“
10. რომელია საუკეთესო ფუძე მშრალი და ნორმალური კანის ტიპებისთვის?
11. რომელია საუკეთესო ფუძე მგრძნობიარე კანის ტიპებისთვის?
12. რა უპირატესობები გააჩნია ყვითელ ფუძეს?
13. კონსილერის ტიპები, ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ.
14. ისაუბრეთ პუდრის დანიშნულებაზე

თავი 9

მ ა კ ი ა ჟ ი

სილამაზის არსი არ მდგომარეობს მხოლოდ იდეალურად სიმეტრიული სახის ნაკვთების ქონაში.

ხშირად ფიქრობენ, რომ მაკიაჟის ხელოვნება რთული ასათვისებელია, მაგრამ ყველაფერი ძალიან მარტივია, როცა მის საიდუმლოს გაიგებთ. მაკიაჟი ეს არის კარგად შერჩეული კოსმეტიკური საშუალებების, კარგი ინსტრუმენტების და სწორი ტექნიკის გამოყენების საკითხი.

თანამედროვე მაკიაჟი უნდა იყოს უბრალოდ ბუნებრივი, რომ ყურადღება მივაქციოთ სახეს და არა მაკიაჟს.

სახის მოვლა პირველ რიგში მისი გაწმენდით იწყება.

სახის გაწმენდა ხდება, როგორც სალონებსა და ესტეტიკურ ცენტრებში, ასევე სახლის პირობებშიც. სახის გაწმენდა ყველაზე პოპულარული კოსმეტიკური პროცედურაა. თუმცა მრავალი ადამიანი სახის მოვლას დეკორატიულ კოსმეტიკას ამჯობინებს. მაშინაც კი, როდესაც აშკარა პრობლემა იჩენს თავს: გამონაყარი, მუწუკი, კომედონები, გაფართოებული ფორები, - კოსმეტოლოგთან მისვლას ურჩევნიათ, ის ტონალური კრემის სქელი ფენით დაფარონ. ცხადია, დეფექტების შენიღბვა უფრო იოლია, მაგრამ რამდენად მისაღებია ეს?

დღესდღეისობით ადამიანები უფრო და უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან თავიანთ ჯანმრთელობას და ადრეული ასაკიდანვე იწყებენ თავის მოვლას, რასაც გაცილებით უკეთეს შედეგამდე მივყავართ:

მაგალითად, სიყმაწვილეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ ფორების ზომას: ასაკთან ერთად მათი კედლები კარგავს სიმკვრივეს და კანის

ზედაპირზე მიკროსკოპული ჩრდილები ჩნდება, ამიტომ კანი არათანაბარი ჩანს და ცუდად ირეკლავს შუქს. 3-4 გაწმენდა ერთთვიანი ინტერვალებით საკმარისია, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდეს კანის მდგომარეობა, შევიწროვდეს ფორები, გაქრეს მუწუკოვანი გამონაყარი. თუ კანი არ არის პრობლემური, გაწმენდა რეკომენდებულია 8-12 თვეში ერთხელ. თუ კანი კომბინირებულია, მიდრეკილია ცხიმიანობისკენ და სახეზე გამონაყარი ხშირად ჩნდება, პროცედურა ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩავიტაროთ. ზოგს სახის გაწმენდა მტკი-ვნეული და უსიამოვნო პროცედურის გამო არ მოსწონს, ზოგს - იმიტომ, რომ ჰგონია, რეგულარული წმენდა ფორებს გააფართოებს და ფერიმჭამელები და მუწუკები სინათლის სიჩქარით გამრავლდება... დღესდღეობით, გარდა მექანიკური ან, როგორც სხვაგვარად უწოდებენ, ხელით წმენდისა (კომედონების, ფერიმჭამელებისა და მუწუკების გამორწყვა ხელით ან სპეციალური კოვზით), რომელიც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ ითვლება ერთ-ერთ ქმედით და პოპულარულ საშუალებად (იგი იდეალურად მიესადაგება ცხიმიან და შერეული ტიპის კანს, მისი მეშვეობით შესაძლებელია ყველაზე რთული მუწუკების მოშორება), არსებობს სახის წმენდის სხვა მეთოდებიც.

მაგალითად, კოსმეტოლოგიაში დაინერგა ულტრაბგერა. ადამიანის ყურს ის არ ესმის; სამაგიეროდ, მისი ტალღა ღრმად აღწევს კანში. ულტრაბგერას აქვს ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, ავიწროებს ფორებს და გამოაქვს კანიდან ჭარბი ცხიმი. ამგვარი წმენდა შეიძლება გამოვიყენოთ მინიმალურად დაბინძურებული მშრალი კანისთვისაც. პროცედურა უმტკივნეულოა: დერმატოლოგი სახეზე უსვამს ლოსიონს და მასზე გადაატარებს სპეციალურ უტრაბგერით ნიჩაბს: სახის კანი თავისუფლდება მკვდარი უჯრედებისგან, ცხიმოვანი და ოფლის ჯირკვლების ცხოველმყოფელობის პროდუქტებისგან და თვალით უხილავი მაკიაჟის ნარჩენებისგან. სახის გალვანური წმენდა (მას დეზინკრუსტაციასაც უწოდებენ) ტარდება მცირე სიმძლავრის ელექტრული დენით, რომლის ზემოქმედებითაც ფორებში არსებული ცხიმი იხსნება და კანის ზედაპირზე ამოდის.

აქ ის ურთიერთქმედებს სახეზე წასმულ სითხესთან და გარდაიქმნება საპნად. აღსანიშნავია, რომ გალვანური წმენდისას გამოყენებული დენის ძალა იმდენად მცირეა, მას ტკივილის ძალიან დაბალი ზღურბლის პირობებშიც კი ვერ შეიგრძნობთ. ამგვარი წმენდა იდეალურად მიესადაგება ცხიმიან და პრობლემურ კანს. ვაკუუმური წმენდაც ცხიმიანი და კომბინირებული კანისთვისაა შესაფერისი. კოსმეტოლოგები იყენებენ სპეციალურ აპარატს, რომელთანაც მიერთებულია მილი უარყოფითი წნევით. ეს აპარატი, მტვერსასრუტის მსგავსად, კანიდან იწოვს ყოველივე უსარგებლოს და ზედმეტს ისე, რომ არ ტოვებს კვალს. აირთხევადი წმენდა შეიძლება გამოვიყენოთ მგრძნობიარე კანისთვის. სპეციალური ჩამოსაცმელიდან სახეზე 8 ატმოსფერო წნევით ეცემა სამკურნალო სითხე და სამედიცინო აირები (ჟანგბადი და CO2) და ფორებიდან გამოდევნის ყველაფერ ზედმეტს. მგრძნობიარე კანისთვის იდეალურია სახის ალმასური წმენდაც. ეს პროცედურა ტარდება არა ძვირფასი ქვებით, არამედ სპეციალური ალმასის საცმით. ის ხვეწს და აპრიალებს სახის ზედაპირს, ხეხავს გარქოვანებულ ფენას, აცილებს გამონაყარს, ამცირებს წვრილ ნაოჭებს. საცმის შიგნით იქმნება ვაკუუმი, რის წყალობითაც მთელი ჭუჭყი შორდება კანს და ხელსაწყოს ფილტრზე ილექება.

შემდეგი არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია სახის კანის დემაკიაჟი.
დემაკიაჟი – სახის კანის მაკიაჟისგან გასუფთავებას ნიშნავს. დეკორატიული კოსმეტიკა, პრაქტიკულად, არ სცილდება წყლით. ამიტომაც კოსმეტიკაში არსებობს მაკიაჟის ჩამოსაშორებელი საშუალებების საკმაოდ ფართო არჩევანი.
დემაკიაჟისთვის განკუთვნილი პროდუქცია აუცილებლად უნდა შეირჩეს კანის ტიპიდან გამომდინარე.
როგორც ზევით აღვნიშნეთ (იხ. თავი: კანის ტიპი, ფერი და კორექცია გვ74) არსებობს სამი ტიპის კანი – ნორმალური, მშრალი და ცხიმიანი. ყოველ მათგანს შესაფერისი მოვლა სჭირდება.
მშრალი კანი ხშირად მგრძნობიარეა და მისთვის დამახასიათებელია ადრეული

დაბერება და ჭკნობა. ამიტომაც ასეთი ტიპის კანისთვის უნდა შეირჩეს მაკიაჟის ჩამოსაშორებელი ნაზი საშუალება. გამოდგება ორფაზიანი ტონიკები, რომლებიც წყალსა და ზეთებზეა დამზადებული.

ცხიმიანი კანისთვის დამახასიათებელია სიპრიალე და ის გამონაყარისკენ არის მიდრეკილი. ამიტომაც ცხიმიანი კანის დემაკიაჟი უფრო ინტენსიური უნდა იყოს. რეკომენდებულია გელები და ქაფები, რომლებიც სველ კანზე ისმევა და შემდეგ წყლით იბანება.

ნორმალური კანი მკვრივი და ელასტიკურია. მისთვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი ფერი. ის არ პრიალებს, როგორც ცხიმიანი კანი და არც იქერცლება, როგორც მშრალი. ასეთი კანი იტანს ყველანაირ გამწმენდ საშუალებას. თუმცა მაინც უმჯობესია, გამოიყენოთ მსუბუქი მუსი ან მაკიაჟის ჩამოსაშორებელი რძე.

გაწმენდის პროცედურისას უმჯობესია, გამოიყენოთ ბამბის ტამპონები. ისინი არ გორგოლავდება, არ ტოვებს კანზე ბამბის ბუსუსებს და არ იწოვს დემაკიაჟისთვის განკუთვნილ ბევრ საშუალებას.

მასაჟის ხაზები

მაკიაჟი უნდა იქნას მოშორებული ე.წ. მასაჟის ხაზებზე, ისე, რომ არ გაიჭიმოს კანი. ყურადღება მიაქციეთ, ხომ არ აწვებით კანს ზედმეტად იმისათვის, რომ კარგად ჩამოაშოროთ მაკიაჟის ნარჩენები.

თუ მაკიაჟის ჩამოსაშორებლად ძალისხმევა გჭირდებათ, ე.ი. ეს არ არის კარგი ხარისხის გამწმენდი საშუალება.

ჩაატარეთ დემაკიაჟი შემდეგი თანმიმდევრობით: ხელები (უბრალოდ, კარგად დაიბანეთ საპნით იმისათვის, რომ მოაშოროთ ჭუჭყი, ცხიმი და ოფლი), წმენდთ ჯერ ტუჩებს, წამწამებსა და წარბებს, ხოლო ბოლოს სახის კანს.

ტუჩის დემაკიაჟი - ყველაზე მარტივი პროცედურაა, რომელიც არ საჭიროებს სპეციალურ რეკომენდაციებს. ბამბის ტამპონი დაასველეთ მაკიაჟის ჩამოსაშორებელ სითხეში და რამდენჯერმე გაწმინდეთ ტუჩი კუთხეებიდან ცენტრის მიმართულებით.

აქვე განვიხილოთ **აქერცვლა** (”**პილინგი**”) - საჭიროა ტუჩების გასუფთავება, რათა ზედაპირი გახდეს გლუვი და რბილი, ამაში პილინგი და ტუჩის მასაჟი დაგეხმარებათ. მისი რეგულარული გაკეთება ხელს უწყობს ტუჩსაცხს ტუჩებზე თანაბრად დაჯდეს და ტუჩები ბევრად გლუვად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს.

პილინგი ეპიდერმესის ზედა ფენის მოცილებაა, რაც სხვადასხვა უხეში ნივთიერებების ზემოქმედებით შეგვიძლია გამოვიწვიოთ -კბილის ჯაგრისით ძილის წინ, ტუჩის სკრაბებით ან ნებისმიერი სხვა ტიპის შედარებით ნაზი სკრაბით, უხეში პირსახოცით.

წამწამების დემაკიაჟი - წამწამებიდან ტუშის მოშორება არც ისე მარტივი პროცესია. ეს პროცედურა ფაქიზად უნდა ჩაატაროთ, რომ ტუშის ნაწილაკები ან მაკიაჟის ჩამოსაშორებელი საშუალება არ ჩავარდეს თვალში. თუ ეს მაინც ვერ აიცილეთ თავიდან, ზედმიწევნით კარგად მობანეთ თვალები წყლით. წამწამების გაწმენდის მეთოდიკა ასეთია: ბამბის ორი დისკი გააჯერეთ მაკიაჟის ჩამოსაშორებელი სითხით. პირველი დაადეთ ქვედა ქუთუთოზე. თვალი დახუჭულია ისე, რომ წამწამები ტამპონის ზემოდან დაეწყოს, ხოლო მეორე ბამბის დისკით ნაზი მოძრაობით წამწამები ძირებიდან ბოლოების მიმართულებით გაიწმინდეთ. ეს არის პროფესიუმალური ხერხი, თუმცა სახლის პირობებში გაცილებით მარტივად - ბამბის ერთი დისკით იწმენდენ წამწამებიდან ტუშს.

ქუთუთოების დემაკიაჟი - ბამბის ტამპონი დაასველეთ თვალის მაკიაჟის ჩამოსაშორებელ სითხეში და გარეთა კუთხიდან შიდა კუთხის მიმართულებით შესრულებული მოძრაობით გაწმინდეთ თვალი. არ გაჭიმოთ კანი და არ დააწვეთ ძალიან თვალს. ქუთუთოების დემაკიაჟი არ არის რთული პროცედურა, თუმცა მოითხოვს აკურატულობას და სიფრთხილეს.

სახის კანის გაწმენდა - სახის კანის დემაკიაჟი – ყველაზე ხანგრძლივი პროცედურაა, უნდა მოშორდეს ტონალური კრემის ნარჩენები და პუდრი კანის ყველა ნაკეციდან. დაისხით ცოტაოდენი დემაკიაჟის საშუალება ხელზე, თითების ბალიშებით გაინაწილეთ სახეზე. შუბლზე ცენტრიდან საფეთქლებამდე, ხოლო ლოყებზე - ცხვირიდან ყურებისკენ. იხილეთ სურათი მასაჟის ხაზები, ამ მიმართულებებით წმენდთ კანს მაკიაჟისგან.

დემაკიაჟს სხვადასხვა მიზნები აქვს:

1. მოაშოროს კანს დღის განმავლობაში დალექილი ჭუჭყი და მაკიაჟი
2. გაწმინდოს ფორები
3. დაატენიანოს და ტონუსში მოიყვანოს კანი

მაკიაჟის კეთებას გაწმენდილ სახეზე ვიწყებთ კანის მომზადებით:

დატენიანება

კანის დატენიანება მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც ფუძეს ეხმარება სწორად და თანაბრად დაჯდეს.

სახე ჯერ სუფთად იბანება და შემდეგ ხდება დამატენიანებელი კრემის დატანა. უკეთესია, დამატენიალებელი საშუალების წასმა მოხდეს სველ ან ნამიან სახეზე, რადგან უფრო თანაბრად დაჯდება.

დამატენიანებელი ათანაბრებს კანს და უფრო კარგად იმოქმედებს რამდენიმე წუთით თუ გააჩერებთ რომ კანმა შეიწოვოს.
მხოლოდ ამის შემდეგ ხდევბა მაკიაჟის კეთება.
შეგიძლიათ ისარგებლოთ მსუბუქი ან ძლიერმოქმედი დამატენიანებლით, უბრალოდ დარწმუნდით, რომ პროდუქტი ზუსტად არის შერცეული კანის ტიპის მიხედვით.

- დამატენიანებელი ნორმალური კანისთვის, როგორც წესი, მსუბუქია, ის ასწორებს ნებისმიერ მშრალ ადგილს.

- დამატენიანებელი მშრალი კანისთვის შეიცავს უფრო მეტ დამარბილებელ ნივთიერებას და უფრო გაჯერებულია.

- დამატენიანებელი მგრძნობიარე კანისთვის არ შეიცავს არომატულ დანამატებს და არ აღიზიანებს კანს.

- დამატენიანებელი ცხიმიანი კანისთვის ძალიან მსუბუქია და არ ახშობს ფორებს. მასში შემავალი უამრავი ცხიმის მშთანთქავი ნივთიერებები აკონტროლებენ კანის ცხიმების გამოყოფას. ცხიმიანი კანი დატენიანებას საჭიროებს, რადგან ის ხშირად გამომშრალია გამწმენდებით. ორგანიზმი ჭკვიანურად არის მოწყობილი, გადაჭარბებული სიმშრალე რომ დააკომპენსიროს, ის მეტ ცხიმებს გამოყოფს, რის გამოც სახეზე კანი ცხიმიანი ჩანს. მსუბუქი დამატენიანებელი ცხიმიან კანს არ აძლევს საშუალებას მეტი ცხიმები გამოყოს და ებრძვის ფორიანობას.

პრაიმერი

პრაიმერის დატანა კანზე დამატებითი ეტაპია მაკიაჟში, მაგრამ ის საოცრებებს ახდენს. ის ფუძეს ეხმარება კანზე უფრო თანაბრად დაჯდეს და მეტხანს გასძლოს. ზოგჯერ ის შეიცავს შუქამრეკლ ნაწილაკებს, რომლებიც ხელს უწყობენ კანის წვრილ-წვრილი ნაკლის დაფარვას. ამრიგად, კანი უკეთ გამოიყურება და მთელი დღის განმავლობაში ინარჩუნებს ცოცხალ იერს. პრაიმერის დატანა ხელს უშლის დღის განმავლობაში ფუძის ფერის შეცვლას, რომელიც კანის ბუნებრივი ცხიმების მოქმედების შედეგია, რამეთუ წარმოქმნის ბარიერს ამ ცხიმებსა და ფუძეს შორის. უბრალოდ დაადეთ საშუალება დამატენიანებელზე, სანამ ფუძეს წაუსმევდეთ.

ფუძე

ფუძის შერჩევა, რომელიც იდეალურად მოუხდება კანს ერთ ერთი რთული საქმეა მაკიაჟში. ამ ამოცანის გასამარტივებლად შესაფერისი ფუძის არჩევის პროცესში, სასურველია კლიენტის სახის კანის დიაგნოსტიკა მოახდინოთ:

1. როგორი ტიპის კანი აქვს?
2. რა ფერის კანი აქვს?
3. რამდენად არის საჭირო მისი შენიღბვა?
4. როგორი ეფექტის მომცემი საშუალება გვჭირდება?

ამ კითხვებზე პასუხები უნდა დაგეხმაროთ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ნამდვილად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა ეფექტის მომცემი ფუძეა კონკრეტულ შემთხვევებში უმჯობესი, რადგან ერთი და იგივე საშუალება სხვადასხვა სახეობის კანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს.

მკრთალი არაპრიალა (გლუვი) ფუძე - შესანიშნავი არჩევანია ნორმალური და ცხიმიანი კანისთვის. ყველაზე კარგად უხდება ისეთ ზადიან კანს, რომელსაც ახასიათებს გამონაყარი, ნაიარევი და ლაქები. ის უზრუნველყოფს საუკეთესო შენიღბვას და ჩინებულად ერგება ცხიმიანი კანის შემთხვევაში, რადგან არ შეიცავს ცხიმებს. წასმის დროს სასურველია გამოიყენოთ თითები, ვინაიდან ძალიან ბევრის წასმის შემთხვევაში, სახე დაემსგავსება ნიღაბს.

დამატენიანებელი ფუძე - შესანიშნავი არჩევანია მშრალი კანისთვის, რადგან მას ატენიანებს. კარგად უხდება ნებისმიერ სახის კანს გარდა ცხიმიანისა, რამეთუ აძლიერებს ბზინვას და გამოკვეთავს ისეთ ნაკლს, როგორიცაა ზედაპირული კოპი ან ლაქები. დამატენიანებელი ფუძე არ არის საუკეთესო არჩევანი ზაფხულში ან დიდი ტენიანობის მქონე რეგიონებში. ასეთ პირობებში ის გამოჩნდება ძალიან ლაპლაპად და ცხიმიანად, იმის მაგივრად, რომ იყოს უბრალოდ ნამიანი.

ატლასისებური - უხდება თითქმის ყველა სახეობის კანს, გარდა ძალიან ცხიმიანისა. კანს ანიჭებს სირბილეს, სიგლუვეს. ეს ფუძე არც ისეთი თანაბარია, როგორც გლუვი, და არც ისეთი მბზინავი, როგორც დამატენიანებელი, წარმოადგენს რაღაც შუალედურს მათ შორის. ატლასისებური ფუძე ყველაზე გავრცელებული ფუძეა.

მოციმციმე - შესანიშნავად უხდება ყველა ტიპის კანს. მისი შუქამრეკლი თვისება ეხმარება მცირე ნაკლის და წვრილი ნაოჭების დამალვაში შუქის არეკვლით სახის ზედაპირიდან.

ფუძის წასასმელად გაქვთ სამი ინსტრუმენტი:

- სპონჟი (ღრუბელი) ბევრად ჰიგიენურია, იმიტომ რომ შეგიძლიათ მისი გარეცხვა ან გადაგდება. სპონჟი ნამდვილად გეხმარებათ შერევის პროცესში.

- ფუნჯი კარგად ურევს და თქვენ გექნებათ საუკეთესო საფარი. ფუნჯი ასევე კარგი გამოსაყენებელია, როცა საჭიროა მაკიაჟის შელამაზება დღის განმავლობაში. სპონჟი ან ფუნჯი ყოველთვის უნდა გარეცხოთ ფუძის წასმის მერე. რაც უფრო სუფთაა ინსტრუმენტი, მით უფრო კარგი გამოდის წასმული ფუძე.

- მესამე ინსტრუმენტი არის - საკუთარი თითები. ფუძის წასმის წინ და დამატენიანებლის ან კანის მოვლის სხვა საშუალების წასმის შემდეგ გულმოდგინედ დაიბანეთ ხელები. მოვლის საშუალებების ნარჩენებმა შეიძლება გააფუჭოს ფუძე და საფარი.

<u>დაიმახსოვრეთ:</u>
თითებით არასოდეს არ წაუსვათ კლიენტს, მხოლოდ საკუთარ თავს.

ფუძის წასმის პრინციპები:

- ✓ უმჯობესია წასმა დაიწყოთ სახის შუიდან, დაადეთ მცირე რაოდენობის კრემი ლოყებზე და შუბლზე და მერე შეაზილეთ ის.
- ✓ ყოველთვის გახსოვდეთ, რომ უნდა შეაზილოთ ზევიდან ქვევით, რომ სახის ბუსუსები თანაბრად დაჯდეს.
- ✓ შეზელვის მერე ხელსახოცით აიღეთ სახიდან მთელი ცხიმი, რაც დარჩა სახეზე.
- ✓ ეს დაეხმარება კანზე ფუძის დამაგრებას.
- ✓ არ დაგავიწყდეთ ამის მერე პუდრის გადასმა.
- ✓

რჩევა: ბუნებრივი ეფექტის მიღწევის საუკეთესი ხერხია - ჯერ დადეთ სახეზე გამჭვირვალე ფუძე, მერე კონსილერი წვრილმანი დეფექტების დასამალად.

ფუძის დადება ტუჩებზეც შეიძლება. ის ქმნის ერთგვარ „სუფთა ტილოს“ ფორმის ნებისმიერი ცვლილებისთვის, რომელიც გინდათ მიიღოთ. ამის გარდა ტუჩსაცხი უფრო დიდხანს გაძლებს წინასწარ ფუძეწასმულ ტუჩებზე.

სახის ოვალის კორექტირება



მრგვალი სახის მქონე ბევრ ქალბატონს მისი ვიზუალური დაგრძელება სურს.
ამის მისაღწევად ყველაზე ეფექტური საშუალებაა სახის "გამოძერწვა" ფუძის და პუდრის დახმარებით. ეს ხერხი ნებისმიერ სახეს ვიზუალურად ხდის უფრო ოვალურს, ანუ იმ ფორმას მიიღებს, რაც იდეალურად ითვლება.

მრგვალ სახეზე პრობლემური ადგილებია მოკლე ნიკაპი, დაბალი შუბლი ან უბრალოდ, სახის სიმსუქნე, რაც სიმრგვალეს ქმნის. ასეთ სახეზე შუბლის გვერდითი

ნაწილები მუქ ტონალობაში უნდა "ჩავსვათ". ასევე მუქი პუდრია საჭირო საფეთქლებთან. საფეთქლებიდან რკალად ჩამოვიდეთ ლოყებზე და რკალადვე ჩავიყვანოთ პუდრი ნიკაპამდე.



აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ერთი პრინციპი- უნდა აირჩიოთ სამი ელფერის ფუძე ან სამი განსხვავებული ელფერის პუდრი.

1. პირველი ფერი - ფუძის ფერი - ზუსტად უნდა შეეფერებოდეს კანს.
2. მეორე ფერი - ათინათი -პირველზე ოდნავ ღია უნდა იყოს, ოღონდ იგივე ელფერის.
3. მესამე ფერი - კონტური - უნდა იყოს ოდნავ მუქი (ერთი ტონით), ვიდრე პირველი, მაგრამ იმავე ელფერის. სამივე ელფერს შორის არ უნდა იყოს მკვეთრი სხვაობა.

კარგად აურიეთ სამივე ელფერი, რადგან სწორედ არევის პროცესი ხდის სახის "ძერწვის" მეთოდს ეფექტურს.

ნაბიჯი 1. უსმევთ ფუძის პირველ ფერს მთელ სახეზე, შემდეგ განსაზღვრავთ სახის ოვალის კონტურს. ოვალის სიგანე განისაზღვრება საფეთქლების დონით; ოვალის სიმაღლე ან სიგრძე - ესაა შუბლის ზედა წერტილს და ნიკაპის ქვედა წერტილს შორის მანძილი.

ნაბიჯი 2. უსმევთ ათინათს ოვალის შიგნით ყველაზე მაღალ წერტილებზე, შუბლის, თვალებქვეშ ყვრიმალის ზევით და ნიკაპის წვერის ჩათვლით. გამოყოფილი ნაკვთები ის არეებია, რომელზეც პირველ რიგში მზერას შეაჩერებენ.

ნაბიჯი 3. დაიტანეთ კონტური ან ყველაზე მუქი ელფერი ოვალის მიდამოს გარეთ, მათ შორის საფეთქლებზე, თმის ხაზის გასწვრივ და ლოყების გარე მხარეს. გარე არეების გაღრმავებით თქვენ მას ვიზუალურად აიძულებთ უკან დაიხიოს და სახე ხდება უფრო ვიწრო და ოვალური. თუ კანი არის სპილოს ძვლის ფერი ან ჩალისფერი, გაღიავების ნაცვლად უფრო ამუქებთ სახის კონტურს. ბრინჯაოსფერ კანზე მეტად გაანათებთ კანს, ვიდრე გაამუქებთ კონტურს.

გარდა სახის ოვალის კორექტირებისა, ფუძის მეშვეობით შესაძლებელია სახის სხვადასხვა ნაწილების კორექტირებაც: გაზრდა, დაპატარავება, ვიზუალური ფორმის შეცვლა.
მაგ: ცხვირის დავიწროვების უბრალო ხერხი.
ცხვირის ცენტრში უსმევთ იმ სიგანის ათინათს, რამხელაც სასურველია ცხვირი ჩანდეს. შემდეგ ხდება კონტურის ელფერის გადასმა ცხვირის ფრთებზე - ის ვიზუალურად დაავიწროვებს ცხვირს, რადგან მზერას მიიზიდავს განათებული არე.

თუ საქმე გაქვთ ოდნავ კაუჭა ცხვირთან:
სწორი ხაზი გაავლეთ ცხვირის წვერზე ათინათის ელფერით, ხოლო მერე დაადეთ კონტური გვერდებზე. უცხოების მზერას მიიპყრობს ხაზი და ცხვირი გამოჩნდება სწორი.

სახის ფორმის "გამოძერწვის" დასრულება შეიძლება პუდრის სამი ელფერით: პირველი უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი ფუძის ფერს, მეორე - ათინათის, მესამე, უფრო მუქი

ან ბრინჯაოსფერი, - კონტურს. ეს გახდის სახეს სამგანზომილებიანს, ლამაზად გამოძერწილს და გამოაჩენს უფრო ოვალურად.

კონსილერი

კონსილერი შესანიშნავად აუმჯობესებს კანის იერსახეს.

არასასურველი ნაკლის დამალვის საიდუმლო იმაშია, რომ კონსილერის წასმა მხოლოდ კანის იმ ადგილებში უნდა მოხდეს, რომლებმაც ფერი იცვალეს. თვალების ქვევით შეცვლილი ფერის დასამალად (სინამდვილეში ეს არის ძარღვები, რომლებიც შუქზე აირეკლებიან ლურჯად ან ნაცრისფრად) უთუოდ დაგჭირდებათ სწორი ელფერის და ტექსტურის კონსილერი.

თუ შეარჩევთ ძალიან თხევად შიგთავსს, ის შეიძლება „ჩარჩესბ " ნაკეცებში და ნაოჭებში და პირიქით გამოაჩენს იმას, რისი დამალვაც გსურთ. ხოლო ძალიან მშრალი შიგთავსი არასასურველად იმოქმედებს თვალის გარშემო ნაზ კანზე და იგივე ნაკლიც ყურადღებას მიიქცევს. ელფერიც ფუძის შესაფერისი უნდა შეარჩიოთ ან ერთ-ორი ტონით უფრო ღია თუ თვალებქვეშ ძალიან მუქ წრეებთან გვაქვს შეხება.

კონსილერის, რომელიც ზუსტად შეესაბამება ფუძეს, წასმა შესაძლებელია ფუძემდე და ფუძის მერეც.

კანის ნაკლოვანებები

ამ ქვეყანაზე ძალიან ცოტა ადამიანია სრულიად უზადო კანით. სახის კანზე ყველაფერი მოქმედებს - მზის სხივებიდან დაწყებული გენეტიკით დამთავრებული. საბედნიეროდ, არსებობს სხვადასხვაგვარი კონსილერები განსხვავებული შიგთავსებით, რომლებიც დაგეხმარებათ დაფაროთ პრობლემური ადგილები და სახე წარმოაჩინოთ მომხიბვლელად.

პიგმენტური ლაქები

ლაქების მაქსიმალურად დასაფარად დაგჭირდებათ მშრალი ტექსტურის კონსილერი უკეთ რომ „ჩაეჭიდოს" ლაქიან კანს და არ გააღიზიანოს ის.

ჯერ იდება ფუძე და შემდეგ კონსილერი, რომელიც სრულიად შეესაბამება სახის კანს (ღია კონსილერი ვიზუალურად მხოლოდ გაადიდებს ლაქას). ფუნჯით დაიტანეთ კონსილერი ლაქაზე და მერე თითების ტყაპუნით შეზილეთ კანში.

დახეთქილი კაპილარები და ვენები

ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, საჭიროა კონსილერის წასმა მხოლოდ ფერის შეცვლის არეებში. აიღეთ ფუნჯი და კონსილერით ხაზი გაუსვით დახეთქილი კაპილარის ან ვენის ზედაპირზე. მერე თითების ტყაპუნით შეზილეთ კანში.

როზაცეა

როზაცეით გამოწვულ სიწითლეს რომ ებრძოლოთ, უნდა აიღოთ ყვითელ ფუძეზე დამზადებული კონსილერი და დაიტანოთ მხოლოდ სახის გაწითლებულ ადგილებზე. მერე თითების მსუბუქი მოძრაობით შეზილოთ კანში. პროცედურა დაამთავრეთ ამ ადგილას ზემოდან ფუძის წასმით, ისე, რომ ის მთლიანად შეერწყას კანის ფერს.

ჰიპერპიგმენტაცია, ანუ მელაზმა

ასაკობრივი ან ყავისფერი ლაქები შეიძლება იყოს მზეზე გადამეტებული ყოფნის ან ორსულობის დროს ჰორმონალური დისბალანსის შედეგი. მათ გასასწორებლად საჭიროა კონსილერი დაიტანოთ მხოლოდ კანის ფერშეცვლილ ადგილებში. წინააღმდეგ შემთხვევაში გააუფერულებთ ნორმალური ფერის კანს. წასმის შემდეგ კონსილერი უნდა შეზილოთ კანში კიდეებში. პროცედურის დასასრულს დამუშავებული ზონის ზემოდან წაუსვით ფუძე ისე, რომ მთლიანად შეერიოს კანის ელფერს. სპილოს ძვლის ფერი და ჩალისფერი კანის მქონე ქალბატონებმა უნდა იხმარონ ინტენსიური ყვითელი კონსილერი. ბრინჯაოსფერი ან მუქი კანის შემთხვევაში, უნდა გამოიყენოთ ოქროსფერ-ნარინჯისფერი კონსილერი.

ნაწიბურები („შრამები“)

ნაწიბური ეს არის კანის ამოწეული ადგილი, სადაც არ არის ფორები, ამიტომ მისი დამალვა რთულია, რადგან გრიმი სწორედ ფორებში ჯდება. ნაწიბური რომ შენიღბოთ, ფუნჯით უნდა წაუსვათ მშრალი ტექსტურის კონსილერი პირდაპირ ნაწიბურზე. შემდეგ თითებით შეზილოთ კიდეებში და გაშალეთ. თუ არ გაქვთ ნაწიბურებისთვის მშრალი კონსილერი, სცადეთ შემდეგი: დაზიანებულ ადგილას დაიტანეთ დამატენიანებელი, ხოლო მერე ცოტა ფხვიერი პუდრი. დამატენიანებელი პუდრს ეხმარება კანს „ჩაჭიდოს“. შემდეგ ფუნჯით გადაუსვით კონსილერი პირდაპირ ნაწიბურზე. კონსილერი და პუდრი აირევიან ერთმანეთში და შექმნიან ბევრად მშრალ ტექსტურას, რომელიც კანზე გაჩერდება.

გახსოვდეთ, რომ კონსილერები ძალიან განსხვავდებიან ფუძისგან. ისინი ბევრად მშრალები არიან, მათში მეტია პიგმენტი და სხვანაირად „ეჭიდებიან“ პუდრს. თუ კანზე

არის ადგილი, სადაც დაიტანეთ ბევრი კონსილერი, უკეთესი იქნება, თუ აიღებთ უფრო ღია პუდრს ამ ადგილისთვის.

თუ იმავე ფერის პუდრს აიღებთ, რასაც მთელ სახეზე იყენებთ, შენიღბული ადგილი უფრო მუქად გამოჩნდება.

აკნეს ნაწიბურებისთვის, რომლებიც იწვევენ ტექსტურის შეცვლას, სახე რომ ვიზუალურად უზადოდ გამოჩნდეს - უკეთესი იქნება მისი შენარჩუნება რაც შეიძლება მკრთალად. ფხვიერი პუდრი საუკეთესო გამოსავალია ამ დროს, რადგან სწორედ ის იძლევა ამის შესაძლებლობას. არასწორი მიდგომაა ნაწიბურების შევსება დიდი რაოდენობის ფუძით და კონსილერით.

რჩევა: ყვითელ ფერზე დამზადებული ელფერები კანს ჯანსაღ იერს ანიჭებენ და ის ბევრად ბუნებრივად გამოიყურება.

რომ მიაღწიოთ კონსილერის ოპტიმალურ ელფერს, სცადეთ შეურიოთ მას მცირე რაოდენობის ფუძე.

პუდრი

პუდრი მაკიაჟის აუცილებელი ელემენტია. ის აძლიერებს ფუძეს, აძლევს კანს ნაზ, ხავერდოვან სირბილეს, მის იერსახეს სრულყოფილებას ანიჭებს. რადგან ფხვიერი პუდრი უკეთესია ფუძის დასამაგრებლად. შემდეგ მთელი დღის განმავლობაში შესაძლებელია კომპაქტური პუდრის ხმარება მაკიაჟის მცირეოდენ შესალამაზებლად. აი რამდენიმე ხერხი ორივე პუდრის წასასმელად.

- ღრუბელი გამოიყენეთ იმ შემთხვევაში როცა კანი დაჭიმულია და ასევე შესანიშნავად გამოდგება პუდრის „წერტილოვანი“წასმისთვის.
- ფუნჯი - ყველაზე უბრალო და გავრცელებული ინსტრუმენტია. შესანიშნავად გამოდგება ასარევად, მაგრამ ფრთხილად უნდა იმოქმედოთ რადგან არის საშიშროება მანამდე შესრულებული სამუშაოს სრულად წაშლის.

საუკეთესო შედეგის - გლუვი, თანაბარი საფარის - მისაღწევად დაიტანეთ ფუნჯით მცირე ოდენობით პუდრი რამდენჯერმე, ვიდრე ყველაფერი ერთბაშად.

- ბუმბულა უზრუნველყოფს საუკეთესო საფარს. ჩადეთ ბუმბულა პუდრში და მერე დაიტანეთ სახეზე. ასეთი მოძრაობა თითქოს აერთიანებს პუდრს და ფუძეს კანთან, რომლის იერიც ბევრად ბუნებრივი ხდება. პუდრის წასმა დაამთავრეთ ფუნჯის მსუბუქი გადატარებით სახეზე ზევიდან ქვევით, რათა ზედმეტი პუდრი ჩამოვიდეს.
- პუდრის მსუბუქი წასმისთვის შეიძლება თითების გამოყენება. ეს შესანიშნავი საშუალებაა პუდრის წასასმელად თვალებ ქვეშ, განსაკუთრებით ასაკოვანი ქალბატონებისთვის. თითებით ფხვიერი პუდრი ისმევა კანზე თვალების ქვევით, რომ დაამაგროს კონსილერი და ვიზუალურად შეამციროს ნაოჭები.

მუქი წრეები თვალების ქვეშ

პირველ ყოვლისა უნდა მოამზადოთ თვალების ქვევით მიდამო: წაუსვათ შესაბამისი კრემი და დაიცადეთ ორი-სამი წუთი, სანამ შეიწოვს. ზედმეტი კრემი მოაშორეთ ღრუბლით ან ხელსახოცით. კრემი საჭიროა კონსილერის „დასამაგრებლად“. დაიხსომეთ, რომ კანი ამ ადგილებში ნაკლებ ცხიმოვან ჯირყვლებს შეიცავს, ვიდრე სხვაგან და ამიტომ სჭირდება ძალიან კარგი დატენიანება. არ დაინანოთ კრემი, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია ამ არის ზედმეტად დატენიანება. უბრალოდ დარწმუნდით, რომ ზედმეტი კრემი მოაშორეთ, რათა კონსილერი მერე კარგად „დამაგრდეს“ ადგილზე.

შემდეგ აიღეთ ფუნჯი და კონსილერი დაადეთ ხაზის გასწვრივ, რომელიც გამოყოფს კანის ფერის შეცვლის ადგილს, თანაბრად გაანაწილეთ ფუნჯის მოძრაობით ზევით და

ფერის შეცვლის მთელ მიდამოზე. არასდროს არ დაიტანოთ კონსილერი გამყოფი ხაზის ქვევით.

ძალიან მუქი წრეები საჭიროებენ მეტად ინტენსიურ კონსილერს. გამოიყენეთ ფუძეზე ერთი-ორი ტონალობით ღია ელფერი და წაუსვით ფუძის ქვევით. ფუძის დადების დროს არ დაგავიწყდეთ, რომ კონსილერით დაფარულ ადგილებზე ის „დარტყმის მაგვარი“ მსუბუქი მოძრაობით წაუსვათ. არ წაშალოთ ის, რაც ადრე დაადეთ. ყვითელი კონსილერი შესანიშნავი ვარიანტია მუქი წრეების შესანიღბავად სპილოს ძვლის ფერ და ჩალისფერ კანზე. ბრინჯაოსფერ და მუქ კანზე კარგად წავა ოქროსფერ-ნარინჯისფერი კონსილერი. ორივე კონსილერი წარმატებით ებრძვის ფერის შეცვლის ყველა ელფერს - წითლიდან დაწყებულს იისფერამდე და ყავისფერს.

- თუ საქმე გვაქვს მობერებულ კანთან, კონსილერი და პუდრის სქელი ფენა შეიძლება ჩარჩეს თვალებქვეშა ნაოჭებში. რადგან თქვენ მათი გამოჩენა არ გინდათ, დაადეთ ზედმეტად ბევრი პუდრი და თითებით გაშალეთ კონსილერის ფენა ისე, რომ არ დარჩეს მისგან არანაირი კვალი.
- ძალიან ღია კონსილერი უფრო გამოაჩენს იმას, რისი დამალვაც გინდათ.
- კონსილერი შეიძლება უფრო გამჭვირვალე გავხადოთ, თუ მას შევურევთ ცოტაოდენ კრემს.
- კონსილერის დამმალავი თვისების შესამოწმებლად ის ვენაზე მოსინჯეთ მაჯის შიდა მხრიდან.

შეშუპებები („ჩამოკიდებული ტომრები“) თვალების ქვევით

შეუძლებელია დამალოთ თვალებქვეშა „ტომრები“ კონსილერით თვალების ქვევით. ჯერჯერობით ვიცით, რომ ყველაფერი, რასაც სახეზე ვაღიავებთ, აღნიშნულ მიდამოს წინ წამოწევს. ჩვენი მიზანი კი არის, შეშუპებული ადგილების შენიღბვა.

თვალებქვეშა „ტომრების“ დამალვა შეიძლება, თუ ზუსტად მათ ქვევით მიდამოს გავაღიავებთ. რადგან სახე განათებულია ზევიდან, სახეზე შეშუპება ჩრდილს ქმნის. ჩამუქებული ადგილების და“ტომრების“ გაღიავებით ჩვენ მათ ვაიძულებთ წინ წამოიწიონ, რის გამოც ისინი შეუმჩნეველნი ხდებიან. ადამიანების უმრავლესობა გვიყურებს პირდაპირ და არა ზევიდან, ამიტომ „ტომრები“ კანის ფონზე გამოჩნდებიან თანაბრად.

ამის მისაღწევად აიღეთ ფუნჯი წაწვეტებული ბოლოთი და ღია კონსილერი წაუსვით ზუსტად „ტომრების“ ქვევით კლიენტს. მერე თითების ტყაპუნით ის გაშალეთ. თუ „ტომრების“ გარდა მუქი წრეებიც არის, რაც ხშირია ქალებში, თქვენ კორექტირება სამ ეტაპად უნდა ჩაატაროთ:

1. წაუსვით კონსილერი მუქ წრეებზე.
2. შემდეგ წაუსვით ფუძე სახის დანარჩენ ადგილას.
3. და ბოლოს, გააღიავეთ შეშუპება კონსილერით ქვევიდან. ეს ის შემთხვევაა, როცა უსმევთ უფრო ღია კონსილერს ფუძის შემდეგ და მას ბოლომდე არ შლით. არ დაგავიწყდეთ სტრიპლინგი - თითების ტყაპუნით მისი შეზელა.



სახის ფორმა

ადამიანის სახეში ყველაფერი უნიკალურია, მათ შორის მისი ფორმაც.
მომდევნო გვერდებზე თქვენ ნახავთ სხვადასხვა ფორმის სახეს და ისწავლით მაკიაჟის გაკეთებას მათზე.

ოვალური ფორმის სახე

ოვალი ითვლება სახის ყველაზე სრულყოფილ ფორმად მისი სიმეტრიის სილამაზის წყალობით. ასეთი სახე ფართოა ლოყებში, ოდნავ ვიწროვდება შუბლისკენ

და ნიკაპისკენ. სიმეტრია საშუალებას გაძლევთ კონტური არ დაადოთ და სახის ცალკეული არეები არ გააღიავოთ. ოვალურ სახეს უხდება მაკიაჟის თითქმის ყველა ტენდენცია.



მრგვალი ფორმის სახე

მრგვალი ფორმის სახე უფრო სრულია და ჩვეულებრივ დიდხანს გამოიყურება ახალგაზრდულად, ვიდრე სხვა ფორმის სახეები. ის უფრო მოკლეა, შესამჩვევად ფართო, სრული ლოყებით და მომრგვალებული ნიკაპით.
მრგვალი ფორმის სახის შემთხვევაში:

- გააღიავეთ შუბლი, თვალებქვეშა არე ყვრიმალის ზევით, ასევე ნიკაპის შუა ნაწილი, რათა ყურადღება სახის შუა ნაწილზე გადავიდეს.

- საფეთქელზე, ლოყებზე შემოხაზეთ კონტური და ყბის ხაზი ბრინჯაოსფერით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რომელიც ერთი-ორი ტონით მუქია, ვიდრე კანის ფერი, რომ ოვალის შთაბეჭდილება შეიქმნას.

კვადრატული ფორმის სახე

კვადრატული ფორმის სახე გამოირჩევა ერთნაირი სიგანით შუბლის, ლოყების და ქვედა ყბის ადგილებში.

თუ გაქვთ კვადრატული სახესთან შეხება:

- გააღიავეთ ის, დაიწყეთ შუბლის შუიდან, თვალების ქვეშ ყვრიმალის ზევით და ნიკაპის წვერში, რომ ყურადღება სახის შუა ნაწილისკენ გადავიდეს.
- კონტურით გაამუქეთ თმის ხაზი საფეთქლების კიდეებში და ყბაც ასევე კიდეებში.

- რუჟი წაუსვით ლოყების მომრგვალებულ ადგილას, რათა ყურადღება მოაცილოთ კვადრატის კუთხეებს, და ვიზუალურად გაფართოვდეს ეს არე, რომ უფრო ოვალურად იყურებოდეს.

გულის ფორმის სახე

გულის ფორმის სახე ფართოა შუბლის არეში და ვიწროვდება წამახვილებულ ან ვიწრო ნიკაპთან - ჰგავს ამოტრიალებულ სამკუთხედს.

თუ გაქვთ გულის ფორმის სახესთან შეხება:

- გააღიავეთ ნიკაპი, რომ ის ვიზუალურად გაადიდოთ, ასევე შუბლი და ყვრიმალის ზევით თვალებქვეშა ადგილი, რომ ყურადღება სახის შუა ნაწილისკენ იყოს მიმართული.
- დაიტანეთ კონტური საფეთქლებზე და ლოყებზე, რომ მისი მისი სიგანე შეამციროთ.

სახის „გამოსაძერწად“ გამოდგება კომპაქტური პუდრი, იმიტომ რომ მასში ცოტა პიგმენტია და კარგად ირევა. ასევე, თუ გინდათ, გამოიყენეთ ბრონზატები, ოღონდ შეამოწმეთ, რომ კარგად ირეოდეს.

მსხლის ფორმის სახე

მსხლის ფორმის სახე - ვიწროა საფეთქლებთან და შუბლთან და ფართოა ლოყების და ქვედა ყბის მიდამოებში.

მსხლის ფორმის სახის შემთხვევაში:

- გააღიავეთ შუბლი, რომ უფრო ფართოს შთაბეჭდილება დატოვოს, ასევე ღაწვების ზევით თვალებქვეშა ადგილები და ნიკაპის წვერი.
- დაიტანეთ კონტური ყბაზე და ლოყებზე, რომ ვიზუალურად შეამციროთ მათი სიგანე.



გრძელი სახე

გრძელ სახეს მაღალი ღაწვები აქვს, მაღალი გაფართოებული შუბლი და ძლიერი, წამახვილებული, ჩამოქნილი ყბის ხაზი.

თუ გაქვთ გრძელი ფორმის სახესთან შეხება:

- სახეზე არანაირი არე არ გააღიავოთ და არ წაუსვათ კონტური. ვიზუალურად ეს მხოლოდ დაგიგრძელებთ სახეს.
- ფუნჯით წაუსვით ცოტა ბრონზატი ნიკაპზე, რომ ის ვიზუალურად დაამოკლოთ.
- არ დაინანოთ რუჟი და ბევრი ფერი დადეთ ლოყების მომრგვალებულ ადგილას. ეს დაგეხმარებათ სახის გაფართოებაში და დამოკლებაში.

რჩევა:

რუჟის წასმა დაიწყეთ სახის მომრგვალებული ლოყებიდან და მერე ფუნჯით გადადით მთელ სახეზე.

თვალები

სახის კორექციის და სახის კანზე პუდრის დატანის შემდეგ გადავდივართ თვალებზე.
ვიდრე თვალების მაკიაჟს და თვალების ტიპებს განვიხილავთ, გავიხსენოთ რა ვიცით თვალის ჩრდილების შესახებ.
თვალის ჩრდილების დანიშნულებაა გაზარდოს თვალის ფორმა და მისცეს მათ მოცულობა.

ჩრდილების არჩევისას აკვირდებით თვალების ფერს, კანის ფერს და მხოლოდ ამის მერე ხდება ჩრდილების შერჩევა.

ჩრდილები წარმოაჩენენ თვალების ბუნებრივ ფერს. თქვენი მიზანია გამოაჩინოთ, ხაზი გაუსვათ თვალებს და არა შეასუსტოთ მათი ბუნებრივი ფერი. მომდევნო გვერდზე არსებული ცხრილი დაგეხმარებათ ჩრდილების არჩევაში, რომლებიც გააძლიერებენ თვალების ფერს.

თვალის ფერი	ლაინერი	ჩრდილი
ცისფერი	რუხი ან თბილი ყავისფერი	გაჯერებული ყავისფერი, რუხი-ყავისფერი, რბილი ატმისფერი
მწვანე	მოწითალო-ყავისფერი	ოქროსფერ-ყავისფერი, მუქი იისფერი, რბილი ატმისფერი, რბილი იასამნისფერი
თაფლის ფერი	ყავისფერი, მუქი რუხი, მოყავისფრო-რუხი, ლილისფერი	ოქროსფერ-ყავისფერი, ცისფერი, მწვანე, ზაცი მოყავისფრო-წითელი,მუქი ყავისფერი, ლილისფერი
რუხი	რუხი, მუქი ყავისფერი	მუქი რუხი, ცივი ყავისფერი, იისფერი

ცხრილზე თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სხვადასხვა თვალის ფერის მიხედვით ლაინერისა და ჩრდილების შერჩევა და შეხამება. ცხრილზე ლაინერის ფერების საკმაოდ ფართო სპექტრია წარმოდგენილი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში (თუ საქმე არ გვაქვს სადღესასწაულო ან სარეკლამო მიზნებისთვის განკუთვნილ დეკორატიულ მაკიაჟთან) შავ ლაინერს გამოიყენებენ.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მაქსიმალურად არ მოახდინოთ თვალისა და ჩრდილის ფერების დამთხვევა, ნუ გამოიყენებთ ცისფერ ჩრდილს ცისფერი თვალებისთვის, ან მწვანეს მწვანესთვის. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ შეარჩიოთ ფერი, რომელიც

იქნება თვალის ფერის საწინააღმდეგო. მაგალითად, ცისფერი თვალების საპირისპირო იქნება ყავისფერის თბილი ფერები, მუქი ყვითელი ან ოქროსფერი ელფერი.
თაფლისფერი თვალებისთვის ყველაზე ფართო არჩევანი არსებობს: უამრავი ფერი, რომლებიც ამავდროულად გამოკვეთავენ თვალების ბუნებრივ ფერს. თაფლისფერ თვალებთან თითქმის. ყველა ფერი მიდის.

მეორე მომენტი, რომელიც უნდა გახსოვდეთ ჩრდილების შერჩევისას, არის კანის ფერი. მუქი კანის შემთხვევაში არჩევანი არ უნდა შეაჩეროთ ჩრდილებზე, რომლებიც ძალიან თეთრია ან ბაცი. ზუსტად ასევე, ღია, მკრთალი კანის შემთხვევაში თავი შორს უნდა დაიჭიროთ მუქი ჩრდილებისგან. შეუმჩნეველი, ბუნებრივი ფერები უკეთ იყურება, ვიდრე მკვეთრად კონტრასტული ფერები, განსაკუთრებით დღისით.

თვალის ფერისგან დამოუკიდებლად ლაინერისთვის აირჩიეთ ნეიტრალური ფერები, ისეთები, როგორებიცაა ყავისფერ-რუხი, შავი ან ყავისფერი, რათა გამოკვეთოთ თვალების ფორმა და შემოხაზოთ კონტური. ფერადი ლაინერი დაგეხმარებათ ყურადღება მიიპყრონ თვალებმა.

თვალის ჩრდილების პალიტრა

თვალის მაკიაჟი შეიძლება იყოს ძალიან მრავალფეროვანი: მარტივი ლაღი ფერები, ე.წ. Smokey Eyes და რთული, დეკორატიული გრადაციები.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ჩრდილების ფერები იყოფა სამ კატეგორიად: ათინათი, გარდამავალი ელფერი და კონტური. ფერების ამ სამი ძირითადი კატეგორიის დახმარებით თქვენ შეგიძლიათ ქუთუთოებს ფორმა მისცეთ. ჩრდილის წასმის ამ ტექნიკის შესახებ იხილეთ ცხრილი:

მოციმციმე	ხორცისფერი	ათინათი
მოციმციმე	ჩალისფერი	ათინათი
მოციმციმე	ოქროსფერი	ათინათი
გლუვი	მოყავისფრო-ყვითელი	ათინათი
გლუვი	რუხი-ყავისფერი	გარდამავალი ელფერი
გლუვი	ვარდისფერი	გარდამავალი ელფერი
გლუვი	მუქი რუხი-ყავისფერი	გარდამავალი ელფერი
გლუვი	კარამელის ფერი	გარდამავალი ელფერი
მოციმციმე	მოწითალო-ყავისფერი	გარდამავალი ელფერი
გლუვი	ოქროსფერ-ყავისფერი	კონტური
გლუვი	მუქი ყავისფერი	კონტური
გლუვი	ღვინისფერი	კონტური
გლუვი	შავი	კონტური

რჩევა:

ქუთუთოებზე არ დაიტანოთ დამატენიანებელი ჩრდილის წინ, იმიტომ რომ ის ანაოჭებს ქუთუთოს და ჩრდილი დიდხანს არ გაჩერდება.

თვალების ფორმა

თვალების გრიმირების ხელოვნებას რომ დაეუფლოთ, უნდა იცოდეთ, წასმული ფერი როგორ ეფექტს ახდენს თვალის ფორმაზე და მათ შორის მანძილზე. განვიხილავთ თვალის ფორმას და ელფერების წასმის ტექნიკას, რომელიც შემუშავებულია თვალის სილამაზის და ინდივიდუალობის ხაზგასასმელად.

თვალები, რომლებიც დაფარულია ქუთუთოების „კაპიუშონით“

თვალებს, რომლებიც დაფარულია ქუთუთოების „კაპიუშონით“, ზოგჯერ უწოდებენ „თვალებს საძინებელში“ იმიტომ, რომ ქუთუთოები ნახევრად ფარავენ თვალებს.

გრიმს თუ სწორად დავადებთ, თვალები „გაიღება“ და ვიზუალურად ქუთუთოები დაპატარავდება.

ჩვენი მიზანია, უკან „გადავწიოთ“ ჩამოწეული ქუთუთოები და თვალებს დავეხმაროთ, რომ უფრო გამოჩნდეს.

- არასდროს არ წაუსვათ მუქი ჩრდილები ქუთუთოებზე, რადგან ეს კიდევ უფრო დაამძიმებს მათ და საერთოდ დაფარავს თვალებს.
- ძალიან არ გაიღიავოთ წარბებს ქვევით ადგილები, თორემ ამით გამოკვეთავთ „კაპიუშონს“.





ძალიან მნიშვნელოვანი წარბების ფორმა, რადგან მისი ლამაზი რკალი ყურადღებას გადაიტანს „კაპიუშონიდან“.

გრიმის დადება

1. ათინათი: წაუსვით წარბებ ქვეშ და ზედა წამწამების ხაზის გასწვრივ.

2. გარდამავალი ელფერი: დაიწყეთ ზედა წამწამების ხაზის ძირიდან და გაატარეთ ფერი ზევით და მთელ "კაპიუშონზე". ეს უკან დახევს ქუთუთოს. არ დაგავიწყდეთ არეების არევა, სადაც ელფერი ხვდება ათინათის ფერს.

3. კონტური: დაიწყეთ წამწამების ხაზის ძირიდან და ფერი გაატარეთ ზევით და "კაპიუშონის" მიდამოზე.

ამ ფორმის თვალებისთვის საჭირო იქნება კონტურის ფერის ცოტათი გრძლად და ოდნავ ზევით გატარება, ვიდრე სხვა ფორმის თვალებისთვის. ეს "კაპიუშონის" არეს უკან დახევს. შემდეგ წამოდით ქვევით და კონტური გაატარეთ ქვედა წამწამების ქვეშ, რათა გამოკვეთოთ ქვედა წამწამების ხაზი.

არ გამოტოვოთ ეს მოქმედება!

"კაპიუშონიანი" თვალები მხოლოდ მოიგებს ქვედა და ზედა წამწამების მკვეთრად გამოკვეთილი ხაზებით.

ფართოდ დაშორებული თვალები

თუ თვალებს შორის მანძილი უფრო ფართოა, ვიდრე თვალების სიგანე, თვალები ითვლება ერთმანეთისგან ფართოდ დაშორებულად. თქვენი მიზანია ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს ისინი ახლო-ახლო არიან.

- ამ შემთხვევაში, ვიდრე სხვა ნებისმიერი ფორმის თვალის დროს, მეტად უნდა გაამუქოთ თვალების შიდა უპეები ცხვირის ფუძესთან ახლოს. ფერის ჩარღმავება დაეხმარება ამ მიდამოს ვიზუალურად უკან დაიხიოს, და თვალები გამოჩნდება ერთმანეთთან უფრო ახლოს დამჯდარი.
- მუქი ფერის წასმა დაიწყეთ გარე კუთხეებიდან შიგნისკენ და ფერი გაქენით ცხვირის მიმართულებით და ზევით, და არა შიგნით, რადგან გარედან გაქნა კიდევ უფრო "დააშორებს" თვალებს, თქვენი მიზანი კი თვალების ერთმანეთთან "დაახლოებაა".



გრიმის დადება:

1. ათინათი: წაუსვით წარბების და ქუთუთოების ქვევით.
2. გარდამავალი ფერი: დაიწყეთ ნაკეცის გარე კუთხიდან, გაატარეთ ფერი თვალის შიდა კუთხისკენ. არ დაგავიწყდეთ რამდენიმე ფენის წასმა შიდა კუთხეებში, რომ ფერი გააღრმაოთ და ვიზუალურად დაეხმაროთ თვალებს "დაახლოებაში".
3. კონტური: თანდათანობით დაიწყეთ მოძრაობა გარე კუთხიდან, ფუნჯი გაატარეთ ზედა წამწამების ხაზზე და ადით ზევით თვალის ნაკეცზე. ასევე გაატარეთ

ფუნჯი ქვედა წამწამების ხაზის ქვევით, ყურადღება მიაქციეთ, რომ ფერი არ გასცდეს თვალის გარე კუთხეს.

ამობურცული თვალები

თუ თვალები ძალიან მოცულობითია და გამოიკვეთება სახის ფონზე ანუ ე. წ გამობურცული თვალები - გრიმის დადების მიზანია, ვიზუალურად "ხელი ჰკრათ" თვალებს და უკან "დახიოთ". ამას მივაღწევთ შუქ-ჩრდილის ეფექტის შექმნით ჩრდილის სამი ელფერის დახმარებით. ყველაზე მუქი ელფერი იდება წამწამის ხაზზე, ღია - წარბებთან ახლოს.

- არასოდეს არ გააღიავოთ ქუთუთოები, თორემ თვალები უფრო გამობურცული გამოჩნდება.

- ქუთუთოზე წასმული უფრო ღრმა ან კონტურის ელფერი მათ შეამცირებს და უკან დახევს.

გრიმის დადება

1. ათინათი: წაუსვით მხოლოდ წარბის ქვეშ.
2. გარდამავალი ფერი: დაიწყეთ ზედა წამწამების ხაზის ძირიდან და ადით ზევით და დაიდეთ მთელ ქუთუთოზე, დაამთავრეთ წარბის ქვევით წასმით.
3. კონტური: ისევ დაიწყეთ წამწამების ხაზის ძირიდან და წაუსვით ფერი მთელ ქუთუთოზე და ზევით, ნაკეცში. შემდეგ დაადეთ კონტურის ფერი ქვედა წამწამების ხაზის ქვეშ.



ღრმად ჩამჯდარი თვალები

ასეთი თვალები ღრმად არის ჩამჯდარი თვალის ფოსოებში. წარბზედა რკალი უფრო ძლიერ გამოიკვეთება, ვიდრე სხვა ნებისმიერი ფორმის თვალების დროს. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია თვალები წინ "წამოვწიოთ" და უფრო შესამჩნევი გავხადოთ.

- მუქი ქუთუთო არ გამოდგება ასეთი ფორმის მქონე თვალებისთვის. თქვენ რაც შეიძლება ძლიერ უნდა გაიღიავოთ ღრმად ჩამჯდარი თვალები, რომ ისინი წინ "წამოვიდნენ".
- მუქი ნაკეციც არ არის საჭირო ამ ფორმის თვალებისთვის. ბუნებამ უკვე იზრუნა ამაზე და არ არის აუცილებელი მისთვის ხაზის გასმა.
- აზრი არ აქვს წარბქვეშა ადგილის გაღიავებას, რადგან ის ისედაც ჩანს.
- თუ ხმარობთ თვალის ლაინერს, ამ შემთხვევაში ის უნდა წაისვათ წამწამებთანრაც შეიძლება ახლოს, ხოლო თვითონ ხაზი უნდა იყოს

ძალიან წვრილი. როცა შეეცდებით თვალების გამოჩენას, სქელი ხაზი მის საწინააღმდეგოდ იმუშავებს, განსაკუთრებით ზედა ქუთუთოზე.



გრიმის დადება

1. ათინათი: დაიტანეთ ქუთუთოზე ნაკეცში.
2. გარდამავალი ელფერი: გადაატარეთ ფერი ნაკეცს ზევიდან და შემდეგ წარბის ქვევით ადგილას, რათა ვიზუალურად "მოვიშოროთ" წარბზედა რკალი.
3. კონტური: წაუსვით წარბზედა რკალის გარე კუთხეში, რომ "ხელი ჰკრათ", "მოიშოროთ" ის. კონტურის ელფერი წაუსვით ქვედა წამწამების ხაზის ქვევით, რომ თვალებს ფორმა მისცეთ.

რჩევა:

არასოდეს არ გაამუქოთ ქუთუთო, იმიტომ რომ ის თვალს დაფარავს, და თვალები უფრო პატარა გამოჩნდება.

თვალები რომ უფრო მეტყველი გავხადოთ ისარგებლეთ ჩრდილების უფრო ღია ფერებით.

ახლო-ახლო დამჯდარი თვალები

საშუალოდ თვალებს შორის მანძილი დაახლოებით თვალის სიგანის ტოლია. თუ თვალები მდებარეობენ ერთმანეთთან უფრო პატარა მანძილზე, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეხება გაქვთ ახლო-ახლო დამჯდარ თვალებთან. თქვენი მიზანია შექმნათ იმის ილუზია, რომ თვალები ერთმანეთისგან უფრო დაშორებულები არიან.

- შიდა კუთხეები და ცხვირის ახლოს მდებარე მიდამო უნდა იყოს რაც შეიძლება ღია ფერის, რომ ვიზუალურად "დააშოროთ" თვალები.
- არ დაგავიწყდეთ მუქი ტონების კონცენტრირება თვალების გარე კუთხეებზე.



გრიმის დადება

1. ათინათი: იდება ქუთუთოზე და წარბის ქვევით, ასევე შიდა კუთხეში, სადაც წამწამები იწყება.
2. გარდამავალი ფერი: დაიწყეთ ნაკეცის გარე კუთხიდან და ფერი გაატარეთ წარბის შიდა კუთხის მიმართულებით, მაგრამ ცხვირამდე არ მიხვიდეთ.
3. კონტური: წაუსვით ზედა წამწამების ხაზის ძირის გავლით ზევით, ნაკეცის გარე არეში. დაადეთ ელფერი ქვევით ქვედა წამწამების ხაზის ქვეშ, რომ თვალები გამოკვეთოთ, მაგრამ არ მიხვიდეთ შიდა კუთხეებამდე. წაუსვით ათინათი შიდა კუთხეებში, რათა ვიზუალურად დააშოროთ თვალები.

რჩევა:

თვალები რომ დააშოროთ და შექმნათ დიდი თვალების ილუზია, შეგიძლიათ წაუსვათ თეთრი ან ჩალისფერი ლაინერი თვალის შიდა "სველი ქსოვილის" გარშემო (შიდა რკალურა - "აბადოკი").

"თავდახრილი" თვალები

"თავდახრილ" თვალებს ახასიათებთ თვალების გარე კუთხეების დახრილობა. თქვენი მიზანია, მიაღწიოთ იმას, რომ ჩანდეს, თითქოს გარე კუთხეები ზევითაა მიმართული და არა ქვევით.

- ამის მიღწევის საუკეთესო ხერხია - შექმნათ "გახელილი" თვალების შთაბეჭდილება. ეს ნიშნავს, რომ ფერს არ უსმევთ გარე კუთხის ბოლომდე, სადაც თვალი ძირს იხრება. ასე ტოვებთ და სინამდვილეში ქმნით შთაბეჭდილებას, რომ თვალმა "აიწია".

- ტუშის წასმის დროს ყურადღება გადაიტანეთ შუა და შიდა წამწამებზე. თვალის გარე კუთხეებზე ხაზგასმული წამწამები მხოლოდ გამოკვეთავენ დახრილობას.
- შეამოწმეთ, რომ წარბის რკალი ოდნავ აიწიოს ზევით გარე კიდესთან, - არასოდეს არ გამოკვეთოთ ქვევით მიმავალი რკალის ნაწილი.



გრიმის დადება

1. ათინათი: იდება წარბის ქვევით და ქუთუთოზე.
2. გარდამავალი ელფერი: დაიწყეთ წასმა გარე კუთხიდან და წადით გარე კუთხიდან ოდნავ შიგნით, ფერი გადაატარეთ ნაკეცს ნაკეცის შიდა კუთხეში.
3. კონტური: თანდათან იმოძრავეთ გარე კუთხიდან, წაუსვით ფერი ზევით და ნაკეცში. შემდეგ წაუსვით კონტურის ფერი ქვედა წამწამების ხაზის გასწვრივ და ისევ არ დაგავიწყდეთ თანდათან იმოძრაოთ გარე კუთხიდან შიგნით.

რჩევა:

თუ გსურთ ფერის წასმა ქვედა წამწამებზე, ტუშის წასმა დაიწყეთ თვალის გარე კუთხიდან დაახლოებით სამი მილიმეტრის

წარბები

წარბების ფერის არჩევისას უპირატესობა მიანიჭეთ ან ბუნებრივ ელფერს ან ერთი ტონით ღიას. ყურადღება მიაქციეთ, რომ არ აგერიოთ წარბების ფანქარი თვალების ფანქარში - ეს ერთი და იგივე არ არის.
წარბების ფანქარი, როგორც წესი, უფრო მკრთალია, არ პრიალებს და გააჩნია ოდნავ ცვილნარევი ტექსტურა, ვიდრე თვალის ფანქარს.

გამოიყენეთ წარბების ფანქარი: წასმა ხდება მოკლე, მსუბუქი, ბეწვის მსგავსი ხაზების იგივე დახრით, როგორც ნამდვილი თმის ღერები იზრდებიან წარბის არეში. არასოდეს არ წაუსვათ სქელი, მკვეთრი ხაზი. მოკლე, ბუმბულისებრი ხაზები წარბების მოკლე ბეწვების იმიტაციას აკეთებენ.

წარბებისთვის ბუნებრივი იერის მისაცემად ასევე გამოდგება წარბების პუდრი. ის წაუსვით ირიბად წამახვილებული პატარა ფუნჯით მოკლე ბუმბულივით ხაზებზე თმების ბუნებრივი ზრდის მიმართულებით.

იმათთვის, ვისაც აქვს ნაწიბურები (”შრამები”) ან საერთოდ არა აქვს წარბები, აუცილებელია კრემით წარბის ხაზის დახატვა. უბრალოდ კრემი დაიტანეთ მაგარი, ირიბად წამახვილებული პატარა ფუნჯით და დახატეთ მოკლე ბუმბულისებრი ხაზები. ყოველთვის უმჯობესია კრემის მერე წაუსვათ წარბების პუდრი კრემის დასამაგრებლად, რომ მთელი დღის განმავლობაში გაძლოს.

როგორი ხერხიც არ უნდა გამოიყენოთ, ყოველთვის წარბებზე მუშაობა დაამთავრეთ წარბების ფუნჯის გადასმით ზევით და გარეთ. თუ გსურთ, შეგიძლიათ ბოლოს გადაუსვათ წარბების ტუში. ის მოქმედებს როგორც თმების ლაქი. წარბების ოპტიმალური რკალის შესაქმნელად.

რჩევა:

ხმარების წინ ყოველთვის გათალეთ ფანქარი. რაც უფრო მახვილი წვერი აქვს ფანქარს, მით უკეთესია შედეგი.

წარბების ფანქარი ან პუდრი შეგიძლიათ იხმაროთ ცალ-ცალკე, მაგრამ შეგიძლიათ გამოიყენოთ კომბინაციაში. თუ ერთად გამოიყენებთ, უფრო დიდხანს გაძლებს.

თვალები

თვალებისთვის ფორმის მიცემას სჭირდება სამი ელფერი: ათინათი, გარდამავალი ელფერი და კონტური.

ძირითადი წესი ასეთია:

ყველაფერი, რასაც აღიავებთ, წინ წამოიწევს ან ხდება უფრო შესამჩნევი

და ყველაფერი, რასაც ამუქებთ ან კონტურს ავლებთ, ღრმად მიდის ან უკან დაიხევს. სამი ელფერის გამოყენება საშუალებას მოგცემთ შეასრულოთ შეუმჩნეველი ვიზუალური ხრიკი, რომელიც გამოავლენს ყველაზე ლამაზ ნაკვთებს და ყურადღებას თვალებზე გადაიტანს და არა ქუთუთოებზე.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი ფერი, რომელიც შეგიძლიათ აირჩიოთ, ყველამ უნდა დაიცვას სამი ელფერის გამოყენების წესი საუკეთესო შედეგის მისაღწევად.

ათინათი

ათინათის ელფერი ყველაზე ბაცია თვალის ჩრდილების ამ სამი ფერიდან. ის ნაკლებად ან მეტად შესამჩნევია თქვენს მიერ არჩეული ფუძის ელფერთან შედარებით. გლუვი - მკრთალი ათინათი იძლევა ნაზ, შეუმჩნეველ ეფექტს, მოციმციმე უფრო მკვეთრად გამოიყურება.

მოციმციმე ათინათს ღრმად ჩამჯდარ თვალებზე იყენებენ, იმიტომ რომ ის უფრო ახელს თვალებს, ვიდრე გლუვი.

ამის გარდა, რაც უფრო ღიაა ათინათი, უფრო ეფექტურად გამოიყურებით. უფრო რბილი ან ხორცისფერი ელფერი ნაკლებად თვალში საცემი იქნება. ათინათი უნდა დაიტანოთ წარბის ქვეშ და ქუთუთოზე.

გარდამავალი ელფერი

გარდამავალი ელფერი ყველაზე მთავარია. ეს პირველი ნაბიჯია ფერების შერევის პროცესში და ქუთუთოს ნაკეცის გაფორმებაში.

ეს ფერი ყველაზე შეუმჩნეველი უნდა იყოს - თქვენი კანის ფერის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. ცვალეთ ათინათის და კონტურის ფერი ხშირად, ვიდრე გარდამავალი ფერი. უმრავლეს შემთხვევაში უკეთესი იქნება, თუ გარდამავალი ელფერი იქნება არა პრიალა, მაგრამ ყოველთვის არა. უბრალოდ სიმქრქალე სახეს ზოგადად აძლევს ბუნებრივ იერს და გრიმიც შეუმჩნეველია.

გარდამავალი ელფერის წასმა დაიწყეთ ქუთუთოს გარე კუთხიდან, ისე რომ მთელი არე მაქსიმალურად დაფარული იყოს გარდამავალი ელფერით.

მსუბუქად გადაატარეთ ფუნჯი ნაკეცებს ქუთუთოს შიდა კუთხისკენ. თვალის ფორმის შესაბამისად

შესაძლოა, არ მოგიწიოთ ფერის წასმა მთლიანად ქუთუთოზე თვალის შიდა კუთხემდე.

მკაფიო ნაკეცის მისაღებად უნდა წაუსვათ გარდამავალი ელფერის მეტი ფენა და არ დაგავიწყდეთ აურიოთ ფერები ათინათთან შეხვედრის დროს.

თუ ცოტა დრო გაქვთ, უბრალოდ გადაატარეთ გარდამავალი ფერი ქუთუთოებს, რომ ბუნებრივად გამოიყურებოდეს. ეს თვალებზე გადაიტანს ყურადღებას, მაგრამ ვერ გამოკვეთავს და ვერ მისცემს თვალებს ფორმას.

კონტური

კონტურის ფერი ყველაზე ღრმაა. არაა აუცილებელი ის მუქი იყოს, შეიძლება იყოს მეტალის ეფექტით (”მეტალიკი”), მაგრამ თვალის ჩრდილების სამი ფერიდან ის უნდა იყოს ყველაზე ღრმა. კონტურის ფერები ეს ის ფერებია, რომლებიც შეიძლება ცვალოთ როგორც მოგესურვებათ, ხასიათის მიხედვით.

აღმოაჩენთ, რომ მაკიაჟის ხაზების უმრავლესობა გვთავაზობს სწორედ უფრო მეტ კონტურის ფერებს, რადგან სწორედ ისინი იქცევენ ყურადღებას ყველაზე მეტად და უფრო საინტერესოა მაკიაჟისთვის.

კონტურის ელფერის წასასმელად გადაატარეთ ფუნჯი ზედა წამწამების ხაზს გარე კუთხიდან შიგნით. შემდეგ ადით ზევით ნაკეცის გარე ნაწილამდე. ელფერი მხოლოდ შიგნით ისმევა.

ამგვარად, კონტურის ფერი ისმევა გარდამავალი ელფერის ზემოდან და ფერები ნარნარად გადადის ერთმანეთში. ასევე შეგიძლიათ კონტურის ელფერი დაიტანოთ ქვედა წამწამების ხაზის ქვეშ, რომ გამოკვეთოთ ფორმა ან შეურიოთ ფანქრის ხაზს.

მეტი გამომსახველობისთვის შეგიძლიათ გადაუსვათ რამდენიმე ფენა, რომ მისი ინტენსივობა გაზარდოთ.
ჩრდილის დამატებს ამ შე,თხვევაში ხდება უმცირესი პორციებით. რადგან მეტი ეფექტის მისაღებად ყოველთვის შეგიძლიათ კიდევ დაამატოთ ფერი, მაგრამ, თუ უკვე დაამატეთ, მერე ძნელია მისი მოშორება.
შეგიძლიათ ასევე შექმნათ „ბუნდოვანი“ ეფექტი კონტურის ფერის წასმით მთელ ქუთუთოზე, უნდა დაიწყოთ წამწამების ხაზიდან და ურიოთ მას, რაც უფრო ზევით ადიხართ.
ნამდვილი ”ბუნდოვანი” რომ მიიღოთ, შერევა უნდა მოხდეს საკმაოდ ინტენსიურად, თორემ ჩრდილები ძალიან მკვეთრად გამოჩნდებიან.

თვალების გამოკვეთა შეგიძლიათ სხვადასხვა ხერხით: ფანქრით, თხევადი ლაინერით, ლაინერი-სტიკით, ლაინერი-კრემით ან პუდრით.

თვალის დასახატი ფანქარი შეიცავს სილიკონს, რომლის წყალობითაც გრიფელი თავისუფლად დასრიალებს და იოლად ხდება შერევა. დარწმუნდით, რომ სილიკონი არ არის ძალიან ბევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში ფერი გაიდღაბნება და ფორმის მიცემის მაგივრად დასვრის კანს თვალების ქვევით.

თვალის შეღებვა იწყება ზედა ქუთუთოს გარე კუთხიდან მოკლე ბუმბულისებრი შტრიხების გაკეთებით და მათი შეერთებით ერთ ხაზად რაც უფრო უახლოვდებით ცხვირს. მერე გაშალეთ შტრიხები პატარა ფუნჯით. იმავე ფუნჯით წაუსვით იგივე ფერის ფხვიერი ჩრდილი იმავე ადგილას, რომ უფრო ბუნებრივი იერი მიიღოს. ეს იმისთვის კეთდება, რომ ფანქრის ხაზი შევარბილოთ და ფერი დავამაგროთ. ამის გარდა ის დაგეხმარებათ შესაძლო შეცდომების გასწორებაში, რომლებიც წარმოიქმნება ფანქრის შტრიხების შეერთებისას.

უფრო ეფექტური საღამოს მაკიაჟის გაკეთებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ფანქარი თვალის ქვევით და ზედა წამწამების ხაზის გასწვრივ. ზედა წამწამების დახატვისას, ყურადღება მიაქციეთ, რომ ხაზი თანდათან გასქელდეს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ უახლოვდება თვალის გარე კუთხეს. თვალების ქვევით ფერი უნდა იყოს ყველაზე ინტენსიური გარე კუთხესთან და თანდათან გაქრეს შიდა კუთხესთან. ერთნაირი სისქის ხაზი მთელ ქუთუთოზე და მის ქვევით თვალს დახუჭავს და ვიზუალურად შეამცირებს მას.

დღის მაკიაჟისთვის თვალის ფანქარი ძირითად შემთხვევებში თვალის ქვევით არ გამოიყენება, თუმცა ესეც ინდივიდუალურია და კლიენტის მოთხოვნის მიხედვით უნდა მოიქცეთ. მის ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ფუნჯი ჩრდილისთვის, რომ მიიღოთ რბილი, უფრო ბუნებრივი იერი. ხოლო თუ გამოვიყენებთ ფანქარს დღის საათებში, არ დაგავიწყდეთ მისი დარბილება ზევიდან პუდრის წასმით, რომ ხაზი ძალიან არ ყვიროდეს.

ზოგიერთ ადამიანს წამწამებს და თვალებს შორის კანის რკალი უფრო შესამჩნევი აქვს - ეს დამოკიდებულია თვალის ფორმაზე. თქვენ შეგიძლიათ ეს არე ფანქრით ან მუქი ჩრდილებით გაამუქოთ, რომ თვალის ფერი გამოკვეთოთ.

ფრთხილად წაუსვით შავი ჩრდილი წამწამების ძირში პატარა ფუნჯის წაწვეტებული ბოლოთი. ეს გამოკვეთავს თვალების ფორმას, ხოლო წამწამები უფრო სქელი ჩანს და ამ დროს თვალები არ გამოიყურება "ჩახატულად".

შენიშვნა: იმ ადგილას, რომელსაც პირველად მოხვდება ფუნჯი, ყველაზე მუქი ფერი დაედება, იმიტომ რომ ამ დროს წვერზე ყველაზე მეტი ჩრდილია - ეს უნდა გამოასწოროთ ძალიან ფრთხილი მოძრაობებით.

რადგან შერევა აუცილებელია ლამაზად შეღებილი თვალების ზოგადი შთაბეჭდილების შექმნისთვის, პროცესის აუცილებელ ელემენტად ითვლება ჩრდილებისთვის მაღალხარისხიანი ფუნჯის ქონა, რადგან სწორედ მათი დახმარებით შეიძლება ლამაზი ფორმის მიცემა და საჭირო ეფექტების მიღება.

კონსილერი და პუდრი ქუთუთოებზე უნდა წაუსვათ ჩრდილის წასმის წინ, რადგან ფერი უკეთ ირევა და მეტხანს ძლებს.

რჩევა:

ყოველთვის კარგად გათალეთ ფანქარი, რომ წვერი მახვილი იყოს და ხაზი ზუსტად გაუსვათ.

თხევადი ლაინერი - ყველაზე დიდხანს სძლებს და ზოგიერთი ფირმა პროდუქტს უშვებს წამახვილებულ ფუნჯთან ერთად. თხევადი ლაინერი აკეთებს ყველაზე ნათელ, ეფექტურ ხაზს. არასდროს არ წაუსვათ კლიენტს თხევადი ლაინერი თვალის ქვეშ, თუ არ გინდათ შექმნათ არაბუნებრივი და უხეში მაკიაჟის შთაბეჭდილება.

ზედა ქუთუთოზე თხევადი ლაინერით გაუსვით გრძელი ხაზი, დაიწყეთ თვალის შიდა კუთხიდან და წადით გარე კუთხისკენ და ბოლოში ოდნავ ასწიეთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ხაზი იყოს რაც შეიძლება წვრილი თვალის შიდა კუთხეში და თანდათან გაამსხვილეთ გარე კუთხისკენ. თხელი ლაინერის წასმა ყველაზე რთულია, მაგრამ გარკვეული პრაქტიკის მერე მიეჩვევით ამის კეთებას.

ცხიმიანი ლაინერი-კრემი ასევე ისმევა სველი ფუნჯით და იგივე წესით, როგორც თხევადი ან "სტიკის" ფორმის.

ლაინერი-სტიკს გააჩნია პუდრის ფორმა. ჯერ დაასველეთ ფუნჯი, მერე გაუსვით პუდრს, რომ ლაინერი დასველდეს და ამის შემდეგ დაიტანეთ თვალზე როგორც თხევადი ლაინერი.

მშრალი ლაინერი-პუდრი ან ჩრდილები, რომლებიც გამოიყენება შესაღებად, თვალებს ანიჭებენ ბუნებრივ იერს და მათთან მუშაობა ადვილია. შეგიძლიათ გამოიყენოთ მშრალად ან დაასველოთ, როცა გინდათ შთაბეჭდილების გაძლიერება. თუ გამოიყენებთ მშრალად, ფუნჯით გაატარეთ წვრილი ხაზი წამწამების გასწვრივ თვალის გარე კუთხიდან შიდა კუთხისკენ. თუ პრაქტიკაში განსაკუთრებით მოგეწონებათ სველი პუდრის გამოყენება, დაასველეთ ფუნჯი და დაიტანეთ როგორც თხევადი პუდრი, რომელიც გამოიყენება სველ მდგომარეობაში, იგივე ეფექტს იძლევა, როგორსაც თხევადი, ოღონდ მისი წასმა ბევრად ადვილია.

ტუჩები

როცა საქმე ეხება ტუჩსაცხის ფერის არჩევას, ტუჩების ზომა დიდ როლს თამაშობს. მარტივი ცნებები: მსხვილი ლამაზი ტუჩების შემთხვევაში, შეგიძლიათ აირჩიოთ უფრო მუქი ფერები, რადგან ისინი ავსებენ კანის ფერს. თხელ ტუჩებზე უკეთ იყურება ღია ფერის ტუჩსაცხი (”პომადა”), რადგან ის ტუჩებს უფრო მსხვილად აჩენს.

კანის ფერი ძალიან მნიშვნელოვანია ტუჩსაცხის ფერის არჩევისას.

სპილოს ძვლის ფერი კანის მქონე ქალბატონებმა არ უნდა იხმარონ შოკოლადისა და ყავისფერ ტონალობებში ფერის ტუჩსაცხი, რადგან ის აბერებს და არაბუნებრივად ჩანს - ასეთი კანის მქონე ქალბატონებმა არასოდეს არ უნდა იქონიონ ბევრი ყავისფერი ტუჩებზე. ბრინჯაოსფერი კანის ქალბატონებმა არ უნდა იხმარონ მეტალისებრი ელფერის მკრთალი ტუჩსაცხი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ის გამოჩნდება ნაცრისფრად და არაბუნებრივად.

გთავაზობთ ცხრილს თვალსაჩინოებისათვის - კანის ფერის მიმართებაში ტუჩსაცხის სწორი არჩევანი.

სახის ფერი	ტუჩსაცხი
ღია ვარდისფერი	ტუჩის პრიალა საცხი, ღია ატმისფერი, თაფლისფერი, ჩალისფერი.
შუალედური	გარდამავალი ვარდისფერი ელფერები, ყავისფერი - ოქროსფერი ელვარებით კარამელის ფერი, ნაზი წითელი, გარდამავალი გარგარის ელფერი, ატმის ფერი.
ზეთისხილის ფერი და ნარუჯი	ხასხასა წითელი, ღრმა ვარდისფერი, კენკრის ფერი, ზამბახის („ირისის“) ფერი, წითელი ხის ფერი, მუქი გარგარის ფერი, მოყავისფრო-წითელი.
მუქი	მოყავისფრო-წითელი, მუქი კენკრის ფერი, ე.წ. ფუქსია ოქროსფერ-ჩალისფერი.

იგივე ცხრილის წარმოდგენა რომ შეძლოთ კონკრეტული ფერების მიხედვით გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ფერთა გამას.
კანის ფერის მიხედვით პომადის შერჩევისას იხელმძღვანელეთ ამ ცხრილით.

ტუჩსაცხის არჩევისას უნდა გახსოვდეთ ორი რამ: მუქი ფერის პომადა აბარებს უფრო ძლიერ, ვიდრე სხვა ნებისმიერი კოსმეტიკური პროდუქტი.

და უფრო თბილი, ნათელი ტუჩსაცხი ყოველთვის აახალგაზრდავებს, იმიტომ რომ ის გამოკვეთავს კანის თბილ ტონებს და აცოცხლებს სახეს.

ტუჩსაცხის სილამაზე იმაში მდგომარეობს, რომ ის აცოცხლებს სახეს და ანიჭებს ჯანსაღ, ნორჩ იერს.

კანის ფერი და პომადა

ღია ფერის კანი

შუალედური (გარდამავალი) კანი

ზეთისხილისფერი კანი

მუქი კანი

პომადის არჩევისას ასევე მნიშვნელოვანია თმის ფერიც

– ქერა, ლურჯ ან მწვანეთვალება ქალბატონებს, ღია ფერის კანით – ვარდისფერი ყველა ტონალობის, ქლიავისფერი და მარჯნისფერი პომადა მოუხდებათ.

თაფლისფერთვალება ქერა ქალბატონებს ნაზი ვარდისფერი და წითელი ფერის პომადა დაშვენდებათ და რა თქმა უნდა, მათ თავი უნდა შეიკავონ მყვირალა ფერების პომადებისგან – ქერა თმებთან, ეს ვულგარული და ზედმეტად გამომწვევია.

ჟღალი ფერის თმის მქონე ქალებს ქლიავისფერი, მუქი ლურჯი, ყავისფერი და მარჯნისფერი უხდებათ. თავი შეიკავეთ გაჯერებული ვარდისფერისა და ნარინჯისფერი პომადის წასმისგან.

წაბლისფერთმიან ქალბატონებს, მოთეთრო-მოვარდისფრო კანით – ვარდისფერი, იისფერი და ღია ყავისფერი პომადები მოუხდებათ.

შავგრემან მანდილოსნებს, მუქი ფერის თვალებით და მუქი ფერის კანით – ქლიავისფერი, შოკოლადისფერი, ნარინჯისფერი და მუქი წითელი ფერის პომადა უხდებათ.

პომადის შერჩევისას არსებობს კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი – კბილების ფერი. მოყვითალო კბილებთან დაუშვებელია იასამნისფერის ნებისმიერი ტონალობა, ყავისფერი და მუქი წითელი ფერის პომადა. უმჯობესია მონარინჯისფრო ტონალობები, ღია წითელი და ნატურალური ვარდისფერის ტარება.

ტუჩები რომ ლამაზად გამოჩნდეს, ტუჩსაცხის წასმის წინ ყოველთვის გამოიყენეთ ტუჩის ბალზამი ან დამატენიანებელი. ეს ეხმარება ტუჩის კონტურს და ტუჩსაცხს დაჯდეს თანაბრად და სწორად. უბრალოდ ჯერ დაადეთ ტუჩის ბალზამი და ოდნავ დაასველეთ.

ტუჩის ფანქარი ტუჩსაცხს არ აძლევს საშუალებას კიდეებში წაიშალოს. როცა ტუჩებზე კონტურს უსმევთ, დამატებით გადაუსვით კონტური ტუჩებზე, რადგან, როცა ტუჩსაცხი წაიშლება, მარტო კონტურის ხაზი არ დარჩეს ტუჩების ირგვლივ. კონტურის წასასმელად და გასაშლელად დაგჭირდებათ პატარა ფუნჯი.

ყურადღება მიაქციეთ ტუჩების მთელ მოცულობას. ზედმეტი არ მოგივიდეთ, თუ უსვამტ არაბუნებრივი ფერის ტუჩსაცხს და ზედმეტად გადახვალთ ბუნებრივი კონტურის ხაზს, ეს თვალში საცემი იქნება.

ფუძე

აუცილებელია თუ არა ტუჩის კონტურის წასმა?

ეს დამოკიდებულია პიროვნების სურვილზე, მაგრამ არსებობს სამი მოსაზრება, რომლებიც უნდა გახსოვდეთ:

1. ტუჩის კონტური გამოკვეთავს პირის ხაზს და ცვლის ტუჩების ფორმას, თუ ისინი არასწორია.
2. ტუჩის კონტური არ აძლევს საშუალებას ტუჩსაცხს გადმოვიდეს კანზე.

3. ტუჩის კონტური ეხმარება ტუჩსაცხს უფრო დიდხანს დარჩეს ტუჩზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯერ კონტურს ისმევთ და მერე "პომადას".

კორექცია

ტუჩის კონტური რომ სწორად წაუსვათ, დაიწყეთ ზედა ტუჩის ნაკეცის შუიდან. შემდეგ გარე კუთხეებიდან წამოდით მოკლე შტრიხებით და შეხვდით ზედა ტუჩის ხაზს შუაში.

ქვედა ტუჩზე ჯერ გამოყავით ტუჩის ქვედა ნაკეცი, მერე გარე კუთხეებიდან წამოდით ცენტრისკენ მოკლე შტრიხებით.

ახლა შეგიძლიათ წაუსვათ ტუჩსაცხი.

შეგიძლიათ გამოიყენოთ პატარა ფუნჯი ან ტუბი, მაგრამ თუ ფუნჯით უსმევთ ტუჩსაცხს, ის უფრო კარგად გამოჩნდება და მეტხანს გაჩერდება. თუ გინდათ ფერის გაძლიერება, პირდაპირ ტუბიდან წაუსვით, მაგრამ მაშინ გაგიძნელდებათ პატარა ზონების დაფარვა.

გავზარდოთ ტუჩები ვიზუალურად

ეს მოთხოვნა სალონური მაკიაჟის კეთებისას თითქმის ყოველთვის ისმის, ამიტომ აუცილებელია რომ იცოდეთ როგორ შეიძლება ტუჩის ვიზუალურად გაზრდა კოსმეტიკის საშუალებით:

1. ჯერ დატუშეთ კონსილერით ან ფუძით ტუჩების ბუნებრივი ხაზი, რომელზეც შემდეგ შეგიძლიათ დახატოთ ახალი კონტური ტუჩების ფორმის გასაუმჯობესებლად.

2. ბუნებრივი ფერის ტუჩის ფანქრის მეშვეობით ოდნავ დააგრძლეთ ტუჩის ბუნებრივი კონტური ზევით და ქვევით. ძალიან არ გადახვიდეთ კონტურის იქით - მხოლოდ ოდნავ: ამაშია თქვენი მიზანი.

3. ახლა ტუჩები მთლიანად დაფარეთ კონტურით, დატოვეთ მხოლოდ შუა ადგილი ზედა და ქვედა ტუჩზე.

4. აიღეთ ოდნავ ღია ფერის კონსილერი და დაიტანეთ ქვედა და ზედა ტუჩის შუა ადგილებზე. როცა ტუჩსაცხს უსმევთ, ეს არე უფრო ღია ფერის იქნება და ტუჩები უფრო მოცულობითი გამოჩნდება.

5. პროცესი დაასრულეთ ტუჩსაცხის ზევით ბაცი მბზინავი ტუჩსაცხის (ბლესკის) წასმით ტუჩების შუაში, რომ ისინი უფრო მსხვილად გამოჩნდნენ.

<u>მეორე ხერხი</u> : ტუჩები უფრო მოცულობითი რომ გავხადოთ ვმუშაობთ ტუჩსახის ორი დამატებითი ელფერის მეშვეობით: უფრო ღიათი და უფრო მუქით.

ტუჩები ჯერ შემოხაზეთ ბუნებრივი ფერის ფანქრით. შემდეგ უფრო მუქი ელფერის ტუჩსაცხი გადაუსვით ტუჩების გარე კიდეებზე, გაქენით და აურიეთ კონტურის ხაზს. შემდეგ უსვამთ უფრო ღია ელფერის ტუჩსაცხს ტუჩის შიდა ნაწილზე და ურევთ

უფრო მუქ ელფერს. ბოლოს უსვამთ ღია, მბზინავ ტუჩსაცხს ტუჩის შუაში, რომ უფრო დიდი მოცულობის შთაბეჭდილება შეიქმნას.

ფრიად მნიშვნელოვანია სწორად შეარჩიოთ ტუჩსაცხის შემადგენლობა სასურველი ეფექტის მისაღებად:

პრიალა ყოველთვის იპყრობს ყურადღებას.

"პრიალა ტუჩსაცხი "ტუჩებს ამსხვილებს და აახალგაზრდავებს.

თუ ტუჩები მიდრეკილია სიმშრალისკენ, არ იხმაროთ მქრქალი ტუჩსაცხები. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შიგთავსი უკეთ ძლებს, ის ტუჩებს გაუწყლოებულ იერს ანიჭებს.

ყველაზე უსაფრთხო ვარიანტია - კრემი, იმიტომ რომ ეს შიგთავსი, როგორც წესი, კარგად ერგება ნებისმიერ სიტუაციას.

ატარეთ ექსპერიმენტები ტუჩსაცხის ფერზე, ნუ შეგეშინდებათ მისი. ფერის შეცვლა იოლია. უბრალოდ გახსოვდეთ, რომ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ პირის ზომა ტუჩსაცხის ფერის არჩევისას.

მუქი ფერები ტუჩებს აპატარავებენ.
ბაცი ფერები ადიდებენ მოცულობას.

ბოლო მომენტი, რომელიც უნდა გახსოვდეთ: იმის იმედი არ გქონდეთ, რომ ტუჩსაცხი მთელი დღე გაძლებს. შიგთავსი, რომელიც დიდხანს ძლებს, ტუჩებს ანიჭებს მშრალ იერს. ეს პროდუქტები შეიცავენ მღებავ ნივთიერებებს, რომლებიც (თუ ტუჩები არ არის ახალი გასუფთავებული) არა თანაბრად ჯდება ტუჩების მშრალ არეებზე, ასე რომ ტუჩსაცხი ჩანს ლაქასავით, ხოლო ტუჩები გაუწყლოებული.

ტუჩსაცხმა მეტხანს რომ გაძლოს, კონტური უნდა წაუსვათ ტუჩის მთელ ზედაპირზე. ტუჩსაცხი დაიტანოთ ზევიდან, მერე წაშალოთ და ხელახლა წაუსვათ.

დახვეწილი ლოყები

მაკიაჟის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ლოყების შეფერვა.

რუჟი და „ბრონზატები“ ერთად აცოცხლებენ სახეს და ანიჭებენ მას ბუნებრივ, ჯანსაღ ბრწყინვალებას.

ასეთი ლამაზი ეფექტის მიღწევა წარმოადგენს ორსაფეხურიან პროცესს: ლოყებზე რუჟის წასმამდე სასურველია სახეზე „ბრონზატის“ წასმა, იმიტომ რომ ის კანს მატებს სითბოს და აძლიერებს მის ბუნებრივ სილამაზეს, თან აქვს გამაახალგაზრდავებელი ეფექტი.

გაითვალისწინეთ:

- არასოდეს არ წაუსვათ რუჟი ცხვირიდან ორი თითის დაშორებაზე უფრო ახლოს. თქვენი თითის სისქისგან გამომდინარე რუჟი შეიძლება აღმოჩნდეს სახის გვერდებზე და არა ლოყებზე.

- რუჟი არასდროს არ წაუსვათ ცხვირის წვერის ქვევით. ასე წასმულმა რუჟმა შეიძლება გააფუჭოს ეფექტი და აღმოჩნდეს ულამაზოდ მომრგვალებული ლოყების ზევით.
- რუჟი დაიტანეთ გადმოტრიალებული სამკუთხედივით, რომ სახეს მეტი ფორმა მისცეთ. სახის გასაღიავებლად და კონტურის წასასმელად

ვიყენებთ ფუძეს და პუდრს, ხოლო რუჟი გამოიყენება კანისთვის ფერის და სიცოცხლის მისაცემად.

- ასაკოვანმა ქალბატონებმა უნდა წაისვან სულ უფრო და უფრო ინტენსიური ფერის რუჟი, იმის შესაბამისად, რაც უფრო და უფრო ემატებათ ასაკი. მართალია, ასაკთან ერთად კანი კარგავს ელასტიურობას, მაგრამ გარწმუნებთ, თქვენი ყვრიმალები ადგილზე რჩებიან!

  თუ იცით, როგორ განსაზღვროთ ყვრიმალების ადგილმდებარეობა, ყოველთვის სწორად დადებთ „ბრონზატს“ და რუჟს.

ზუსტად რომ განვსაზღვროთ, სად მდებარეობს ყვრიმალი, ჩაატარეთ შემდეგი ტესტი შემდეგი თანმიმდევრობით:

1. გააცინეთ კლიენტი.

2. განსაზღვრეთ ლოყის მომრგვალების ცენტრი და მიადეთ საჩვენებელი თითი. მერე ცერი მიადეთ ყურის ზედა ნაწილზე, სადაც ის თავს უერთდება. ახლა ცერი წამოიღეთ საჩვენებელი თითისკენ. ძვალი, რომელსაც გრძნობთ, არის ყვრიმალი. წაუსვით რუჟი ზედ ყვრიმალზე.

რუჟი სახეს ასხივოსნებს,

საიდუმლო იმაშია, რომ მონახოთ ფერი, რომელიც იქნება ბუნებრივი და ნეიტრალური და ამასთან ერთად გაასხივოსნებს და გააცოცხლებს კანს.

სპილოსძვლისფერ და ბაც ჩალისფერ სახის კანს ყველაზე მეტად მოუხდება რბილი ვარდისფერი ელფერის რუჟი. ასაკის მატებასთან ერთად ვარდისფერის ნაცვლადშესაძლოა, მოგიწიოთ ატმისფერ რუჟზე გადასვლა, რათა კანი უფრო ნათლად და ცოცხლად გამოიყურებოდეს.

ატმისფერი ასაკოვანი ქალბატონების საუკეთესო მეგობარია. ის კანს მატებს სითბოს, აუმჯობესებს მის იერს ხოლო ვარდისფერი ამ დროს ხშირად მოწიფულ, ასაკოვან კანზე ჩანს ნაცრისფრად და ხელოვნურად.

ზეთისხილისფერის კანის მქონე ქალბატონებმა უნდა იხმარონ თბილი ელფერის რუჟი, რომელიც გამოირჩევა ნაჯერობით ან ინტენსივობით, რომ ფერი კანს ელფერივით დაჰკრავდეს, მაგალითად, მოჟღალო-ყავისფერი დარიჩინივით ან მზით გასხივოსნებული სპილენძივით.

მუქ ან ბრინჯაოსფერ კანიზე უნდა აირჩიოთ თბილი ფერების რუჟი, მაგალითად, გარგარის ფერი ან წითელი წიწაკის ფერი, რომ კანს მისცეთ სასიამოვნო თბილი ბზინვა, რომელიც ბუნებრივად გამოჩნდება.

უფრო ძლიერი შთაბეჭდილების მოსახდენად ბრინჯაოსფერი და მუქი კანის მქონეთ აგურისფერ-წითელი ან მოწითალო-ყავისფერი ელფერის რუჟი წაუსვით, რომ ის შთამბეჭდავად ჩანდეს კანზე. ნებისმიერი კანისთვის საუკეთესო არჩევანი ის რუჟია, რომელიც ჩანს მსუბუქად და ბუნებრივად და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შიგნიდან ანათებს.

„ბრონზატისთვის“ და რუჟისთვის გქონდეთ ცალკე ფუნჯი - ასე ყოველთვის მიაღწევთ ფერის სისუფთავეს.



”ბრონზატები”

როცა კანზე ”ბრონზატია” წასმული, კანი ჩანს ლამაზად ნამზეური და ნათელი. კანი ბრწყინავს ბრინჯაოსფერი ჯანსაღი რუჯით და ამ დროს არ განიცდის ულტრაიისფერი სხივების დამღუპველ ზემოქმედებას. კანის ტონი რომ გაათბოთ და გამოკვეთოთ სახის სკულპტურულობა, უბრალოდ დაიდეთ ”ბრონზატ”-პუდრი ან ტონალური ”ბრონზატ”-კრემი სახის გარე კიდეების გასწვრივ და ყვრიმალებზე.

”ბრონზატი” ასევე აუცილებელია, როცა საჭიროა ოდნავ ცხვირის და ნიკაპის ფორმის შეცვლა.

”ბრონზატის” წასმა ყოველთვის დაიწყეთ ყვრიმალის ძვლის შორი ნაწილიდან და წამოდით წინ. შემდეგ წამოიღეთ ფუნჯი საპირისპირო მიმართულებით, რომ ფენები არიოთ. თუ ხმარობთ ტონალურ ”ბრონზატ”-კრემს, უბრალოდ დააწვეთეთ ფერი ყვრიმალის ძვალის გასწვრივ და გაქენით. არ დაგავიწყდეთ ცოტა ფერის დადება საფეთქლებთან, რომ ხაზი გაუსვათ სახის ფორმას.

დაადეთ ტონალური ”ბრონზატ”-პუდრი ზევით საფეთქლებთან და თვალის ბუდესთან - ეს დაგეხმარებათ თვალების ფერის გამოკვეთაში, განსაკუთრებით, თუ ცისფერ ან მწვანე თვალებთან გაქვთ შეხება.

თუ ტონალური ”ბრონზატები” (პუდრი ან კრემი) სახეზე ძალიან მკვეთრად ჩანს, სცადეთ კომპაქტური პუდრის გამოყენება. მასში ცოტა პიგმენტია და ისინი კარგად ისმება. თუ უფრო ღია ფერის კანია, მუქი კომპაქტური პუდრი გამოჩნდება როგორც ძალიან ლამაზი რუჯი.

რუჟი

რუჟის წასმისას ქალბატონები უშვებენ სამ უხეშ შეცდომას:

1. ძალიან ბევრი რუჟი შემოდგომით და ზამთარში, რათა აანაზღაურონ ნატურალური რუჯის დანაკლისი.

2. ფერის არჩევანი, რომელიც ან ძალიან წითელია, ან ძალიან იისფერი. დაიმახსოვრეთ, ფერის ასარჩევად ჩაატარეთ ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური ფიზიკური ვარჯიში, მერე შეადარეთ რუჟის ფერი ლოყების ბუნებრივ ფერს.

3. ძალიან ცოტა ფერი სახეზე, ამიტომ ჩანს რუჟი ძალიან მკვეთრად. თუ არ უსმევთ საკმარის რუჟს, ის ვერ გაძლებს მთელი დღის განმავლობაში. ხოლო რუჟის რაოდენობა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში დაგჭირდებათ, განსაზღვრავს ტუჩსაცხის და ქუთუთოზე ჩრდილების ფერის ინტენსივობას. მაგალითად, თუ ტუჩებზე გაქვთ მკვეთრი ფერის ტუჩსაცხი, ნაკლები რუჟი დაგჭირდებათ. თუ ტუჩებზე გაქვთ მკრთალი, გამჭვირვალე ტუჩის პრიალა საცხი („ბლესკი“), შესაძლოა, დაგჭირდეთ მეტი რუჟი.

ყველაზე იოლი წასასმელია კომპაქტური პუდრის მსგავსი რუჟი. პუდრის მაგვარი რუჟის დადების ორი ხერხი არსებობს.

1. დაადეთ რუჟი ყვრიმალის ადგილას, დაიწყეთ ყურის მიმდებარე მიდამოდან. გადმოდით ლოყის მომრგვალებულ არეზე და დაბრუნდით ისევ უკან. შემდეგ წადით საპირისპირო მიმართულებით, რომ ფენები აირიოს. ამგვარად ყველაზე ინტენსიური ფერი დაჯდება ლოყის უკანა ნაწილზე, რაც სახეს გახდის სამგანზომილებიანს.

2. უფრო ბუნებრივი იერი რომ მისაღებად, შეგიძლიათ გამოიყენოთ ტექნიკა, რომელსაც ეწოდება "გამობერილი ლოყები".

თავიდან წაუსვით ყვრიმალებზე "ბრონზატი". მერე აიღეთ ბაცი, გამჭვირვალე ელფერის რუჟი. დარწმუნდით, რომ ის არაა ძალიან მუქი. გააცინეთ და წაუსვით რუჟი უკან იმ ადგილისკენ, სადაც დაადეთ "ბრონზატი". ეს მომრგვალებულ ლოყებს მიანიჭებს ლამაზ ბრწყინვალებას. ამ ტექნიკისთვის კიდევ დაგჭირდებათ რუჟის გამჭვირვალე ტონები. მუქი ან ხასხასა ფერი ლოყაზე გამოჩნდება ძალიან მკვეთრად და არაბუნებრივად.

თუ ხმარობთ ცხიმიან ან თხევად რუჟს, წაუსვით ღრუბლით ან თითით მას მერე, რაც წაუსმევთ ფუძეს, მაგრამ პუდრის წინ, რომ იოლად წაისვას.

თუ ფუძის გარეშე ხდება რუჟის წასმა, მაშინ უფრო მომგებიანია ცხიმიანი ან თხევადი რუჟი, ვიდრე მშრალი პუდრისმაგვარი, რადგან ის შეიცავს ტენს, რომელიც უკეთ შეერევა კანის ბუნებრივ ტენს.

ცხიმიანი ან თხევადი რუჟის წასმისას, ჯერ დააწვეთეთ ლოყების მომრგვალებულ ადგილას და მერე გაუსვით ყურის მიმართულებით.

როგორი რუჟითაც არ უნდა სარგებლობდეთ, აუცილებელია გახსოვდეთ ტექსტურების შეთავსების წესი: კრემი კრემთან, პუდრი პუდრთან. რუჟის მოჭიდების გასაძლიერებლად სცადეთ შემდეგი:

1. პუდრისმაგვარი რუჟი დაიტანეთ ფუძის შემდეგ.
2. კრემისებური რუჟი დაიტანეთ პუდრის ზევიდან.

ეს ორი ფენა დაეხმარება ფერს კარგად მოეჭიდოს კანს და გასძლოს მთელი დღის განმავლობაში.

რჩევები:

თუ რუჟი ძალიან ხასხასაა, ფერი შეარბილეთ ფხვიერი პუდრის ფენით.

არასდროს არ იხმაროთ რუჟი სახის კონტურად, რომ სახეს ფორმა მისცეს.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. როგორ ხდება დემაკიაჟი?

2. აღწერეთწამწამების დემაკიაჟი

3. რა კითხვებს ვსვამთ ფუძის შერჩევისას?

4. ჩამოთვალეთ კანის მომზადების ეტაპები

5. ჩამოთვალეთ ფუძის წასმის პრინციპები.

6. როგორ ვფარავთ პიგმენტურ ლაქებს?

7. როგორ ვფარავთ ნაწიბურებს?

8. ჩამოთვალეთ პუდრის წასმის ხერხები.

9. როგორ ვნიღბავთ შეშუპებულ თვალებს?

10. როგორ ვაკეთებთ მაკიაჟს მრგვალი ფორმის სახეზე?

11. როგორ ვაკეთებთ მაკიაჟს გულის ფორმის სახეზე?

12. როგორ ვაკეთებთ მაკიაჟს გრძელ სახეზე?

13. რას ვაკვირდებით ჩრდილების არჩევისას?

14. აღწერეთ მაკიაჟის წასმა ფართოდ დაშორებულ თვალებზე.

15. აღწერეთ მაკიაჟის წასმა „თავდახრილ“ თვალებზე.

16. რას ვაქცევთ ყურადღებას ტუჩსაცხის არჩევისას?

17. ტუჩის ვიზუალურად გაზრდის რამდენი გზა არსებობს?

18. აღწერეთ ტუჩის ვიზუალურად გაზრდის მარტივი ხერხი

19. განსაზღვრეთ სად მდებარეობს ყვრიმალი?

20. აღწერეთ ბრონზატის წასმა.

პრაქტიკული დავალებები
დამოუკიდებელი მუშაობისთვის

სახელმძღვანელოს ბოლოს წარმოგიდგენთ კონკრეტულ დავალებებს, რომლის მიხედვითაც უნდა გააკეთოთ მაკიაჟი.

პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად დაგჭირდებათ მოდელები

დავალება #1

სახე: ოვალური.
თვალები: ნუშისმაგვარი.
ჩრდილები: ათინათი: მოციმციმე, ხორცისფერი.
გარდამავალიელფერი:მქრქალბატონი, ყავისფერ-რუხი.
კონტური: მოციმციმე, ოქროსფერ-ყავისფერი.

მიზანი: სახეს დავუმატოთ კონტრასტი და ფერი. გავშალოთ თვალები და გავაკეთოთ ქუთუთოს უფრო მკაფიო ნაკეცი.

კორექტირება: ისეთი ფერის ტუჩსაცხი და რუჟი აირჩიეთ, რომლებიც კანის კონტრასტული იქნება, რათა სახეს ფერი მიეცეს. გამოკვეთეთ თვალები წამწამების ხაზთან. ნაკეცი კარგად შემოხაზეთ და გააღრმავეთ გარდამავალი ფერით, თვალებს და ქუთუთოებს ფორმა მიეცით.

დავალება #2

სახე: კვადრატული.

თვალები: ნუშისებრი.

ჩრდილები: ათინათი: მოციმციმე, ხორცისფერი.

გარდამავალი ელფერი: მქრქალბატონი (არა პრიალა მკრთალი),

ყავისფერ-რუხი.

კონტური: მოციმციმე, ოქროსფერ-ყავისფერი.

მიზანი: შევქმნათ ოვალური სახის შთაბეჭდილება და ოდნავ გამოვკვეთოთ სახის ნაკვთები.

კორექტირება: კონტურით შემოხაზეთ თმების და ყბის ხაზი, რათა შეარბილოთ სახის "ოთხი კუთხე". გაიღიავეთ შუბლის შუა არე, ცხვირი და ნიკაპის წვერი. ათინათი დაიდეთ ქუთუთოებზე და წარბების ქვევით, რომ თვალები "გაშალოთ". გამოკვეთეთ ნაკეცი და წამწამების ხაზი, რომ თვალებს მიეცეს მკაფიო ფორმა.

დავალება #3

სახე: მსხლის ფორმის.

თვალები: ნუშისებრი.

ჩრდილები: ათინათი: მოციმციმე, ხორცისფერი.

გარდამავალი ელფერი: მქრქალბატონი (არა პრიალა მკრთალი),

ვარდისფერი.

კონტური: მოციმციმე, ოქროსფერ-ყავისფერი.

მიზანი: შევქმნათ ოვალური სახის შთაბეჭდილება. გაიღიავეთ და გამოაჩინეთ თვალები - ძალიან ლამაზი.

კორექტირება: კონტურით შემოხაზეთ ლოყების და ყბის ხაზი, რათა

შევამციროთ მათი სიგანე. გაიღიავეთ შუბლის შუა არე, რათა შევქმნათ უფრო ფართოს შთაბეჭდილება. ათინათი დაადეთ ქუთუთოებზე და წარბების ქვევით, რათა თვალები „გაახილოთ“. გამოკვეთეთ ქუთუთოს ნაკეცი და წამწამების ხაზი.

დავალება #4

სახე: ოვალური.
თვალები:”თავჩაქინდრული”
ჩრდილები: ათინათი: მოციმციმე, ოქროსფერი.

გარდამავალი ელფერი: გლუვი (არაპრიალა მკრთალი), მოყავისფრო-წითელი.

კონტური: მქრქალი, ღვინისფერი.

მიზანი: გავათანაბროთ კანის ელფერი და შექმნათ სახის ნათელი არეები, რათა კანი გამოვაცოცხლოთ. მივაღწიოთ იმას, რომ თვალის გარე ”თავდახრილი” კუთხეები ჩანდეს აწეულად, და არა ჩამოწეულად.

კორექტირება: კანის ელფერის გასათანაბრებლად გამოიყენეთ ფუძის უამრავი ტონები, შემდეგ მიეცით კანს ბრწყინვალება ოქროსფერ-ნარინჯისფერი პუდრის საშუალებით, წაისვით ისინი ათინათის ადგილას. თვალყური ადევნეთ, რომ ჩრდილების გარდამავალი ელფერი და კონტური წაისვათ თანდათანობით თვალების გარე კუთხეებიდან და არ დაგავიწყდეთ მათი არევა ზევით და შიგნით, და არა გარეთ და ქვევით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Rae Morris “Express Makeup”
2. Bobbi Brown Makeup Manual: For Everyone from Beginner to Pro
3. Scott Barnes “About Face”
4. Jemma Kidd “Make-up Masterclass: Beauty Bible of professional techniques and wearable looks”
5. Kevyn Aucoin, a Beautiful Life: The Success, Struggles, and Beauty Secrets of a Legendary Makeup Artist
6. THE ART OF MAKEUP-KEVYN AUCOIN
7. Леонид Артамонов - Макияж для фотосессии
8. MAKE-UP DESIGNORY'S BEAUTY MAKEUP-YVONNE HAWKER
9. И. А. Зайцева - Энциклопедия стильного макияжа
10. Инна Криксунова_Элегантность и шик при небольшом бюджете
11. Лилия Стил - 365 имиджей на каждый день
12. Макияж - это просто – Роберт Джонс
13. Рей Моррис "Макияж. Подробное руководство"
14. http://womanchoice.net/
15. http://masfem.ru/
16. mkurnali.ge
17. Pink.ge
18. The Makeup Artist Handbook Second
19. Lauren Conrad Beauty
20. Robert Johns - Makeup Makeovers Beauty Bible: Expert Secrets for Stunning Transformations
21. Nigel Barker's Beauty Equation
22. http://www.beautydream.ru/
23. http://fashiony.ru/